განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ვაიდოტას ვილიუნასი, დამოუკიდებელი ექსპერტი უმაღლესი განათლების საკითხებში, ლიტვა

წევრები:

დიანა მჭედლიშვილი, შპს კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო

ეკატერინე ბაკარაძე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

ეკატერინე ნაცვლიშვილი, შპს კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო

ლევან ციცქიშვილი, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო

ნინო ფარსადანაშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

გიორგი მერაბიშვილი, სტუდენტი ექსპერტი, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

თბილისი

2026

ავტორიზაციის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაარსდა 1990 წელს, როგორც სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალი. 2002 წელს, ახალციხის ფილიალის წარმატებული საქმიანობა გახდა ახალქალაქში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დაარსების საფუძველი.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 3 ოქტომბრის N416 დადგენილებით განხორციელდა რეორგანიზაცია და აღნიშნული ორი დაწესებულების ნაცვლად ჩამოყალიბდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. უნივერსიტეტი განთავსდა ორ ქალაქში 70 კილომეტრის დაშორებით, რამაც განსაზღვრა მისი ფუნქციონირება და არსებობა.

2014 წელს სასწავლო უნივერსიტეტს შეეცვალა სტატუსი და ჩამოყალიბდა როგორც სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც ახორციელებს განათლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს და წარმოადგენს სამხრეთ საქართველოს განუყოფელ ნაწილს.

უნივერსიტეტი ახორციელებს 31 პროგრამას, მათ შორის 11 საბაკალავრო, 7 სამაგისტრო, 2 ერთსაფეხურიან, 8 სადოქტორო, მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიან, ქართულ ენაში მომზადების 60 კრედიტიან და 7 პროფესიული განათლების საგანმანათლებლო პროგრამებს. უნივერსიტეტში მოქმედი ყველა პროგრამა აკრედიტებულია.

ავტორიზაციის საბჭოს მიერ ჯამში სტუდენტური კვოტა განისაზღვრა2400 -ით , 2100 ახალციხის ფილიალისთვის და 300 ახალქალაქის ფილიალისთვის. აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობა არის 1302, შეჩერებული სტატუსის მქონე სტუდენტების 645, ხოლო თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, პროგრამის დასრულების საშუალო მაჩვენებელია 70,7%.

პერსონალის საერთო რაოდენობა: 241. აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა 77 (პროფესორი 26, ასოცირებული პროფესორი 45, ასისტენტ პროფესორი 6). სწავლების განმახორციელებელი მოწვეული პერსონალი - 86. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი - 78.

საავტორიზაციო შეფასების პროცესის მოკლე მიმოხილვა: თვითშეფასების ანგარიში და ვიზიტი

2025 წლის 2 - 4 მაისს, ექსპერტთა ჯგუფი ეწვია სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს და ჩაატარა შეხვედრები უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო და შეისწავლა თვითშეფასების ანგარიში და დამხმარე დოკუმენტაცია. ექსპერტებმა გამოითხოვეს დამატებითი დოკუმენტაცია, რომელიც წარმოდგენილი იყო ვიზიტის ფარგლებში.

წარმოდგენილი დოკუმენტების გარდა, ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა და შეისწავლა უნივერსიტეტის ვებ - გვერდი, როგორც ინფორმაციის დამატებითი წყარო.

ჩატარდა შეხვედრები აკადემიური საბჭოს და წარმომადგენელთა საბჭოს წევრებთან, უნივერსიტეტის რექტორთან და ვიცე - რექტორებთან, ადმინისტრაციის და სერვისების სამსახურის ხელმძღვანელებთან და წარმომადგენელთან, თვითშეფასების ჯგუფთან, ფაკულტეტების დეკანებთან და საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან, აფილირებულ და მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან, სტუდენტების თვითმმართველობის სამსახურის წევრებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.

ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა უნივერსიტეტის კამპუსები ახალციხესა და ახალქალაქში, ასევე აუდიტორიები, საკონფერენციო დარბაზები, ვეტერინარული კლინიკა, ლაბორატორიები, სიმულაციური სასამართლო დარბაზი, ბიბლიოთეკა, სამკითხველო დარბაზი, საგამოცდო ცენტრი, არქივი, სპორტული დარბაზები და საერთო საცხოვრებელი. ექსპერტთა ჯგუფმა ჩამოაყალიბა პირველადი მიგნებები და ვიზიტის მე - 4 დღეს, 30 ოქტომბერს, წარუდგინა დაწესებულების წარმომადგენლებს.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

1. უსდ - ის მისია და სტრატეგიული განვითარება

სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია ძირითადად ფოკუსირებულია ადგილობრივ და რეგიონულ საგანმანათლებლო ბაზარზე. უდავოა, რომ უნივერსიტეტი საქართველოს სამხრეთ რეგიონში ასრულებს განსაკუთრებულ ეკონომიკურ, სოციალურ, ტექნოლოგიურ, კულტურულ, დემოგრაფიულ და პოლიტიკურ როლს. სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ხელს უწყობს რეგიონის ყოვლისმომცველ, დაბალანსებულ და მშვიდობიან განვითარებას. უნივერსიტეტის საზოგადოების ყველა წევრი აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ დიალოგში. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში უნივერსიტეტი მნიშვნელოვანდ განვითარდა, უნდა დაიხვეწოს დაწესებულების მისია, რომ მასში აისახოს უფრო ფართო და მკაფიო კავშირი ეროვნულ და ევროპულ უმაღლესი განათლების მიზნებთან.

უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზნები (2019 - 2025 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა) ეფუძნებოდა მისიას, განსაზღვრულ პრიორიტეტებს და ჩამოყალიბებულ მიმართულებებს. მიზნები აღწერილი იყო შესაბამისი აქტივობებით და განსაზღვრული რესურსებით, იყო განხორციელებადი, დროში გაწერილი და გაზომვადი (KPI - ძირითადი შესრულების ინდიკატორები). სტრატეგიული დაგეგმვა იყო მონაწილეობითი პროცესი, რომელშიც ჩართული იყო პერსონალი, სტუდენტები, დამსაქმებლები და დაწესებულების სხვა დაინტერესებული მხარეები.

დაწესებულებამ გაითვალისწინა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული მონიტორინგის ვიზიტების ფარგლებში (9 - 10.07.2024 და 31.03.2025) გაცემული რეკომენდაციები და რჩევები. 2019 - 2025 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმის განხორციელების დროს შესრულებული აქტივობები და მისი შედეგები წარმოდგენილია თვითშეფასების ანგარიშში და ასახულია აღნიშნულ დასკვნაში.

უნივერსიტეტმა სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად და მისიის, ხედვის და ღირებულებების საფუძველზე შეიმუშავა და დაამტკიცა ახალი 7 წლიანი (2026 - 2032) განვითარების სტრატეგია. სამუშაო ჯგუფმა, რექტორის ხელმძღვანელობით, სტრატეგიული ანალიზის საფუძველზე, ჩამოაყალიბა 6 სტრატეგიული მიმართულება.

2. უსდ - ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უნივერსიტეტმა დამტკიცა ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც, მართვის გამჭვირვალე პროცედურების და კოორდინირებული საქმიანობის პროცესების მეშვეობით, ეფექტურად უჭერს მხარს სტრატეგიული მიზნების განხორციელებას. გადაწყვეტილებების მიღება ხორციელდება დროულად და შეესაბამება ინსტიტუციურ მიზნებს, რომლებიც მხარდაჭერილია ფორმალური დოკუმენტაციით და თანამედროვე ელექტრონული სისტემებით. მიუხედავად იმისა, რომ შემუშავებულია ინტერნაციონალიზაციის მექანიზმები, ბიზნეს უწყვეტობის გეგმა და არსებობს ინგლისურენოვანი დოკუმენტაცია, თითოეული მათგანი საჭიროებს შემდგომ დახვეწას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მიმდინარე საჭიროებებთან და დადგენილ სტანდარტებთან სრული შესაბამისობა. საერთო ჯამში, დაწესებულებაში არსებობს მართვის სტრუქტურირებული მიდგომა, ხარისხის უზრუნველყოფის აქტიური პრაქტიკები და საქმიანობისას ეთიკური ნორმის დაცვის ვალდებულებას, თუმცა საჭიროა გაუმჯობესდეს საერთაშორისო ჩართულობა, ინგლისური ენის კომპეტენცია და განახლდეს ძირითადი სტრატეგიული დოკუმენტები.

3. საგანმანათლებლო პროგრამები

სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს დამტკიცებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების და გაუმჯობესების სტრუქტურირებული და მეთოდოლოგიურად დასაბუთებული სისტემა. ყველა პროგრამა ექვემდებარება ინსტიტუციურ რეგულაციებს, რომლებიც შეესაბამება ეროვნულ კანონმდებლობას, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს, ECTS - ევროპული კრედიტების ტრანსფერის და დაგროვების სისტემას და შესაბამის დარგობრივ მახასიათებლებს. პროგრამის სწავლის შედეგები მკაფიოა, დარგის შესაბამისია და დაკავშირებულია პროგრამის მიზნებთან და სასწავლო გეგმის კომპონენტებთან.

პროგრამის განვითარება არის ინკლუზიური, უწყვეტი შიდა ხარისხის განვითარების მექანიზმებით მხარდაჭერილი პროცესი, რომელშიც მონაწილეობს აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და ადმინისტრაციული ერთეულები. რეგულარული შეფასებები, დაინტერესებული მხარეების გამოკითხვები და აკადემიური მოსწრების ანალიზი უზრუნველყოფს პროგრამის და სასწავლო გეგმების დახვეწას და კორექტირებას. უნივერსიტეტი იყენებს მრავალფეროვან სწავლების მეთოდებს, განახლებულ სილაბუსებს და ციფრულ ინსტრუმენტებს, რომლებიც ხელს უწყობენ თანამედროვე, პრაქტიკაზე ორიენტირებულ სწავლებას და სწავლას. შეფასების ჩარჩო გამჭვირვალე და მრავალმხრივია, აერთიანებს სხვადასხვა მეთოდებს, კვლევითი კომპონენტის შეფასების პროცედურებს და სტრუქტურირებული უკუკავშირის ციკლებს.

თუმცა, პროგრამის მართვის ზოგიერთი ასპექტი საჭიროებს მეტ ყურადღებას. მიუხედავად იმისა, რომ ხორციელდება შრომის ბაზრის კვლევა, საჭიროა, მისი გათვალისწინება პროგრამების

განვითარების პროცესებში. ასევე, უფრო მკაფიოდ უნდა გაიწეროს ერთობლივი პროგრამების პროცედურები, განსაკუთრებით მხარეების შეფასების როლები და პასუხისმგებლობები. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად გათვალისწინებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება და სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომების განხორციელება, მათი პრაქტიკული გამოყენება შეზღუდულია. ინკლუზიური შეფასების პრაქტიკის გაძლიერება და ინდივიდუალური სწავლის მიდგომების ეფექტური გამოყენება უკეთესად დაეხმარება მრავალფეროვანი საჭიროებების მქონე სტუდენტებს. გარდა ამისა, პერსონალის სტუდენტზე ორიენტირებული და ადაპტაციური სწავლების და შეფასების მეთოდების მიმართულებით კომპეტენციების განვითარება, კიდევ უფრო გაამდიდრებს პროგრამის ხარისხს.

4. უსდ-ის პერსონალი

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს თავისი 77 აფილირებული აკადემიური პერსონალის, 86 მოწვეული პერსონალის და 78 ადმინისტრაციული თანამშრომლის ძლიერ მხარდაჭერას და სთავაზობს უფასო საცხოვრებელს, ტრანსპორტირებას, ჯანმრთელობის დაზღვევას, ანაზღაურებად აკადემიურ შვებულებას და კონფერენციებში მონაწილეობის და სტატიების და სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნების დაფინანსებას, ახორციელებს საქმიანობის წლიურ შეფასებებს და ფორმალური აღიარების პროგრამებს.

თუმცა, საჭიროა, გაუმჯობესდეს ძირითადი სფეროები: უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს ახალგაზრდა აკადემიური პერსონალის მოზიდვის და შენარჩუნების უფრო ეფექტური სტრატეგიები, რათა უზრუნველყოს თაობების ცვლა და აღმოფხვრას ასაკთან მიმართებით არსებულ ინსტიტუციურ პოლიტიკაში არსებული წინააღმდეგობები, რომელიც ერთდროულად უშვებს და კრძალავს 65 წელს მიღწეული ან უფროსი ასაკის პირების აკადემიურ პოზიციებზე დანიშვნას, იმ შემთხვევაში თუ ისინი აკმაყოფილებენ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უნივერსიტეტი წარმატებით ქმნის სტუდენტზე ორიენტირებულ გარემოს, სთავაზობს მათ ყოვლისმომცველ მხარდამჭერ სერვისებს და კარიერული განვითარების ხელმღვანელობის ეფექტურ მექანიზმებს. სტუდენტები ფლობენ ინფორმაციას და აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა აქტივობებში, რაც აძლიერებს მათ აკადემიურ და პირად განვითარებას. გარდა ამისა, დაწესებულება აჩვენებს უწყვეტი გაუმჯობესების, სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისების დახვეწის და გაძლიერების ვალდებულებას, სისტემურად იყენებს სტუდენტების გამოკითხვის შედეგებს.

უნივერსიტეტი ასევე სთავაზობს საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობებს, ახალისებს სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობას და ინფორმაციის გავრცელებას აღნიშნული შესაძლებლობების შესახებ.

უფრო მეტიც, უნივერსიტეტი ხელს უწყობს კლასგარეშე სპორტულ და საგანმანათლებო ინიციატივებში ჩართულობას, აქტიურად უჭერს მხარს სტუდენტების მიერ ინიცირებულ და განხორციელებულ პროექტებს. დაწესებულება აჩვენებს სოციალურ პასუხისმგებლობას სტუდენტების სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით და სთავაზობს მათ მრავალფეროვან მხარდაჭერის მექანიზმებს, როგორიცაა სტიპენდიები და სწავლის საფასურის გადახდის მოქნილი გრაფიკები. ყველა მხარდაჭერის მექანიზმი გამჭვირვალე, ობიექტური და

საჯაროდ ხელმისაწვდომია, რაც თითოეული სტუდენტისთვის უზრუნველყოფს თანაბარ შესაძლებლობებს და ინკლუზიურობას.

6. კვლევა, განვითარება ან / და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროცესის განვითარების დონე საკმაოდ მაღალია, რომელიც მხარდაჭერილია აკადემიური პერსონალის საქმიანობის და კვლევის შედეგების სისტემატური შეფასებით. სადოქტორო პროგრამები კარგად არის ჩამოყალიბებული და სადისერტაციო თემები ხშირად ეხება რეგიონულ გამოწვევებს.

კვლევასთან და სადოქტორო პროგრამებთან დაკავშირებული უნივერსიტეტის რეგულაციები და მექანიზმები ზოგადად მოქნილი და გამჭვირვალეა. თუმცა, სადოქტორო განათლების ახალი ეროვნული რეგულაციის დამტკიცებამ, რაც მოითხოვს რამდენიმე სტატიის გამოქვეყნებას საერთაშორისოდ აღიარებულ სამეცნიერო ჟურნალებში, შექმნა გამოწვევები რამდენიმე პროგრამაში, განსაკუთრებით აგრარული მეცნიერებების მიმართულებით.

კვლევის ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერიმენტული და ლაბორატორიული აქტივობები ხორციელდება უნივერსიტეტის გარეთ, პროფესორების პირადი კავშირებისა და პარტნიორ დაწესებულებებთან გაფორმებული თანამშრომლობის ხელშეკრულებების მეშვეობით. ადმინისტრაციამ ისაუბრა დაახლოებით ნახევარი მილიონი ლარის ინვესტიციაზე ლაბორატორიული აღჭურვილობის შეძენის მიზნით, რაც ემსახურება კვლევის ბაზის გაძლიერებას. თუმცა, აღნიშნული თანხა მაინც არასაკმარისია, ფართო მასშტაბიანი ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის.

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მატერიალური და ინფრასტრუქტურული ბაზის უწყვეტ განვითარებას. უნივერსიტეტი ცდილობს უზრუნველყოს მისი მატერიალური და ტექნოლოგიური რესურსების შესაბამისობა აკადემიურ მიზნებთან, ხელი შეუწყოს სწავლებას და კვლევას და სტუდენტებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის შექმნას ინკლუზიური და უსაფრთხო სასწავლო გარემო.

უსდ-ში რეგულარულად ხორციელდება ობიექტების და აღჭურვილობის განახლება, რომ დაკმაყოფილდეს მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების და დაგეგმილი სტუდენტების რაოდენობის საჭიროებები. კამპუსში, უსაფრთხო გარემოს შენარჩუნების მიზნით, უზრუნველყოფილია გადაუდებელი სისტემები და ჯანდაცვის პროტოკოლები. უნივერსიტეტი უწყვეტ რეჟიმში ახდენს ინფრასტრუქტურის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებზე ადაპტირებას, უზრუნველყოფილია პანდუსები, ადაპტირებული სველი წერტილები და ა.შ.

უნივერსიტეტი რეგულარულად ანახლებს ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურას და სტუდენტების და პერსონალის მზარდი საჭიროებების გათვალისწინებით უზრუნველყოფს როგორც საგანმანათლებლო, ისე კვლევითი საქმიანობის ეფექტურ მხარდაჭერას. ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია აკადემიური მასალები, მათ შორის ბეჭდური და ციფრული რესურსები, სასწავლო პროგრამების, კვლევითი პრიორიტეტების და მომხმარებელთა უკუკავშირის შესაბამისად. ინტერნეტზე, ელექტრონულ მონაცემთა ბაზებზე და ციფრულ რესურსებზე წვდომა აძლიერებს დამოუკიდებელი სწავლის და სამეცნიერო კვლევის შესაძლებლობებს.

უნივერსიტეტს აქვს ინტეგრირებული ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემები, რაც ხელს უწყობენ აკადემიურ და ადმინისტრაციულ ეფექტურობას, ზრდიან ხელმისაწვდომობას და უზრუნველყოფენ ოპერაციების უწყვეტობას.

უნივერსიტეტის ფინანსური დაგეგმვის და ანგარიშვალდებულების მექანიზმები აჩვენებენ პასუხისმგებლიან, მიზანზე ორიენტირებულ მიდგომას, რაც მხარს უჭერს მის სტრატეგიულ განვითარებას, კვლევას და საგანმანათლებლო მისიას.

რეკომენდაციები

1.1.1. რეკომენდებულია, უნივერსიტეტის მისია უკეთ იყოს სტრუქტურირებული და უფრო ფართოდ და მკაფიოდ იყოს დაკავშირებული ეროვნულ და ევროპულ უმაღლესი განათლების მიზნებთან.

1.2.1. რეკომენდებულია, განხორციელდეს ძირითადი დაგეგმვის დოკუმენტების (7 წლიანი განვითარების სტრატეგია, 3 წლიანი სამოქმედო გეგმა, წლიური გეგმა) სისტემატიზაცია და რექტორის და ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელის წლიურ ანგარიშებთან დაკავშირება შესაბამისი კოდირების სისტემის მეშვეობით, რომ გამარტივდეს მათზე წვდომა და განისაზღვროს პირადი პასუხისმგებლობა.

1.2.2. რეკომენდებულია, რექტორის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წლიური ანგარიშების კონცეფცია და ფორმატი შეესაბამებოდეს ყველა დონის ინსტიტუციური გეგმის (სტრატეგიული, სამოქმედო და წლიური გეგმები) სტრუქტურას და მოიცავდეს უფრო მეტ ანალიტიკურ და მნიშვნელოვან ინფორმაციას. შესაბამისად, რეკომენდებულია, განახლდეს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და სხვა დაკავშირებული დოკუმენტაცია.

2.1.1. რეკომენდებულია, ეტაპობრივად განახლდეს ბიზნეს უწყვეტობის გეგმა მიმდინარე და შესაბამისი გამოწვევების გათვალისწინებით და სამოქმედო გეგმაში აისახოს პრევენციული აქტივობები.

2.1.2. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, გაზარდოს გაცვლით პროგრამებში პერსონალის და სტუდენტების მონაწილეობის შესაძლებლობები და გააძლიეროს კვლევის ინტერნაციონალიზაცია.

2.1.3. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს პერსონალის და სტუდენტების ინგლისური ენის კომპეტენციის გაუმჯობესების მექანიზმები.

2.2.1. რეკომენდებულია, სტუდენტთა კონტინგენტი განისაზღვროს უნივერსიტეტის მიერ დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად და გამყარებული იყოს ხელმისაწვდომი რესურსების რაოდენობრივი ინდიკატორებით, საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების და მობილობის მონაცემების გათვალისწინებით.

2.3.1. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა აამაღლოს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ცნობიერება აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების შესახებ.

3.3.1. რეკომენდებულია, რომ დაწესებულებამ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში ნათლად ჩამოაყალიბოს და დეტალურად

აღწეროს სწავლის შედეგების შეფასების პროცესში ჩართული ყველა მხარის ვალდებულებები, როლები და პასუხისმგებლობები, აგრეთვე, შეფასების პროცედურები, ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებთან მიმართებით.

4.1.1. რეკომენდებულია, რომ გადაიხედოს მართვის პოლიტიკის დოკუმენტი და აღმოიფხვრას წინააღმდეგობა იმ დებულებებს შორის, რომლებიც კატეგორიულად კრძალავს 65 წლის ან უფროსი პირების აკადემიურ და ადმინისტრაციულ თანამდებობებზე დანიშვნას, და იმ დებულებებს შორის, რომლებიც გამონაკლისის სახით უშვებს მსგავს დანიშვნას იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატები აკმაყოფილებენ სტანდარტულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

6.1.1. რეკომენდებულია, შიდა ინსტიტუციური საგრანტო პროგრამების დაფინანსების გაზრდა და ლაბორატორიული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

რჩევები

1.2.1. სასურველია, განახლდეს უნივერსიტეტის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და შედეგზე ორიენტირებული მიდგომის ნაცვლად განისაზღვროს შედეგზე და გავლენაზე ორიენტირებულ მიდგომა, ასევე სასურველია, შემუშავდეს შესაბამისი და გაზომვადი შესრულების ინდიკატორები.

2.1.1. სასურველია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს თვითშეფასების ანგარიშის და წარმოდგენილი დოკუმენტაციის ინგლისურენოვანი თარგმანის სიზუსტე და ქართულენოვან ვერსიებთან თანმიმდევრულობა.

2.3.1. სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს ფორმალური რეგულაციები სასწავლო პროცესში ხელოვნური ინტელექტის ეთიკური გამოყენების შესახებ. აღნიშნული რეგულაციები აამაღლებს აკადემიური პერსონალის და სტუდენტების ცნობიერებას სასწავლო პროცესში ხელოვნური ინტელექტის პასუხისმგებლიანი გამოყენების შესახებ და ხელს შეუწყობს აკადემიური გადაცდომების თავიდან აცილებას.

3.1.1. სასურველია, სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გააძლიეროს შრომის ბაზრის კვლევა, იმისათვის, რომ უკეთ განსაზღვროს განვითარებადი პროფესიული ტენდენციები და უზრუნველყოს პროგრამების შესაბამისობა.

3.1.2. სასურველია, თვითშეფასების ანგარიშში ხაზგასმული იყოს პროგრამის მონაცემების და პროცესების ანალიტიკური ინტერპრეტაცია და შემცირდეს რეგულაციების აღწერილობითი ნაწილი.

3.1.3. სასურველია, გადაიხედოს პროგრამის განვითარების მეთოდოლოგია, დაემატოს ერთობლივი პროგრამებისთვის განკუთვნილი ნაწილი, სადაც მკაფიოდ იქნება განსაზღვრული შემუშავების, განხორციელების, შეფასების, გაუმჯობესების და საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის გაუქმების პროცედურები, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და ეფექტურ კოორდინაციას პარტნიორ დაწესებულებებს შორის.

3.2.1. სასურველია, პრიორიტეტი მიენიჭოს ინოვაციური, სტუდენტზე ორიენტირებული პედაგოგიკის ინტეგრაციას და ინდივიდუალური სწავლების მექანიზმების გაძლიერებას, რაც

წარმოადგენს პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების და ცვალებად აკადემიურ და პროფესიულ მოთხოვნებზე რეაგირების ძირითად სტრატეგიას.

3.2.2. სასურველია, დაწესებულებამ დაგეგმოს და განახორციელოს მიზნობრივი ღონისძიებები სტუდენტებზე მორგებული ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმების შემუშავების მიზნით და საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს სტუდენტის მრავალფეროვანი საჭიროებების გათვალისწინებით სასწავლო კურსის კომპონენტების მოდიფიცირება.

3.3.1. სასურველია, რომ უნივერსიტეტმა აამაღლოს სტუდენტთა ცნობიერება და ცოდნა აკადემიური კეთილსინდისიერების მოთხოვნებისა და შეფასების მასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ.

3.3.2. სასურველია, რომ უნივერსიტეტმა უზრუნველყოს შეფასების პროცესის ინკლუზიურობა, შეფასების ფორმატების ინდივიდუალური ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებზე ადაპტირების საშუალებით.

3.3.3. სასურველია, რომ უნივერსიტეტმა თვითშეფასების ანგარიში გააძლიეროს მტკიცებულებებზე დაფუძნებული ანალიზით, უკეთ მოახდინოს სწავლის შედეგების პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების შედეგების დოკუმენტირება და წარმოადგინოს მაგალითები სტუდენტთა კომპეტენციების შეფასებისა და პროგრამის/სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შეფასების პრაქტიკებიდან.

4.1.1. სასურველია, მეტი სტრატეგიული მექანიზმის შემუშავება ახალგაზრდა აკადემიური პერსონალის მოზიდვისა და შენარჩუნებისათვის.

4.2.1. სასურველია, რომ უნივერსიტეტმა შეასწოროს აკადემიურ/სამეცნიერო პერსონალსა და პერსონალის საერთო რაოდენობას შორის თანაფარდობის სამიზნე ნიშნულში არსებული ტექნიკური შეცდომა და გადახედოს საქმიანობის ყველა ინდიკატორს.

6.1.1. სასურველია, ინტერდისციპლინური, რეგიონზე ორიენტირებული გამოყენებითი კვლევების არეალის გაფართოება და კვლევის შედეგების კომერციალიზაციის მექანიზმების გაძლიერება.

6.2.1. სასურველია, ახალგაზრდა მკვლევრებისათვის კვლევითი მობილობის ფონდის შექმნა.

6.3.1. სასურველია, შეფასების ინდიკატორების გაფართოება მხოლოდ რაოდენობრივი მაჩვენებლების (პუბლიკაციები, გრანტები) ფარგლებს მიღმა და მათში ინოვაციისა და კომერციალიზაციის პოტენციალის ინტეგრირება.

6.3.2. სასურველია, ცენტრალიზებული ციფრული სისტემის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს ყველა კვლევითი შედეგის შეგროვებასა და გავრცელებას, გაზრდის მათ ხილვადობას და გააძლიერებს საზოგადოებრივ ჩართულობას.

7.1.1. სასურველია, როგორც ახალციხის, ისე ახალქალაქის კამპუსები უზრუნველყოფილი იყოს პირველადი დახმარების საშუალებების მრავალფეროვანი და თანაბარი მარაგი.

საუკეთესო პრაქტიკები

1.1.1. უნივერსიტეტში ჩატარდა ღონისძიება სახელწოდებით „მისიის დღე“, რომელშიც მონაწილეობდნენ თანამშრომლები, სტუდენტები, დამსაქმებლები და გარე დაინტერესებული მხარეები ახალი მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიის (2026 - 2032) განსახილველად.

7.4.1. აქტიური მონაწილეობა საერთაშორისო პროექტებში, მათ შორის Horizon Europe-ის საგრანტო განაცხადების ინიცირება და Erasmus+-ისა და CIF პროგრამებში მონაწილეობა.

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.	**უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება**	☐	☒	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	☐	☒	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☐	☒	☐	☐
2.	**უსდ - ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა**	☐	☒	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☒	☐	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☐	☒	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☐	☒	☐	☐
3.	**საგანმანათლებლო პროგრამები**	☒	☐	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☒	☐	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☒	☐	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☐	☒	☐	☐
4	**უსდ-ის პერსონალი**	☒	☐	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☐	☒	☐	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☒	☐	☐	☐
5	**სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები**	☒	☐	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☒	☐	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒	☐	☐	☐
6	**კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა**	☒	☐	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☐	☒	☐	☐

6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☒	☐	☐	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☒	☐	☐	☐
7	**მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები**	☒	☐	☐	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☒	☐	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☒	☐	☐	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	☒	☐	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☒	☐	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. ვაიდოტას ვილიუნასი (თავმჯდომარე)
2. დიანა მჭედლიშვილი (წევრი)
3. ეკატერინე ფიფია (წევრი)

4. ეკატერინე ნაცვლიშვილი (წევრი)
5. ლევან ციცქიშვილი (წევრი)
6. ნინო ფარსადანაშვილი (წევრი)
7. გიორგი მერაბიშვილი (სტუდენტი ექსპერტი, წევრი)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

1. უსდ - ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ - ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია
უსდ - ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია ძირითადად ფოკუსირებულია ადგილობრივ და რეგიონულ საგანმანათლებლო ბაზარზე. მისია განსაზღვრავს უსდ - ს მახასიათებლებს მისი მასშტაბის და საგანმანათლებლო პროგრამების ძირითადი მიმართულებების და კვლევითი მიზნების საფუძველზე. უდავოა, რომ უნივერსიტეტი საქართველოს სამხრეთ რეგიონში ასრულებს განსაკუთრებულ ეკონომიკურ, სოციალურ, ტექნოლოგიურ, კულტურულ, დემოგრაფიულ და პოლიტიკურ როლს. აღნიშნულ რეგიონში ძირითადად ცხოვრობენ ქართველები და სომეხი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები. სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ასრულებს გადამწყვეტ როლს და ხელს უწყობს რეგიონის ყოვლისმომცველ, დაბალანსებულ და მშვიდობიან განვითარებას. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის სტუდენტები და წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივ დიალოგში. უნივერსიტეტმა გაითვალისწინა და შეასრულა წინა ავტორიზაციის პროცესში გაცემული რეკომენდაციები. უნივერსიტეტის საზოგადოების თითოეული წევრი აქტიურ მონაწილეობას იღებდა და განმარტავდა საკუთარ მონაწილეობას 2026 - 2032 წლის განვითარების სტრატეგიის შემუშავებაში, უნივერსიტეტის მისიის, ხედვის და ღირებულებების განხილვასა და

ჩამოყალიბებაში. დისკუსიის ფარგლებში, უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა გამოხატეს შეშფოთება რეგიონის მდგრადი სოციალურ - ეკონომიკური და მშვიდობიანი განვითარების შესახებ და აღნიშნულ პროცესში სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კონკრეტულ როლთან დაკავშირებით. უნივერსიტეტის საზოგადოების უმნიშვნელოვანეს ღირებულებად განისაზღვრა თავისუფლება, ეროვნულობა და ტოლერანტობა.

უნივერსიტეტის ხედვაში წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, რომელთა კურსდამთავრებულები დამსაქმებლების და ადგილობრივი ხელისუფლების მოსაზრებით, იქნებიან მოთხოვნადი და შეასრულებენ მნიშვნელოვან როლს რეგიონულ განვითარებაში.

მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტმა ბოლო წლებში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ინსტიტუციურ განვითარებაში, შესაძლებელია, რომ უნივერსიტეტის მისია სტრუქტურირებული იყოს უკეთესად და უფრო ფართოდ და მკაფიოდ იყოს დაკავშირებული ეროვნულ და ევროპულ უმაღლესი განათლების მიზნებთან.

მტკიცებულება/ინდიკატორები

თვითშეფასების ანგარიში;

სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია და 2026 - 2032 წლის სტრატეგიული გეგმა;

ვებ - გვერდი https://sjuni.edu.ge/en/;

ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

1.1.1. რეკომენდებულია, უნივერსიტეტის მისია უკეთ იყოს სტრუქტურირებული და უფრო ფართოდ და მკაფიოდ იყოს დაკავშირებული ეროვნულ და ევროპულ უმაღლესი განათლების მიზნებთან.

რჩევები:

არ ეხება

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

1.1.1. უნივერსიტეტში ჩატარდა ღონისძიება სახელწოდებით „მისიის დღე“, რომელშიც მონაწილეობდნენ თანამშრომლები, სტუდენტები, დამსაქმებლები და გარე დაინტერესებული მხარეები ახალი მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიის (2026 - 2032) შემუშავების განსახილველად.

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 სტრატეგიული განვითარება

- უსდ - ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი).
- უსდ - ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას.
- უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზნები (2019 - 2025 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმა) ეფუძნებოდა მისიას, განსაზღვრულ პრიორიტეტებს და ჩამოყალიბებულ მიმართულებებს. სტრატეგიული მიზნები აღწერილი იყო შესაბამისი აქტივობებით და განსაზღვრული რესურსებით, იყო მიღწევადი, დროში გაწერილი და გაზომვადი (KPI - ძირითადი შესრულების ინდიკატორები). სტრატეგიული დაგეგმვა იყო მონაწილეობითი პროცესი, რომელშიც ჩართული იყო პერსონალი, სტუდენტები, დამსაქმებლები და სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვა დაინტერესებული მხარეები. უნივერსიტეტის

ხელმძღვანელობა განიხილავდა, აკორექტირებდა და აახლებდა სტრატეგიულ გეგმას (საჭიროების შემთხვევაში) და ხელახლა ამტკიცებდა სამოქმედო გეგმებს.

2019 - 2025 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა და სამოქმედო გეგმები მოიცავდა უნივერსიტეტის ფუნქციონირების ყველა ასპექტს, მათ შორის ინსტიტუციურ განვითარებას, ხარისხის უზრუნველყოფას, განათლების მიწოდების დაგეგმვას და განხორციელებას, აკადემიურ, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს, სტუდენტებს, კვლევას, ფინანსურ და მატერიალურ რესურსებს, ბიბლიოთეკას, ინფორმაციულ ტექნოლოგიებს და ინფრასტრუქტურას.

დაწესებულებამ გაითვალისწინა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული მონიტორინგის ვიზიტების ფარგლებში (9 - 10.07.2024 და 31.03.2025) გაცემული რეკომენდაციები და რჩევები. სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2019 - 2025 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის განხორციელების აქტივობები და მისი შედეგები წარმოდგენილია თვითშეფასების ანგარიშში და ასახულია აღნიშნულ ავტორიზაციის დასკვნაში ხარისხის უზრუნველყოფის შესაბამის ნაწილში.

სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის, მისიის, ხედვის და ღირებულებების საფუძველზე შეიმუშავა და დაამტკიცა ახალი 7 წლიანი განვითარების სტრატეგია (2026 - 2032) და 2026 - 2028 წლების სამოქმედო გეგმა. სამუშაო ჯგუფმა, რექტორის ხელმძღვანელობით სტრატეგიული ანალიზის საფუძველზე, განსაზღვრა 6 სტრატეგიული მიმართულება. სტრატეგიული მიმართულებები ჩამოყალიბდა შესაბამისი მიზნებით, რომლებიც დაყოფილია დეტალურ ამოცანებად. თუმცა, საჭიროა შემდგომი გაუმჯობესება.

ძირითადი დაგეგმვის დოკუმენტები (7 წლიანი განვითარების სტრატეგია, 3 წლიანი სამოქმედო გეგმა, წლიური გეგმა) შემუშავებულია სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად და აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას. თუმცა, სტრატეგიული დაგეგმვის და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს (დემინგის/PDCA ციკლი) აკლია თანმიმდევრულობა და სისრულე. უნდა გაუმჯობესდეს რექტორის წლიური ანგარიშები, როგორც აღნიშნული ციკლის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი. რექტორის წლიური ანგარიშები არ უნდა იყოს წარმოდგენილი მხოლოდ ნარატივის სახით და არ უნდა მოიცავდეს მხოლოდ დადებით ინფორმაციას ბოლო საანგარიშო პერიოდში განხორციელებული აქტივობების და მიღწევების შესახებ. რექტორის წლიურ ანგარიშებში წარმოდგენილი უნდა იყოს ანალიტიკური ინფორმაცია, ეროვნული, საერთაშორისო და ინსტიტუციური კონტექსტის გათვალისწინებით, ბოლო წლების ტენდენციების მიმოხილვა, მათ შორის რისკების მართვის საკითხები და სამომავლო მიზნები და პრიორიტეტები. მნიშვნელოვანია, თავიდან იქნეს აცილებული კრიტიკული და განსაკუთრებით თვითკრიტიკული ინფორმაცია.

სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი აღიარებს დაწესებულებაში ხარისხის კულტურის განვითარების და დანერგვის მნიშვნელობას. ხარისხის კულტურა არ არის მხოლოდ მოთხოვნების ჩამონათვალი და დაცვა. ის ეხება ადამიანებს, რომლებიც ნამდვილად ზრუნავენ ორგანიზაციის სრულყოფილებაზე, უწყვეტ გაუმჯობესებაზე, ანგარიშვალდებულებასა და ნდობაზე. აღნიშნული ინსტიტუციური გარემოს უზრუნველსაყოფად, ლიდერობა და გამჭვირვალობა უსდ - ს ხელმძღვანელობისთვის და ადმინისტრაციისთვის წარმოადგენს ერთ - ერთ უმთავრეს საკითხს. შესაბამისად, რეკომენდებულია, განხორციელდეს ძირითადი დაგეგმვის დოკუმენტების (7 წლიანი განვითარების სტრატეგია, 3 წლიანი სამოქმედო გეგმა, წლიური გეგმა) სისტემატიზაცია და შესაბამისი კოდირების სისტემების მეშვეობით ინსტიტუციური ანგარიშვალდებულების დოკუმენტებთან მკაფიოდ დაკავშირება (რექტორის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წლიური ანგარიშები), რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი ხელმისაწვდომობა და შესაბამისი პირადი პასუხისმგებლობა. რექტორის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წლიური ანგარიშების კონცეფცია და ფორმატი უნდა შეესაბამებოდეს ინსტიტუციური გეგმის სტრუქტურას (სტრატეგიული, სამოქმედო და წლიური გეგმები). შესაბამისად, უნდა განახლდეს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და / ან სხვა დაკავშირებული დოკუმენტაცია.

უნივერსიტეტი იწყებს ახალ 7 წლიან სტრატეგიულ პერიოდს (2026 - 2033). თუმცა, დაწესებულებამ ასევე უნდა იფიქროს და დაგეგმოს სამომავლო აქტივობები. შესაბამისად, სასურველია, განახლდეს უნივერსიტეტის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და შედეგზე ორიენტირებული მიდგომა შეიცვალოს შედეგსა და გავლენაზე ფოკუსირებული მიდგომით, ასევე, შემუშავდეს შესაბამისი და გაზომვადი შესრულების ინდიკატორების სისტემა.

მტკიცებულება/ინდიკატორები თვითშეფასების ანგარიში; სტრატეგიული განვითარების გეგმა 2019-2025; სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია და სტრატეგია 2026 - 2032; სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (საბჭოს დადგენილება N3, 2019 წლის 12 თებერვალი, ოქმი N1); 3 წლიანი სამოქმედო გეგმა (2022 - 2024); 3 წლიანი სამოქმედო გეგმა (2026 - 2028); ვებ - გვერდი https://sjuni.edu.ge/en/; ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების შედეგები.
რეკომენდაციები: 1.2.1. რეკომენდებულია, განხორციელდეს ძირითადი დაგეგმვის დოკუმენტების (7 წლიანი განვითარების სტრატეგია, 3 წლიანი სამოქმედო გეგმა, წლიური გეგმა) სისტემატიზაცია და რექტორის და ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელის წლიურ ანგარიშებთან დაკავშირება შესაბამისი კოდირების სისტემის მეშვეობით, რომ გამარტივდეს მათზე წვდომა და განისაზღვროს პირადი პასუხისმგებლობა. 1.2.2. რეკომენდებულია, რექტორის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წლიური ანგარიშების კონცეფცია და ფორმატი შეესაბამებოდეს ყველა დონის ინსტიტუციური გეგმის (სტრატეგიული, სამოქმედო და წლიური გეგმები) სტრუქტურას და მოიცავდეს უფრო მეტ ანალიტიკურ და მნიშვნელოვან ინფორმაციას. შესაბამისად, რეკომენდებულია, განახლდეს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და სხვა დაკავშირებული დოკუმენტაცია.
რჩევები: 1.2.1. სასურველია, განახლდეს უნივერსიტეტის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და შედეგზე ორიენტირებული მიდგომის ნაცვლად განისაზღვროს შედეგზე და გავლენაზე ორიენტირებულ მიდგომა, ასევე სასურველია, შემუშავდეს შესაბამისი და გაზომვადი შესრულების ინდიკატორები.
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ ეხება
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2. უსდ - ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
○ უსდ - ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ - ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას. ○ უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ - ის საქმიანობის ეფექტურ მართვას. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტმა შეიმუშავა ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც ხელს უწყობს მისი სტრატეგიული მიზნების ეფექტურ განხორციელებას. მმართველი ორგანოები მოქმედებენ მკაფიოდ განსაზღვრული უფლებებით, ხოლო სტრუქტურულ ერთეულებს აქვთ ფორმალური პასუხისმგებლობები, რომლებიც უზრუნველყოფენ ინსტიტუციური საქმიანობის კოორდინირებულ განხორციელებას. ზოგადად, სტრუქტურა იძლევა ფუნქციური გადაწყვეტილებების მიღების და დაწესებულების მისიასთან შესაბამისი საქმიანობის მონიტორინგის განხორციელების საშუალებას. ვიზიტის ფარგლებში გამოვლინდა, რომ საანგარიშო პერიოდში განისაზღვრა უნივერსიტეტის ახალი ინსტიტუციური სტრუქტურა, რომელიც დამტკიცდა აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების მიერ. გარდა ამისა, დამტკიცდა სტრუქტურული ერთეულების დებულებები. ამჟამად, კონკურსები ტარდება ახალი მოთხოვნების შესაბამისად.

მმართველ პოზიციებზე დანიშვნა და არჩევა რეგულირდება წინასწარ განსაზღვრული მოთხოვნებით, რომლებიც სამართლიანია, ლეგიტიმურია და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. პროცედურები უზრუნველყოფენ თანასწორ მონაწილეობას და გამჭვირვალე მმართველობას. მიუხედავად ამისა, შერჩევის პროცესში კანდიდატების ხედვების და სამომავლო გეგმების განხილვა გააძლიერებს სტრატეგიულ ლიდერობას და შექმნის ინსტიტუციური განვითარების უფრო მყარ საფუძველს.

სხვადასხვა მენეჯერულ დონეზე გადაწყვეტილების მიღება, როგორც წესი, დროულია და ორიენტირებულია აკადემიური, სამეცნიერო და ადმინისტრაციული საკითხების ეფექტურ გადაწყვეტაზე. რექტორი და ადმინისტრაციის ხელმძღვანელი აკადემიურ საბჭოს და წარმომადგენლობით საბჭოს წელიწადში ორჯერ წარუდგენენ თავიანთი საქმიანობის ანგარიშს.

საქმისწარმოების პრაქტიკა შეესაბამება დადგენილ სამართლებრივ ნორმებს და თანამედროვე ტექნოლოგიებს, აქტიურად გამოიყენება ელექტრონული დოკუმენტ ბრუნვის სისტემები, რაც უზრუნველყოფს ხელმისაწვდომობას და ამარტივებს სამუშაო პროცესებს. უნივერსიტეტმა დანერგა eflow ელექტრონული დოკუმენტ ბრუნვის სისტემა, რომელიც სარეზერვო ასლების შექმნის უზრუნველყოფის მიზნით დაკავშირებულია ცალკე სისტემასთან. 2015 წლიდან გამოიყენება ჩანაწერების მართვის ერთიანი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს დოკუმენტების შენახვას და დაარქივებას. პროცესებში ჩართულია ყველა ადმინისტრაციული პერსონალი, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელები და წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე და მიმდინარეობს მუშაობა აკადემიური პერსონალის ჩართულობის უზრუნველყოფაზე. შიდა დოკუმენტები მტკიცდება აღნიშნული სისტემის მეშვეობით და გამოიყენება როგორც ბეჭედი, ისე ელექტრონული ხელმოწერები. უნივერსიტეტი ასევე თავისი მოვალეობის და კანონით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, აწარმოებს ინსტიტუციურ რეესტრს.

ბიზნეს უწყვეტობა აღიარებულია, როგორც ინსტიტუციური ოპერაციების მდგრადობის აუცილებელი კომპონენტი. შემუშავებულია გეგმა, რომელიც ეხება ძირითადი პროცესების უწყვეტობას. თუმცა, აღნიშნული დოკუმენტი საჭიროებს განახლებას, რათა ყოვლისმომცველად აისახოს მიმდინარე და მოსალოდნელი რისკები. უნდა გაფართოვდეს პრევენციული მიდგომები და შემსუბუქების სტრატეგიები, რათა უზრუნველყოფილი იყოს კრიზისული სიტუაციებისთვის მზადყოფნა, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიონ სასწავლო პროცესზე, ადმინისტრაციულ საქმიანობაზე ან ინფრასტრუქტურაზე. ავტორიზაციის პაკეტში წარმოდგენილი ბიზნეს უწყვეტობის გეგმა დამტკიცებულია 2019 წელს. დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ საანგარიშო პერიოდში გადაიხედა ბიზნეს უწყვეტობის გეგმა, თუმცა მეთოდოლოგია არ განახლებულა. შესაბამისად, დოკუმენტი მოიცავს გეგმას, რომელიც უნდა ყოფილიყო განახლებული და მორგებული მიმდინარე პროცესებზე. მოთხოვნის შესაბამისად, უნივერსიტეტმა ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა წინა წლების გეგმის შესრულების ანგარიშები. თუმცა, არ არის შემუშავებული მომავალი წლებისთვის დაგეგმილი აქტივობების გეგმა. შესაბამისად, რეკომენდებულია, ეტაპობრივად შეიცვალოს ბიზნეს უწყვეტობის გეგმა, რომ სამოქმედო გეგმაში აისახოს შესაბამისი პრევენციული აქტივობები.

უნივერსიტეტმა შეიმუშავა მართვის ეფექტურობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა (2020 - 2025), რომელიც აღწერს უნივერსიტეტის სტრატეგიულ გეგმაში დასახული მიზნების და ამოცანების შესრულების ანგარიშს, ასევე, 2019 - 2024 წლების SWOT ანალიზს და 2026 - 2032 წლების განვითარების პერსპექტივებს. დოკუმენტში ასევე განხილულია საანგარიშო პერიოდში გარე შეფასებების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულება.

უნივერსიტეტისთვის პრიორიტეტია ინტერნაციონალიზაცია, შემუშავებულია პოლიტიკა, რომელიც მხარს უჭერს სტუდენტების და პერსონალის მობილობას, ერთობლივ ინიციატივებს და საერთაშორისო კვლევებში მონაწილეობას. ხელმძღვანელობა აღიარებს საერთაშორისო ჩართულობის სტრატეგიულ მნიშვნელობას. თუმცა, შეზღუდულია მიმდინარე აქტივობების მასშტაბი და გავლენა. გაცვლითი შესაძლებლობების რაოდენობის გაზრდა და თანამშრომლობითი კვლევის ინსტიტუციური მხარდაჭერის გაუმჯობესება

გაამლიერებს საერთაშორისო ხილვადობას და პარტნიორობას. გარდა ამისა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დაწესებულების საქმიანობაში ინტერნაციონალიზაციის შედეგების ეფექტურ გამოყენებას. პერსონალის და სტუდენტების ინგლისური ენის კომპეტენციის გაუმჯობესების მექანიზმების გაძლიერება ხელს შეუწყობს აქტიურ ჩართულობას საერთაშორისო აკადემიურ გარემოში.

ვიზიტის დროს გამოვლინდა, რომ უნივერსიტეტი 2012 წლიდან მონაწილეობს სხვადასხვა პროექტებში. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული გრანტების ფარგლებში შემენილ იქნა აღჭურვილობა და შეიქმნა ლაბორატორიები. მიმდინარე ეტაპზე, დაწესებულებას აქვს 5 აქტიური გაცვლითი პროგრამა, რომელიც მოიცავს როგორც პერსონალის, ისე სტუდენტების მობილობას. ყოველ სემესტრში, გაცვლითი პროგრამების ფარგლებში 2 - 3 სტუდენტი იგზავნება უცხოურ უნივერსიტეტში. ვენის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ჩატარდა ონლაინ საზაფხულო სკოლა, ასევე, იმართება მოკლევადიანი საზაფხულო და ზამთრის სკოლები, მათ შორის თურქეთის უნივერსიტეტებთან პარტნიორობით. მაგალითად, ვეტერინარიის სფეროში უნივერსიტეტი თანამშრომლობს ყარსის უნივერსიტეტთან და სტაჟირებაზე აგზავნის დაახლოებით 30 სტუდენტს. სტაჟირებაზე სტუდენტებს მიჰყვება ადმინისტრაციული პერსონალი. ასევე, მოკლევადიანი პროგრამების ფარგლებში სტუდენტები იგზავნებიან თურქეთში. უნივერსიტეტს აქვს გაცვლითი პროგრამა გერმანიის უნივერსიტეტთან, სადაც მიღებული ცოდნა აღიარებულია როგორც სტუდენტების სრული სტაჟირება სოფლის მეურნეობის სფეროში. სტუდენტები გერმანიაში გადიან ანაზღაურებად სტაჟირებას. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მობილობაში მონაწილეობა მიიღო 20 - ზე მეტმა სტუდენტმა.

უნდა აღინიშნოს, რომ ინსტიტუციური დოკუმენტების და თვითშეფასების ანგარიშის ინგლისური თარგმანის ხარისხი საჭიროებს დამატებით ყურადღებას. სიზუსტე და თანმიმდევრულობა ქართულ და ინგლისურ ვერსიებს შორის გაუმჯობესებს ძირითადი ინფორმაციის სიცხადეს, სანდოობას და საერთაშორისო შედარებადობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის სტრუქტურა;
- დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები;
- მმართველ ორგანოებში არჩევის / დანიშვნის წესები და პროცედურები;
- ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა;
- მართვის ეფექტურობისა და შეფასების სისტემის მონიტორინგის მექანიზმები;
- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და მექანიზმები;
- ინტერვიუს შედეგები;
- თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

2.1.1. რეკომენდებულია, ეტაპობრივად განახლდეს ბიზნესის უწყვეტობის გეგმა მიმდინარე და შესაბამისი გამოწვევების გათვალისწინებით და სამოქმედო გეგმაში აისახოს პრევენციული აქტივობები.

2.1.2. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გაამლიეროს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, გაზარდოს გაცვლით პროგრამებში პერსონალის და სტუდენტების მონაწილეობის შესაძლებლობები და გაამლიეროს კვლევის ინტერნაციონალიზაცია.

2.1.3. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გაამლიეროს პერსონალის და სტუდენტების ინგლისური ენის კომპეტენციის გაუმჯობესების მექანიზმები.

რჩევები:

2.1.1. სასურველია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს თვითშეფასების ანგარიშის და წარმოდგენილი დოკუმენტაციის ინგლისურენოვანი თარგმანის სიზუსტე და ქართულენოვან ვერსიებთან თანმიმდევრულობა.

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

არ ეხება

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

- უსდ - ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ - ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ - ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.
- უსდ - ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულება აჩვენებს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ვალდებულებას, სადაც თითოეული სტრუქტურული ერთეული აქტიურად უჭერს მხარს ხარისხთან დაკავშირებულ პროცესებს. ადამიანური, საინფორმაციო და მატერიალური რესურსების განაწილება ზოგადად უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ ფუნქციონირებას. აღნიშნული სისტემა ხელს უწყობს ინსტიტუციური საქმიანობის, მათ შორის სწავლების ხარისხის, რესურსების მართვის და სტუდენტების მომსახურების უწყვეტ შეფასებას და გაუმჯობესებას.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ავლენს მკაფიო ვალდებულებას სწავლება - სწავლის, კვლევის და მართვის უწყვეტი გაუმჯობესების მიმართ. სისტემა ეფექტურად უჭერს მხარს სტუდენტების, აკადემიური პერსონალის და მოწვეული პერსონალის პოტენციალის განვითარებას და რეალიზაციას და უზრუნველყოფს სწავლება - სწავლის ოპტიმალურ გარემოს. არსებული მექანიზმები ეყრდნობა შიდა და გარე შეფასების ინსტრუმენტებს, რაც უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების უწყვეტობას და ციკლურობას. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩო სისტემატურად არის აგებული PDCA ციკლის გარშემო, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხის გაუმჯობესების თანმიმდევრულ და ფართოდ აღიარებულ მეთოდოლოგიას. PDCA ციკლის გამოყენება ყოვლისმომცველია. ის გამოყენებულია როგორც უწყვეტი განვითარების მოდელი, ახალი პროექტების შემუშავების საფუძველი და პროცესების და პროდუქტების შექმნის ან გაუმჯობესების ინსტრუმენტი. გარდა ამისა, ის ხელს უწყობს მონაცემების შეგროვების დაგეგმვის პროცესში პრობლემების და ძირითადი მიზეზების კლასიფიკაციას და პრიორიტეტის მინიჭებას. PDCA ციკლი ასევე თანმიმდევრულად არის გამოყენებული ინსტიტუციური ცვლილებების განხორციელებისას.

აღსანიშნავია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გაძლიერდა წინა ავტორიზაციის პროცესში გაცემული რეკომენდაციის შესაბამისად. კერძოდ, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში დაინიშნა ხელმძღვანელი, ხოლო ფაკულტეტის პერსონალს დაემატა დამატებითი სპეციალისტი.

ხელმძღვანელობა მუდმივად იყენებს შეფასების შედეგებს დასაბუთებული და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მისაღებად. მონაცემებზე დაფუძნებულმა დაგეგმვამ და განვითარებამ გააუმჯობესა აკადემიური და ადმინისტრაციული პროცესები, რაც ასახავს კულტურას, რომელიც აფასებს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ გაუმჯობესებას. დაწესებულებამ შეიმუშავა პერსონალის საქმიანობის შეფასების ყოვლისმომცველი სისტემა, რომელიც მოიცავს აკადემიურ, მოწვეულ, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს, უზრუნველყოფს ანგარიშვალდებულებას და ინსტიტუციური მიზნების შესაბამისად ხელს უწყობს პროფესიულ განვითარებას.

სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგი ხორციელდება მკაფიოდ განსაზღვრული მექანიზმებით. შეფასების შედეგები გაანალიზებულია და გამოყენებულია სწავლების მიდგომების და დამხმარე სისტემების დასახვეწად, რაც ხელს უწყობს სწავლის შედეგების გაუმჯობესებას. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და განვითარება არის თანამშრომლობითი პროცესი, რომელშიც აქტიურად მონაწილეობს აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, დამსაქმებლები და კურსდამთავრებულები. აღნიშნული ინკლუზიური მიდგომა ხელს უწყობს პროგრამების აქტუალობას და შრომის ბაზრის და საზოგადოების საჭიროებებზე რეაგირებას.

ხორციელდება ინსტიტუციური სერვისების და რესურსების პერიოდული შეფასება, რომლის შედეგები წარმოადგენს მიზნობრივი გაუმჯობესების საფუძველს. ტარდება სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების პერიოდული გამოკითხვები, მათ შორის სტუდენტების სემესტრული გამოკითხვები. ხორციელდება გამოკითხვების ფარგლებში შეგროვებული ინფორმაციის ანალიზი, რომლის შედეგები გამოიყენება

მიზნობრივი გაუმჯობესების გეგმების შესამუშავებლად. აღნიშნული აჩვენებს პროაქტიულ დამოკიდებულებას მაღალი ხარისხის შენარჩუნების და ცვალებად გარემოში ადაპტაციის მიმართ.

დაწესებულებას ასევე შემუშავებული აქვს სტუდენტური კონტიგენტის დაგეგმვის პროცედურები. აღნიშნული პროცესის მეთოდოლოგია ფორმალურად არის განსაზღვრული და ითვალისწინებს ინსტიტუციურ პრიორიტეტებთან შესაბამის სამიზნე ნიშნულებს. მეთოდოლოგია ასევე ითვალისწინებს სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის სტრუქტურირებულ მიდგომას, რომელიც მოიცავს უნივერსიტეტის მდგრადი და ეფექტური ფუნქციონირებისთვის აუცილებელ ფაქტორებს. კერძოდ, დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია დაწესებულების მატერიალური და ტექნიკური რესურსები, მათ შორის პრაქტიკული კომპონენტების ობიექტები, ადამიანური რესურსები, კერძოდ, აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ხელმისაწვდომობა და შესაძლებლობები, შრომის ბაზრის მიმდინარე მოთხოვნები, თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკური მახასიათებლები და აქტუალობა. თუმცა, საჭიროა, შემდგომი დახვეწა, რომ სტუდენტური კონტიგენტის დაგეგმვა სრულად ასახავდეს არსებული რესურსების რაოდენობრივ მაჩვენებლებს, მათ შორის აკადემიური პერსონალის რაოდენობას, ინფრასტრუქტურას და ფინანსურ შესაძლებლობებს, მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების რაოდენობას, სტატუსის შეჩერებას და მობილობის მონაცემებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და მათი ეფექტურობის შეფასება;
- გამოკითხვის შედეგების ანალიზი (სტუდენტები, პერსონალი და ა.შ) და შესაბამისი ანგარიშები;
- ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა და შესაბამისი ანგარიშები;
- სტუდენტური კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია;
- ინტერვიუს შედეგები;
- თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

2.2.1. რეკომენდებულია, სტუდენტთა კონტინგენტი განისაზღვროს უნივერსიტეტის მიერ დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად და გამყარებული იყოს ხელმისაწვდომი რესურსების რაოდენობრივი ინდიკატორებით, საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების და მობილობის მონაცემების გათვალისწინებით.

რჩევები:

არ ეხება

საუკეთესო პრაქტიკა(ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

არ ეხება

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

- უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია.
- უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები.
- უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტს პერსონალისთვის და სტუდენტებისთვის შემუშავებული აქვს ეთიკის და ქცევის ყოვლისმომცველი კოდექსები. აღნიშნული კოდექსები მკაფიოდ განსაზღვრავენ ქცევის წესებს და მოიცავენ სტრუქტურირებულ პროცედურებს დარღვევების თავიდან ასაცილებლად, რაც ასახავს დაწესებულების ვალდებულებას, შექმნას პასუხისმგებლიანი და პატივისცემით სავსე აკადემიური გარემო. ადმინისტრაცია აქტიურად ავრცელებს ინფორმაციას ეთიკური ნორმების შესახებ ინიციატივების და საინფორმაციო

შეხვედრების მეშვეობით, რაც ხელს უწყობს ისეთი კულტურის ჩამოყალიბებას, სადაც დაფასებულია და დაცულია კეთილსინდისიერება. აღნიშნული აქტივობების მასშტაბის და სიხშირის გაფართოება კიდევ უფრო აამაღლებს აკადემიური საზოგადოების ცნობიერებას ეთიკური სტანდარტების და მათი გათვალისწინების ვალდებულების შესახებ.

დანერგილია პლაგიატის გამოვლენის და პრევენციის მექანიზმები. შემუშავებულია აკადემიური კეთილსინდისიერების რეგულაციები და გადაცდომების შემთხვევაში გამოიყენება რეაგირების შესაბამისი პროცედურები. ცნობიერების ამაღლების ინიციატივები, პლაგიატის გამოვლენის ინსტრუმენტების (Turnitin, ინტეგრირებული Moodle - ში) გამოყენებასთან ერთად, ხელს უწყობს აკადემიური გადაცდომების პრევენციას. აღნიშნულ პროცესს ზედამხედველობს პლაგიატის კომიტეტი, ხოლო სასწავლო პროცესის მართვის სამსახური ამოწმებს სტუდენტების მიერ წარდგენილ ნაშრომებს. საანგარიშო პერიოდში, 2020 წლიდან 2025 წლის გაზაფხულის სემესტრის ჩათვლით, პლაგიატის გამოვლენის, პრევენციის და გადაცდომებზე რეაგირების კომისიამ ჩაატარა 80 სხდომა. აღნიშნული აჩვენებს უნივერსიტეტის სისტემატურ და პროაქტიულ მიდგომას აღმოფხვრას აკადემიური გადაცდომები და შეინარჩუნოს აკადემიური კეთილსინდისიერება. მიუხედავად ამისა, საგანმანათლებლო კამპანიების შემდგომი გაძლიერება გაზრდის აღნიშნული მექანიზმების საერთო ეფექტურობას.

უნივერსიტეტი აჩვენებს აკადემიური კეთილსინდისიერების მკაფიო ვალდებულებას. აკადემიური პერსონალი სარგებლობს კვლევის ავტონომიურობით, პროფესიული თავისუფლებით და სილაბუსების შემუშავების, შეფასების სისტემების და ლიტერატურის პერიოდული გადახედვის და განახლების შესაძლებლობით. აღნიშნულ პრაქტიკას ავსებს პასუხისმგებლობების გაზიარებული კულტურა, რომელიც უზრუნველყოფს პატივისცემით სავსე აკადემიური გარემოს შენარჩუნებას. აღნიშნული ღირებულებების შესახებ ცნობიერების ამაღლება და ყოველდღიურ აკადემიურ პროცესებში გათვალისწინება ხელს შეუწყობს დაინტერესებულ მხარეებს შორის თანმიმდევრული გაგების უზრუნველყოფას.

თუმცა, კვლავ ახალ გამოწვევად რჩება ხელოვნური ინტელექტის ეთიკური გამოყენება. არ არის ჩამოყალიბებული ფორმალური რეგულაციები და ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებული ეთიკურ საკითხები ამჟამად წყდება ლექტორსა და სტუდენტს შორის კომუნიკაციის ფარგლებში. აღნიშნულ საკითზე რეაგირების მიზნით, უნივერსიტეტმა ჩაატარა შეხვედრები, ტრენინგები და საზაფხულო სამუშაო შეხვედრები განათლებაში ხელოვნური ინტელექტის ეთიკური გამოყენების საკითხებზე, რომელსაც ესწრებოდნენ სტუდენტები, პერსონალი და სხვა დაინტერესებული მხარეები. სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს ფორმალური რეგულაციები საგანმანათლებლო პროცესში ხელოვნური ინტელექტის ეთიკური გამოყენების შესახებ. აღნიშნული რეგულაციები აამაღლებს აკადემიური პერსონალის და სტუდენტების ცნობიერებას საგანმანათლებლო პროცესში ხელოვნური ინტელექტის პასუხისმგებლიანი გამოყენების შესახებ და ხელს შეუწყობს აკადემიური გადაცდომების თავიდან აცილებას.

ვიზიტის დროს გამოვლინდა, რომ საჭიროა უნივერსიტეტმა ჩაატაროს დამატებითი ღონისძიებები აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ სტუდენტების და პერსონალის ცნობიერების ამაღლების მიზნით. ასევე, დაწესებულებამ უფრო ფართოდ უნდა გაავრცელოს აკადემიური კეთილსინდისიერების კოდექსი. სტუდენტებმა განაცხადეს, რომ საგამოცდო პროცესში უნივერსიტეტი ინარჩუნებს მკაცრ მიდგომას პლაგიატის და აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევების მიმართ. საგამოცდო ცენტრში დაცულია სიმკაცრე, ნაწერები დაშიფრულია და სტუდენტებს აქვთ გასაჩივრების უფლება, თუმცა ინტერვიუს ფარგლებში აღინიშნა, რომ მათ არ ჰქონიათ აღნიშნული მექანიზმის გამოყენების საჭიროება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ეთიკის და ქცევის კოდექსები, გადაცდომებზე რეაგირების პროცედურები;
- პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების და გადაცდომებზე რეაგირების პროცედურები;
- უნივერსიტეტის წესდება;
- ინტერვიუს შედეგები;
- თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

2.3.1. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა აამაღლოს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ცნობიერება აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების შესახებ.

რჩევები:

2.3.1. სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს ფორმალური რეგულაციები სასწავლო პროცესში ხელოვნური ინტელექტის ეთიკური გამოყენების შესახებ. აღნიშნული რეგულაციები აამაღლებს აკადემიური პერსონალის

და სტუდენტების ცნობიერებას სასწავლო პროცესში ხელოვნური ინტელექტის პასუხისმგებლიან გამოყენების შესახებ და ხელს შეუწყობენ აკადემიური გადაცდომების თავიდან აცილებას.
საუკეთესო პრაქტიკა(ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ ეხება
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ - ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
უსდ - ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს საგანმანათლებლო პროგრამების ყოვლისმომცველ პორტფოლიოს, რომლებიც ხორციელდება სხვადასხვა ფაკულტეტზე და მოიცავს ბოლონიის ციკლის დონეების სრულ სპექტრს, მათ შორის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებს. ამჟამად, უნივერსიტეტი ახორციელებს ჯამში 31 აკრედიტებულ პროგრამას, მათ შორის 11 საბაკალავრო, 7 სამაგისტრო, 2 ერთსაფეხურიან მასწავლებლის მომზადების პროგრამას, 8 სადოქტორო (მათ შორის 2 ერთობლივი სადოქტორო პროგრამა, რომლებიც ხორციელდება როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებზე), მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიან, ქართულ ენაში მომზადების 60 კრედიტიან და 7 პროფესიული განათლების და მომზადების პროგრამებს. ყველა პროგრამას მინიჭებული აქვს აკრედიტაცია, რაც უზრუნველყოფს ხარისხის ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას. აღნიშნული ფართო სპექტრი აჩვენებს სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვალდებულებას განახორციელოს მრავალფეროვანი და მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც შეესაბამება როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო სტანდარტებს. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების და გაუქმების მყარი, სისტემატური მეთოდოლოგია. სახელმძღვანელო დოკუმენტი, „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების და გაუმჯობესების მეთოდოლოგია, ცვლილების განხორციელების და გაუქმების პროცედურები“. (მტკიცებულება 3.1 - თვითშეფასების ანგარიშის დანართი) აღწერს ყველა შესაბამის პროცედურას. აღნიშნული მარეგულირებელი პროცედურები უზრუნველყოფენ თითოეული პროგრამის შესაბამისობას უნივერსიტეტის მისიასთან, სტრატეგიულ პრიორიტეტებთან, სამოქმედო გეგმებთან და ისეთ სამართლებრივ და მარეგულირებელ ჩარჩოებთან, როგორიცაა: საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული აკრედიტაციის და ავტორიზაციის სტანდარტები, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო, სწავლის სფეროების კლასიფიკატორი და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დარგობრივი მახასიათებლები (იმ სფეროებში, სადაც შემუშავებულია დარგობრივი მახასიათებლები, მაგალითად, ვეტერინარია, სამართალი, მასწავლებლის მომზადება, საჯარო მმართველობა, ბიზნესის ადმინისტრირება და ა.შ.). აღნიშნული სამართლებრივი და პროცედურული საფუძვლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელების შესაბამისობას ეროვნულ ხარისხის უზრუნველყოფის მოთხოვნებთან. სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მოქმედებს ოფიციალურად დამტკიცებული მარეგულირებელი ჩარჩოს ფარგლებში: „სსიპ - სამცხე - ჯავახეთის

სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ (აკადემიური საბჭოს დადგენილება N 14, ოქმი N 4, 2018 წლის 17 თებერვალი). აღნიშნული დოკუმენტის მე-4 მუხლი მკაფიოდ განსაზღვრავს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და გაუმჯობესების მეთოდოლოგიას. ამ მეთოდოლოგიის თანახმად, პროცესი ინკლუზიური და მონაწილეობითია. პროგრამის შემუშავებაში ან გადახედვაში მონაწილეობს აკადემიური პერსონალი, მოწვეული ლექტორები, ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და გარე ექსპერტები.

აღნიშნული თანამშრომლობითი მიდგომა დადასტურდა როგორც თვითშეფასების ანგარიშით, ისე ვიზიტის დროს დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული ინტერვიუებით: პროგრამების შემუშავება ხორციელდება რექტორის მიერ დანიშნული სპეციალიზებული განვითარების ჯგუფების მიერ, რომელთა შემადგენლობაშიც შედიან ყველა შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები. აღნიშნული ჯგუფები ქმნიან სასწავლო გეგმების პროექტებს, რომლებსაც შემდეგ განიხილავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ინსტიტუციურ მიზნებთან და ხარისხის სტანდარტებთან შესაბამისობის დადასტურების მიზნით. დადებითი შეფასების შემთხვევაში, პროგრამები განსახილველად გადაეცემა ფაკულტეტის საბჭოებს, ხოლო პროგრამებს საბოლოოდ ამტკიცებს სენატი. ინტერვიუს შედეგები მიუთითებს რომ, საერთო ჯამში, აღნიშნული პროცესი ეფექტური, მონაწილეობითი და გამჭვირვალეა, თუმცა უნდა გაუმჯობესდეს გარე დაინტერესებული მხარეების, მათ შორის დამსაქმებლების და კურსდამთავრებულების ჩართულობა, რომ უზრუნველყოფილი იყოს პროცესის პროფესიულ პრაქტიკასთან შესაბამისობა.

პროგრამის უწყვეტი შეფასების და გაუმჯობესების მიზნით, სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს დანერგილი აქვს პროგრამის შეფასების და გაუმჯობესების უწყვეტი, მტკიცებულებებზე დაფუძნებული სისტემა. რეგულარული გამოკითხვების, დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუების და შიდა ანალიზის მეშვეობით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გასცემს ქმედით რეკომენდაციებს, რომლებიც განსახორციელებლად ეგზავნება სენატს. მაგალითად, გარკვეულ სასწავლო გეგმებს აკადემიური პერსონალის მოთხოვნით დაემატა სამართლის მოდულები. პროგრამების განახლებები, რომლებიც დაკავშირებული იყო დარგში არსებულ ტენდენციებთან ინიცირებული იყო მოწვეული სპეციალისტების მიერ.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ინტერვიუების შედეგების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ 2024 - 2025 სასწავლო წლიდან უნივერსიტეტმა დაიწყო 180 კრედიტიანი "საჯარო მმართველობის" და "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამების განხორციელება. გარდა ამისა, პროგრამების გაუმჯობესების პროცესში შეიცვალა:

- კრედიტების გაანგარიშების წესები N3 (2007) ბრძანების შესაბამისად,
- უნივერსიტეტის რეგულაციები სტუდენტების შეფასების შესახებ,
- ეროვნული გამოცდების გარეშე აპლიკანტების ჩარიცხვის პროცედურები N224 / ნ (2011) ბრძანების შესაბამისად,
- გადაიხედა სადოქტორო პროგრამები და სადისერტაციო საბჭოს რეგულაციების სადოქტორო განათლების ჩარჩო დოკუმენტის მოთხოვნების (ბრძანება N141 / ნ, 2024 წლის 30 აგვისტო) შესაბამისად.

2025 წელს, დაწესებულების და სამინისტროს მითითებების შესაბამისად, ინფორმატიკის და აგრონომიის სადოქტორო პროგრამები გადავიდა სრული განაკვეთის ფორმატზე.

აღნიშნული პრაქტიკა ასახავს უნივერსიტეტის რეაგირებას როგორც აკადემიურ განვითარებაზე, ისე ბაზრის საჭიროებებზე და აჩვენებს პროგრამების დახვეწის პროცესში აკადემიური პერსონალის აქტიურ ჩართულობას.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ 2023 - 2024 (და სადაც რელევანტურია - 2024 - 2025) წლებში განხორციელებული პროგრამების შეფასების დეტალური ანგარიშების (მტკიცებულება N 3.3, თვითშეფასების ანგარიშის დანართი) თანახმად, დაინტერესებულმა მხარეებმა, მათ შორის სტუდენტებმა, აკადემიურმა პერსონალმა და გარე პარტნიორებმა მაღალ დონეზე გამოხატეს პროგრამებით კმაყოფილება. შეფასების მონაცემები მკაფიოდ მიუთითებს, რომ სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამები ეფექტურად უზრუნველყოფენ დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას და შეესაბამებიან უნივერსიტეტის მისიას.

მიუხედავად იმისა, რომ არსებული სისტემა კარგად არის შემუშავებული და ეფექტურად ხორციელდება, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სასურველია სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გააძლიეროს შრომის ბაზრის კვლევა. განვითარებადი პროფესიული ტენდენციების სისტემატური და დეტალური შესწავლა ხელს შეუწყობს მოქმედი და სამომავლო პროგრამების მკაფიო შესაბამისობას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, განსაკუთრებით სწრაფი ეკონომიკური, ტექნოლოგიური და სოციალური ცვლილებების კონტექსტში.

ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, დამსაქმებლებთან ფორმალური ურთიერთობა ხორციელდება გაფორმებული ხელშეკრულებების, გამოკითხვების და დასაქმების ფორუმების მეშვეობით. თუმცა, შეზღუდულია მტკიცებულებები სასწავლო გეგმის და შეფასებების შემუშავებაში და პროგრამების სისტემატურ გაუმჯობესებაში მათი შინაარსობრივი ჩართულობის შესახებ. ასევე, არ არსებობს დოკუმენტაცია პროგრამის გადახედვის პროცესში სასწავლო გეგმის კომიტეტებში, შეფასების კრიტერიუმების შემუშავებაში დამსაქმებლების ჩართულობის და მათი უკუკავშირის სტრუქტურირებული ინტეგრაციის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ ინტერვიუების ფარგლებში დამსაქმებლებმა და აკადემიურმა პერსონალმა აღნიშნა, რომ პროგრამებში გათვალისწინებულია მათ მიერ რეკომენდებული სასწავლო კურსები და თემები (როგორიცაა, პროექტების მართვა, რუსული ენა, აგრობიზნესი, აგრო ბიომრავალფეროვნება, ბიოტექნოლოგია, საინვესტიციო დაფინანსება და ორგანიზაციული განვითარება) და შემუშავებულია პრაქტიკული უნარების და კომპეტენციების გაძლიერებაზე ორიენტირებული სასწავლო კომპონენტები და აქტივობები, აღნიშნული მკაფიოდ არ არის ასახული თვითშეფასების ანგარიშში და პროგრამების შეფასების ანგარიშებში. გამოკითხვის შედეგების ანალიზი ასევე აჩვენებს, რომ არ შესრულებულა დამსაქმებლების რჩევების დაახლოებით 28%.

მიუხედავად ამისა, ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები იძლევა დამსაქმებლის ჩართულობის უფრო დადებით სურათს, რაც მიუთითებს არაფორმალურ კომუნიკაციაზე და ადასტურებს, რომ სასწავლო კურსებში / პროგრამებში გათვალისწინებულია გარე დაინტერესებული მხარეების რჩევების დაახლოებით 15 - 20%.

პროგრამის შემუშავებისთვის, რომელიც დაფუძნებულია შრომის ბაზრის კვლევაზე აუცილებელია არა მხოლოდ დამსაქმებლების და კურსდამთავრებულების გამოკითხვების შედეგების ანალიზი, არამედ სტანდარტიზებული მეთოდოლოგიის გამოყენება, რომელიც იძლევა პროფესიული განვითარების ტენდენციების და წარმატებული დასაქმებისთვის საჭირო უნარების სისტემატური და ყოვლისმომცველი ანალიზის საშუალებას. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების შესაბამისობას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და დასაქმებისთვის აუცილებელ კომპეტენციებთან და, რაც მთავარია, ხელს უწყობს პროგრამაში მომავალზე ორიენტირებული სასწავლო კურსების და თემატური სფეროების ინტეგრაციას.

რაც შეეხება პროგრამის შემუშავების პროცესში სტუდენტების ჩართულობას, უნდა აღინიშნოს, რომ მეთოდოლოგია ითვალისწინებს სტუდენტების აქტიურ მონაწილეობას სხვადასხვა ფორმით, როგორიცაა გამოკითხვები, თვითშეფასების და / ან პროგრამის შემუშავების ჯგუფების წევრობა და სხვა მექანიზმების გამოყენებით საკუთარი იდეების და მოსაზრებების წარდგენას. შესწავლილი დოკუმენტაციით და ინტერვიუების შედეგებით დადგინდა, რომ სტუდენტების ჩართულობა ძირითადად შემოიფარგლება კმაყოფილების კითხვარების შევსებით. გამოიკვეთა, რომ სტუდენტები არ იყვნენ სათანადოდ ინფორმირებულნი თვითშეფასების და პროგრამის შემუშავების ჯგუფების საქმიანობის შესახებ. შესაბამისად, სასურველია, გაძლიერდეს და განხორციელდეს პროგრამის შემუშავების პროცესში სტუდენტების ჩართულობის სისტემატიზაცია.

უნივერსიტეტმა გაითვალისწინა და მაქსიმალურად ასახა საგანმანათლებლო პროგრამებში წინა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები და რჩევები. აღნიშნული დასტურდება თვითშეფასების ანგარიშით და თანდართული მტკიცებულებებით, რომლებშიც აღწერილია კლასტერული აკრედიტაციის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები.

თუმცა, ზოგიერთ წარმოდგენილ ანგარიშში სრულად არ არის აღწერილი კლასტერული აკრედიტაციის ფარგლებში ინდივიდუალური პროგრამების გაუმჯობესების მიზნით გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე განხორციელებული ცვლილებები. მიუხედავად ამისა, დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტაციის შესწავლის და ინტერვიუების შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ აღნიშნული რეკომენდაციების უმეტესობა უკვე გათვალისწინებულია ან გათვალისწინების პროცესშია. თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნული ინფორმაციის სრულად ასახვა (და / ან თანდართულ დოკუმენტებში) ძირითადად შეზღუდული იყო საავტორიზაციო პაკეტის წარსადგენად დადგენილი ვადებით. გარდა ამისა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ, მისი მოცულობის მიუხედავად, თვითშეფასების ანგარიში მოიცავს მხოლოდ ანალიტიკურ ინფორმაციას პროგრამების შემუშავების პროცესების და განხორციელებული აქტივობების შესახებ. რამდენიმე სტანდარტის აღწერილობაში პროგრამებთან დაკავშირებული პროცესების და ანალიზის ნაცვლად ძირითადად მითითებულია ნორმატიული დოკუმენტები და მარეგულირებელი პროცედურები, რომლებიც წარმოდგენილია მტკიცებულებების სახით.

დეტალური ინფორმაცია პროგრამების შემუშავების, განვითარების შესახებ და შესაბამისი ანალიტიკური მონაცემები წარმოდგენილია სხვადასხვა დანართებში, როგორიცაა აკადემიური მოსწრების ანგარიშები,

სწავლის შედეგების შეფასების ანალიზები, რეკომენდაციების შესრულების ანგარიშები და შეხვედრების ოქმები, რომლებიც მოიცავენ ინფორმაციას სიღრმის, სისრულის და თანამიმდევრულობის სხვადასხვა დონეზე.

შესაბამისად, თვითშეფასების ანგარიშის შესწავლისას, ექსპერტთა ჯგუფმა აღმოაჩინა, რომ დოკუმენტს აკლია მტკიცებულებების უმეტესი ნაწილი. აღწერილობები ძირითადად ანალიტიკურია ვიდრე პროცედურული, არ არის მითითებული პროგრამის რეალური შესრულების ინდიკატორები და არ არის წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების SWOT ან რისკების ანალიზი. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ნაკლოვანებების მიუხედავად, თვითშეფასების ანგარიშში, კერძოდ, მე - 3 სტანდარტში ხაზგასმულია მნიშვნელოვანი გასაუმჯობესებელი სფერო: „რეგიონის საჭიროებების გათვალისწინებით საგანმანათლებლო პროგრამების დამატება განათლების მიმართულებით“, თუმცა არ არის ნახსენები პროგრამის განხორციელებასთან (მაგალითად, ერთობლივი სადოქტორო პროგრამები) ან სხვა გამოწვევებთან დაკავშირებული პოტენციური რისკები.

აღნიშნულ კონტექსტში, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტმა უნდა დახვეწოს თვითშეფასების ანგარიში, შეაგროვოს და ასახოს პროგრამებთან დაკავშირებული ინფორმაცია. სასურველია, თვითშეფასების ანგარიშში უფრო მკაფიოდ იყოს წარმოდგენილი მონაცემები და პროცესების ანალიზი, ხოლო მარეგულირებელი ჩარჩოების აღწერა უნდა გამარტივდეს, იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული ზედმეტი მონაცემები და გაიზარდოს დოკუმენტის სიცხადე და შეფასების შესაძლებლობა.

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტი ახორციელებს ორ ერთობლივ სადოქტორო პროგრამას, რომელთა ყოვლისმომცველი პრინციპები რეგულირდება პარტნიორ საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის გაფორმებული სპეციფიკური ხელშეკრულებებით. თუმცა, უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული პროგრამების შემუშავების და მათში ცვლილებების შეტანის მეთოდოლოგია მკაფიოდ არ განსაზღვრავს და განმარტავს ერთობლივი პროგრამების შემუშავების, განხორციელების, შეფასების, გაუმჯობესების ან, საჭიროების შემთხვევაში, გაუქმების კონკრეტულ პროცედურებს. შესაბამისად, მეთოდოლოგია მკაფიოდ განსაზღვრავს ერთობლივი პროგრამების მართვის სრულ ციკლში ჩართული დაინტერესებული მხარეების როლებს, პასუხისმგებლობებს და ვალდებულებებს.

ობიექტური გარემოებების გამო, ექსპერტთა ჯგუფმა ვერ შეძლო ჩაეტარებინა ყოვლისმომცველი ინტერვიუები ერთობლივი პროგრამების კოორდინატორებთან. მიუხედავად ამისა, პროგრამის განმახორციელებლებთან, სტუდენტებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუების და დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო ინფორმაცია ერთობლივი სადოქტორო პროგრამების ფუნქციონირებასთან და მართვასთან დაკავშირებული ძირითადი ასპექტების შესახებ.

აღნიშნულ კონტექსტში, დაწესებულებამ დამატებით წარმოადგინა სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს და სსიპ - ე. ხარაძის სახელობის საქართველოს ეროვნულ ასტროფიზიკურ ობსერვატორიას შორის გაფორმებული თანამშრომლობის ხელშეკრულება ერთობლივი პროგრამის შემუშავების და განხორციელების შესახებ. ხელშეკრულებაში მკაფიოდ არის განსაზღვრული პარტნიორი დაწესებულებების როლები, პასუხისმგებლობები და ვალდებულებები ასტრონომიის სადოქტორო პროგრამის შემუშავებაში, განხორციელებასა და შემდგომ გაუმჯობესებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა სახელშეკრულებო შეთანხმებაში ოფიციალურად განსაზღვრა ერთობლივი პროგრამის შემუშავების და განხორციელების პროცესში პარტნიორი დაწესებულების მონაწილეობის, წვლილის და პასუხისმგებლობების ფარგლები. აღნიშნული ჩარჩო ქმნის თანამშრომლობის მყარ საფუძველს და შესაძლებელია, მისი შემდგომი დახვეწა და დეტალური პროცედურული სახელმძღვანელოს სახით ინსტიტუციურ მეთოდოლოგიაში ინტეგრირება.

აღნიშნული მიგნებების გათვალისწინებით, სასურველია, უნივერსიტეტმა გადახედოს პროგრამის შემუშავების მეთოდოლოგიას, იმისათვის, რომ მასში აისახოს ცალკე თავი ერთობლივ პროგრამებთან დაკავშირებული კონკრეტული პროცესების შესახებ. აღნიშნულ თავში მკაფიოდ უნდა განსაზღვროს პროგრამის შემუშავების, განხორციელების, შეფასების, უწყვეტი გაუმჯობესების და საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის გაუქმების პროცედურები, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას, თანამიმდევრულობას და პარტნიორ დაწესებულებებს შორის ეფექტურ კოორდინაციას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;
- თვითშეფასების ანგარიში (და თანდართული დოკუმენტაცია, რომლებიც დაკავშირებულია პროგრამის შემუშავებასთან, განვითარებასთან და განხორციელებასთან);

- საგანმანათლებლო პროგრამები (და თანდართული დოკუმენტაცია - ოფიციალური შეხვედრების ოქმები და პროგრამის ანგარიშები, მათ შორის გარე შეფასების ანგარიშები);
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები 2023-2024;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტი;
- ხელშეკრულებები ერთობლივი პროგრამების განხორციელების შესახებ;
- ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

არ ეხება

რჩევები:

3.1.1. სასურველია, სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გააძლიეროს შრომის ბაზრის კვლევა, რომ უკეთ განსაზღვროს განვითარებადი პროფესიული ტენდენციები და უზრუნველყოს პროგრამების შესაბამისობა.

3.1.2. სასურველია, თვითშეფასების ანგარიშში ხაზგასმული იყოს პროგრამის მონაცემების და პროცესების ანალიტიკური ინტერპრეტაცია და შემცირდეს რეგულაციების აღწერილობითი ნაწილი.

3.1.3. სასურველია, გადაიხედოს პროგრამის განვითარების მეთოდოლოგია, დაემატოს ერთობლივი პროგრამებისთვის განკუთვნილი ნაწილი, სადაც მკაფიოდ იქნება განსაზღვრული შემუშავების, განხორციელების, შეფასების, გაუმჯობესების და საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის გაუქმების პროცედურები, რაც პარტნიორ დაწესებულებებს შორის უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და ეფექტურ კოორდინაციას.

საუკეთესო პრაქტიკა(ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

არ ეხება

შეფასება

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით, უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული ინტერვიუებით დადასტურდა, რომ სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ზოგადად აკმაყოფილებს საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურასთან, შინაარსთან და განვითარებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. დაწესებულებას შემუშავებული აქვს მარეგულირებელი და მეთოდოლოგიური ჩარჩოები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამების სისტემატურ შემუშავებას, სტრუქტურის და შინაარსის სიცხადეს და ეროვნულ კანონმდებლობასთან და ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემასთან (ECTS) შესაბამისობას. საანგარიშო პერიოდში, დაწესებულება ახორციელებს 31 აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამას, ხოლო კლასტერული აკრედიტაციის წარმატებით დასრულება დამატებით ადასტურებს ეროვნულ სტანდარტებთან შესაბამისობას.

რაც შეეხება ეროვნულ ჩარჩოებთან შესაბამისობას, პროგრამის სწავლის შედეგები უმეტეს შემთხვევაში მკაფიოდ არის დაკავშირებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების

კლასიფიკატორთან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N 69 / ნ (2019 წლის 10 აპრილი) ბრძანების შესაბამისად. სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული პროგრამის შემუშავების მეთოდოლოგია, უზრუნველყოფს ფაკულტეტებს შორის პროგრამის სტრუქტურის თანამიმდევრულობას.

საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა შეესაბამება სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მოთხოვნებს:

- საბაკალავრო პროგრამები (მინიმუმ 180 კრედიტი, როგორც წესი, 240 კრედიტი): განსაზღვრული ძირითადი სასწავლო გეგმა (მინიმუმ 120 კრედიტი), არჩევითი კომპონენტები, დამატებითი სპეციალობის /მაინორ პროგრამები (30 - 60 კრედიტი) და კონცენტრაცია (30 კრედიტამდე, მათ შორის, საბაკალავრო ნაშრომი).
- სამაგისტრო პროგრამები (მინიმუმ 60 კრედიტი, როგორც წესი, 120 კრედიტი): განსაზღვრული კონცენტრაციის სფეროები კრედიტების საერთო რაოდენობის სულ მცირე 50%), კვლევითი კომპონენტები და სწავლების და კვლევის ინტეგრაცია.
- სადოქტორო პროგრამები (მინიმუმ 3 წელი): სასწავლო კომპონენტი (60 კრედიტამდე), კვლევითი კომპონენტი და სადისერტაციო ნაშრომის მოთხოვნა.
- ინტეგრირებული პროგრამები (300 - 308 კრედიტი): პროფესიული სტანდარტების შესაბამისი ბაკალავრის / მაგისტრის კომბინირებული კვალიფიკაცია (მაგალითად, დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადება, ვეტერინარული მედიცინა).

პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავების პროცესების ანალიზით და პროგრამის დოკუმენტაციის შესწავლით გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტი სწავლის შედეგების განსაზღვრისას იყენებს სისტემურ და თანმიმდევრულ მიდგომას. პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები ასახავს სფეროს სპეციფიკას, კვალიფიკაციის დონეს და პროგრამის სახეს, აერთიანებს ცოდნას, უნარებს და კომპეტენციებს, რომლებიც მოსალოდნელია ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს შესაბამის დონეზე. შემუშავების პროცესი ეფუძნება:

- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებულ დარგობრივ მახასიათებლებს;
- შრომის ბაზრის და დამსაქმებლის მოთხოვნებს;
- საერთაშორისო პროგრამის სამიზნე ნიშნულებს;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის, დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების მოსაზრებებს;
- სწავლის შედეგების შიდა შეფასებების მიგნებებს.

დანერგილია და ფუქნციონირებს პროგრამის მონიტორინგის და გაუმჯობესების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. კურსდამთავრებულთა დასაქმების მონაცემები მიუთითებს, რომ გამოკითხული კურსდამთავრებულების დაახლოებით 70% დასაქმებულია, მსგავსი რაოდენობა დასაქმებულია კვალიფიკაციის შესაბამისად, რაც აჩვენებს დამაკმაყოფილებელ შესაბამისობას პროგრამის შინაარსს და შრომის ბაზრის საჭიროებებს შორის.

თუმცა, გამოვლინდა მნიშვნელოვანი ხარვეზები სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში დამსაქმებლების საჭიროებების და შრომის ბაზრის კვლევის შედეგების გათვალისწინებასთან დაკავშირებით (როგორც ეს აღნიშნულია 3.2 კომპონენტში). მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აქტივობები ფორმალურად მიუთითებს პროგრამის სწავლის შედეგების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მცდელობაზე, თანხვედრის რეალური დონე კვლავ შეზღუდულია. წარმოდგენილი დოკუმენტაციის, განსაკუთრებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული შრომის ბაზრის და სხვადასხვა პროგრამების ფარგლებში ჩატარებული დამსაქმებლების და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგების ანალიზის შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ რამდენიმე შემთხვევაში, გამოვლენილი საჭიროებები და გაცემული რეკომენდაციები საკმარისად არ ასახავს პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირების მოდიფიცირებისთვის აუცილებელ და მნიშვნელოვან ინფორმაციას. შესაბამისად, აღნიშნული მიგნებების გათვალისწინებით, კვალიფიკაციით დასაქმების

მაჩვენებელი (48%, რომელიც აღწევს 60% - ს) მიუთითებს პროგრამის შინაარსს, სწავლის შედეგებს და შრომის ბაზრის კონკრეტულ მოთხოვნებს შორის შესაბამისობის გაძლიერების შესაძლებლობაზე.

გარდა ამისა, დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგებში მითითებულია პროგრამის განვითარების მიზნით გაცემული ძირითადი რეკომენდაციები: (1) პროგრამა უნდა მოიცავდეს პრაქტიკული უნარების განვითარებას, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების პროფესიული მზაობის შესაბამის დონეს; (2) პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები უნდა მოიცავდეს გუნდური მუშაობის უნარებს, კრიტიკულ აზროვნებას, პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობებს და შემოქმედებითობას; (3) სწავლის შედეგები უნდა შეესაბამებოდეს რეგიონის ეკონომიკურ და სოციალურ საჭიროებებს.

აღნიშნული საკითხები ასევე დადასტურდა ინტერვიუს ფარგლებში. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და პროგრამების გუნდებმა აქტიურად იმუშავეს, იმისათვის, რომ მაქსიმალურად გაეთვალისწინებინათ აღნიშნული რეკომენდაციები პროგრამების და სასწავლო კურსების შემუშავებისა და მოდიფიცირების პროცესში. თუმცა, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხვის შედეგების ანალიზის და ინტერვიუების მეშვეობით არ გამოვლენილა პროგრამების ან კურსების სწავლის შედეგების განვითარების მიზნებთან დაკავშირებული დამატებითი, უფრო მნიშვნელოვანი რეკომენდაციები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის და ინტერვიუების შედეგების საფუძველზე გამოიკვეთა პროგრამის და კურსის მიზნების, ასევე სწავლის შედეგების შემუშავებაში დამსაქმებლების ჩართულობის სხვადასხვა დონე. მიგნებები მიუთითებს, რომ ვეტერინარული მედიცინის, მასწავლებლის მომზადების და ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამები უფრო მჭიდროდ არის დაკავშირებული დამსაქმებლების საჭიროებებთან, მაშინ როდესაც დამსაქმებლების ჩართულობა ინფორმაციული ტექნოლოგიების და სამართლის პროგრამებში შედარებით შეზღუდულია. აღნიშნულთან დაკავშირებით, რეკომენდებულია, სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გააძლიეროს დამსაქმებლებთან კომუნიკაცია და თანამშრომლობა ყველა სფეროში, უზრუნველყოს მათი აქტიური ჩართულობა სწავლის შედეგების ფორმულირების პროცესში და სტუდენტების კომპეტენციების შეფასებაში. გარდა ამისა, დამსაქმებლების გამოცდილება უფრო სისტემატურად უნდა იყოს გამოყენებული პრაქტიკული კომპონენტების და კვლევის შედეგების შეფასებაში.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ზოგადად, პროგრამის სწავლის შედეგები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, ზოგიერთ სფეროში სწავლის შედეგები ეფუძნება დარგობრივ მახასიათებელს, ლოგიკურად არის განაწილებული და შეესაბამება უმაღლესი განათლების დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი იყენებს პროგრამის სწავლის შედეგების გაზომვის სხვადასხვა სტანდარტულ მეთოდს. სასწავლო გეგმის რუკები განსაზღვრავენ კავშირს სავალდებულო სასწავლო კურსებს და სწავლის შედეგებს შორის, რაც საერთო ჯამში უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სავალდებულო და არჩევითი კურსების სილაბუსები მოიცავენ მკაფიო ინფორმაციას პროგრამების და თითოეული კურსისთვის განსაზღვრული ECTS / საკრედიტო საათების რაოდენობის შესახებ.

პროგრამის სილაბუსი მომზადებულია საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიით გათვალისწინებული მითითებების შესაბამისად, რომელიც მოიცავს ინფორმაციას კურსის სათაურის, კოდის, ლექტორის, სასწავლო საათების, დაშვების წინაპირობების, მიზნების, სწავლის შედეგების, სწავლება - სწავლის მეთოდების, სალექციო კვირების, შეფასების სისტემის, სავალდებულო / ძირითადი ლიტერატურის და სხვა საგანმანათლებლო მასალების შესახებ. გარდა ამისა, სილაბუსი შემუშავებულია სტანდარტიზებული ინსტრუმენტების გამოყენებით, მათ შორის Erasmus+ ASSET და Erasmus+ CURE - S პროექტების ფარგლებში შექმნილი ინსტრუმენტების გამოყენებით. აქტიურად არის გამოყენებული თანამედროვე ციფრული ინსტრუმენტები (მაგალითად, Mindomo, Thinglink). წერითი დავალებები, როგორიცაა ესეები, საკურსო პროექტები, ნაშრომები და ა.შ., პლაგიატის თავიდან აცილების მიზნით მოწმდება Turnitin Feedback Studio - ს გამოყენებით. სტუდენტები დამატებით იღებენ მხარდაჭერას აკადემიურ წერაში, ბიბლიოთეკის გამოყენებაში და ციფრული რესურსების მართვაში.

პროგრამები სტუდენტებს სთავაზობენ მოქნილობას არჩევითი კურსების არჩევაში. პროცესი ხორციელდება სემესტრის დაწყებამდე სტუდენტური პორტალის მეშვეობით, რომელიც სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია ინტერნეტთან დაკავშირებული ნებისმიერი კომპიუტერიდან. სტუდენტები იღებენ ინფორმაციას პროგრამის

ფარგლებში შეთავაზებული სავალდებულო და არჩევითი კურსების შესახებ, იმისათვის, რომ გააკეთონ არჩევანი მიმდინარე სემესტრში დაშვებული მაქსიმალური კრედიტების ფარგლებში.

პროგრამების სილაბუსებში განსაზღვრული და გამოყენებული სწავლება - სწავლის მეთოდები, ზოგადად ასახავს დარგის სპეციფიკას (სხვადასხვა სასწავლო კურსის სილაბუსებში გათვალისწინებულია სხვადასხვა სწავლება - სწავლის მეთოდები საგნის სპეციფიკის შესაბამისად) და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

რაც შეეხება რესურსებთან შესაბამისობას, ფასდება თითოეული პროგრამის პერსონალით დაკომპლექტების შესაძლებლობები, ლაბორატორიული და პრაქტიკული ობიექტები, ბიბლიოთეკა და ციფრული რესურსები, სტაჟირებისა და პრაქტიკის შესაძლებლობები და ფინანსური მდგრადობა.

ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმების შემუშავებასთან დაკავშირებით, დაწესებულება იყენებს სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომას ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმების შემუშავების და განხორციელების გზით. საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-12 მუხლი განსაზღვრავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების პროცედურებს. პროცესი მოიცავს:

- განაცხადის წარდგენას დამხმარე დოკუმენტაციასთან ერთად;
- შესაბამის ორგანიზაციებთან (მაგალითად, უსინათლოთა და ყრუთა კავშირები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ასოციაციები) კონსულტაციას სასწავლო გეგმის ადაპტაციის შესახებ რეკომენდაციების მისაღებად;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებას აკადემიური მომზადების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების, სწავლების და შეფასების ადაპტაციის, სასწავლო გარემოს მოთხოვნების და აუცილებელი ადამიანური რესურსების გათვალისწინებით.
- ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების რეკომენდაციების საფუძველზე ფაკულტეტის საბჭოების მიერ ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამტკიცებას;
- პროგრამის განხორციელებას მარეგულირებელი წესის მე-5, მე-6 და მე-10 მუხლების შესაბამისად, აკადემიური კეთილსინდისიერების და შესაბამისი ადაპტირებული ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფით.

აღნიშნული სტრუქტურირებული მიდგომა აჩვენებს დაწესებულების ვალდებულებას ინკლუზიური განათლების, ხელმისაწვდომობის და სტუდენტების მრავალფეროვანი საჭიროებების მხარდაჭერის მიმართ.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის და ინტერვიუების შედეგების საფუძველზე გამოვლინდა, რომ მიუხედავად ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმების არსებობისა, დოკუმენტაცია დეტალურად არ აღწერს განხორციელების შედეგებს ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით მოსარგებლე სტუდენტების რაოდენობას. გარდა ამისა, სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცდილება ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებაში შემოიფარგლება სტუდენტების მობილობით, აკადემიური მოსწრების ან სტატუსის აღდგენასთან დაკავშირებული საჭიროებებით. თითქმის ყველა პროგრამამ აჩვენა ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების გამოცდილება შიდა და გარე მობილობის, სტუდენტის სტატუსის აღდგენის, „აკადემიური დავალიანების“ მართვის კონტექსტში, ან იმ შემთხვევებში, როდესაც სტუდენტები ირჩევენ არჩევით კურსებს, რომლის ფარგლებშიც სასწავლო პროცესი გარკვეულწილად მორგებულია სტუდენტების საჭიროებებზე და უსდ / ფაკულტეტი ეხმარება სტუდენტებს შეიმუშავონ საკუთარი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. უსდ - ს ადმინისტრაციასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ჩატარებული ინტერვიუებით დადასტურდა, რომ უნივერსიტეტი ითვალისწინებს სტუდენტების საჭიროებებს და უზრუნველყოფს მათ სწავლება - სწავლის პროცესში სასწავლო კურსებში დანერგილი მოქნილი სწავლების და შეფასების მეთოდებით. გარდა ამისა, პროგრამის შემუშავების მეთოდოლოგია და სწავლება - სწავლის რეგულაციები გარკვეულწილად მოიცავენ ინფორმაციას სტუდენტების საჭიროებებზე მორგებული სასწავლო გარემოს უზრუნველყოფის შესახებ, თუმცა მათი დახვეწა და მეთოდოლოგიაში ცალკე დებულების ან მუხლის / პუნქტის სახით დამატება, იქნება დადებითი წინგადადგმული ნაბიჯი. ამავდროულად, ინტერვიუების ფარგლებში გამოვლინდა, რომ უსდ - ს არ ჰქონია სტუდენტების კონკრეტული ინდივიდუალური საჭიროებების საფუძველზე პროგრამების და / ან ინდივიდუალური კურსების მოდიფიცირების საჭიროება. არცერთ პროგრამაში არ არის წარმოდგენილი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმების ან პრაქტიკის მტკიცებულება, რომელიც მოიცავდა პროგრამის ან კურსის სწავლის შედეგების მოდიფიცირებას სპეციალური საჭიროებების

დასაკმაყოფილებლად. შესაბამისად, პროგრამების განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს აქვს მხოლოდ ფართო, კონცეპტუალური გაგება ინკლუზიური, სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გეგმის შესამუშავებლად აუცილებელი ზომების და საჭიროების შემთხვევაში პროგრამის ან კურსის სწავლის შედეგების კორექტირების მექანიზმების შესახებ.

ასევე აღსანიშნავია, რომ განათლების ფაკულტეტის მასწავლებლის მომზადების პროგრამების (300 კრედიტიანი და 60 კრედიტიანი) სასწავლო გეგმებში გათვალისწინებულია ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული სასწავლო კურსები. ასევე, აღნიშნული პროგრამების განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალს გავლილი აქვს სპეციალიზებული მომზადება ინკლუზიურ განათლებაში. აღნიშნული აჩვენებს, რომ უსდ - ს აქვს შესაძლებლობა, საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს აღნიშნული ცოდნა და გამოცდილება და სწავლების და შეფასების პროცესები მოარგოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტების საჭიროებებს.

მიუხედავად ამისა, შეჯამების სახით უნდა აღინიშნოს, რომ უსდ - ს აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების როგორც პრაქტიკული გამოცდილება, ისე პროცედურულად განსაზღვრული მექანიზმები. თუმცა, ავტორიზაციის მიზნებისთვის, აღნიშნული გამოცდილება საკმარისად არ იყო აღწერილი, რაც მოითხოვს დამატებით დაზუსტებას და დადასტურებას.

ამრიგად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები უზრუნველყოფენ აუცილებელ მხარდაჭერას სხვადასხვა აკადემიური გამოცდილების და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის. ყოვლისმომცველი მონაცემების შეგროვებით და ანალიტიკური ჩარჩოებით შესაძლებელია გაუმჯობესდეს ინდივიდუალური სტუდენტის პროგრესის და სწავლის შედეგების მონიტორინგი.

ასევე, სტუდენტზე ორიენტირებული პედაგოგიკის გაერთიანება თანამედროვე ტექნოლოგიებთან და ინტერაქტიულ სასწავლო ინსტრუმენტებთან უზრუნველყოფს პროგრამების თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტებთან შესაბამისობას და ინტერდისციპლინური და პრაქტიკაზე ორიენტირებული სასწავლო გეგმების გაძლიერებას. აღნიშნული მიდგომა უკეთესად აკავშირებს აკადემიურ შეთავაზებებს პროფესიულ და საზოგადოებრივ მოთხოვნებთან.

შესაბამისად, დაწესებულებებმა პრიორიტეტი უნდა მიანიჭონ ორ ძირითად სტრატეგიას: ინოვაციურ, სტუდენტზე ორიენტირებული პედაგოგიკის განხორციელებას და ინდივიდუალური სწავლების მექანიზმების გაძლიერებას. აღნიშნული ინიციატივები გაუმჯობესებენ პროგრამის ხარისხს და უზრუნველყოფენ ცვალებად აკადემიურ და პროფესიულ მოთხოვნებთან ადაპტაციას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასურველია პრიორიტეტი მიენიჭოს ინოვაციურ, სტუდენტზე ორიენტირებულ პედაგოგიკას და ინდივიდუალური სწავლების მექანიზმების გაძლიერებას, რაც წარმოადგენს პროგრამის ხარისხის და ცვალებად აკადემიურ და პროფესიულ მოთხოვნებთან ადაპტაციის ძირითად სტრატეგიას.

გარდა ამისა, პოტენციური გამოწვევების შემცირების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, დაწესებულებამ უნდა აამაღლოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ცნობიერება და სტუდენტების შესაძლებლობების და საჭიროებების შესაბამისად უზრუნველყოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების, ასევე კურსის სწავლის შედეგების და / ან სწავლება - სწავლის და შეფასების მეთოდების ადაპტაციის კომპეტენციების განვითარება.

რაც შეეხება პროგრამების კატალოგს და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, უნდა აღინიშნოს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშავა და აწარმოებს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ყოვლისმომცველ კატალოგს, რომელიც განახლებულია პროგრამებში განხორციელებული ცვლილებების ასახვის მიზნით. აღნიშნული კატალოგი საჯაროდ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ - გვერდის (https://sjuni.edu.ge/) მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და ხელს უწყობს პოტენციური სტუდენტების მიერ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებას. პროგრამის კატალოგი მოიცავს ინფორმაციას პროგრამის სახელწოდების, დაშვების წინაპირობის, მისანიჭებელი კვალიფიკაციის, სწავლის ხანგრძლივობის, პროგრამის კრედიტების, სტრუქტურის, პროგრამის მისიასთან შესაბამისობის, პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების, სწავლება - სწავლის და შეფასების მეთოდის და სხვა ასპექტების შესახებ. პროგრამის კატალოგის განახლება ხორციელდება პროგრამაში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;

- საგანმანათლებლო პროგრამები და სასწავლო კურსების სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუები;
- სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები:

არ ეხება

რჩევები:

3.2.1. სასურველია, პრიორიტეტი მიენიჭოს ინოვაციური, სტუდენტზე ორიენტირებული პედაგოგიკის ინტეგრაციას და ინდივიდუალური სწავლების მექანიზმების გაძლიერებას, რაც წარმოადგენს პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების და ცვალებად აკადემიურ და პროფესიულ მოთხოვნებზე რეაგირების ძირითად სტრატეგიას.

3.2.2. სასურველია, დაწესებულებამ დაგეგმოს და განახორციელოს მიზნობრივი ღონისძიებები სტუდენტებზე მორგებული ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმების შემუშავების მიზნით და საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს სტუდენტის მრავალფეროვანი საჭიროებების გათვალისწინებით სასწავლო კურსის კომპონენტების მოდიფიცირება.

საუკეთესო პრაქტიკა(ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

არ ეხება

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

○ ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 სწავლის შედეგების შეფასება

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტაციის (განსაკუთრებით, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შესახებ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშების) შესწავლის, ასევე, ადგილზე ჩატარებული გასაუბრებების შედეგების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოყალიბებულია სწავლის შედეგების შეფასების სისტემა, რომელიც შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მარეგულირებელ დოკუმენტებს. სტუდენტთა შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებისა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი შიდა წესების შესაბამისად. როგორც შუალედური, ისე ფინალური შეფასება სავალდებულოა, ხოლო სასწავლო კურსი დასრულებულად ითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი დააკმაყოფილებს შეფასების თითოეული კომპონენტისთვის დადგენილ მინიმალური კომპეტენციის ზღვარს.

უნივერსიტეტი იყენებს 100-შეფასების ქულიან სისტემას, რომელიც მოიცავს ხუთი ტიპის დადებით (A-E) და ორი ტიპის უარყოფით შეფასებას (FX და F). ხელახალი გამოცდების ჩატარების პროცედურები, FX-ის მინიჭების პირობები და დამატებითი გამოცდების წესები ნათლადაა განსაზღვრული, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობასა და სამართლიანობას.

სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით, რომლებიც

შერჩეულია სასწავლო კურსის სპეციფიკისა და დარგობრივი მოთხოვნების შესაბამისად. აღნიშნული მეთოდები მოიცავს პრაქტიკულ დავალებებს, ლაბორატორიულ სამუშაოებს, თეორიულ დავალებებს, ტესტებს (ღია, დახურული და კომბინირებული), პრეზენტაციებს, ესეებს, შემთხვევის შესწავლას, ზეპირ გამოცდებს, მოკლე ტესტებს (quiz), ასევე, შესაბამის შემთხვევებში (განსაკუთრებით კლინიკური პროგრამებისთვის, როგორიცაა ვეტერინარიის პროგრამა) დარგობრივი სპეციფიკის მქონე მეთოდებს - კლინიკური შემთხვევის განხილვას (Clinical Case Discussion – CBL), OSCE/OSPE-ს. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში შემუშავებულია დეტალური რეგულაცია - „ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური და ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდების ჩატარების წესები“, რაც მიუთითებს უნივერსიტეტის ძალისხმევაზე სტანდარტიზებული და ობიექტური შეფასების მიმართლებით კლინიკურ განათლებაში. ამასთან, უნივერსიტეტი იყენებს სიმულაციურ გარემოს მოდელებისა და სტანდარტიზებული პაციენტებით, რაც შესაძლებელს ხდის ვეტერინარული შემთხვევების მოდელირებას და კლინიკური და პრაქტიკული უნარების მიზნობრივ დემონსტრირებას კონტროლირებად პირობებში. მსგავსი სტუდენტზე ორიენტირებული ვირტუალური გარემო წარმოადგენს თანამედროვე საგანმანათლებლო მეთოდოლოგიებში განხორციელებულ მნიშვნელოვან ინვესტიციას.

კვლევითი კომპონენტის შეფასებასთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებზე კვლევითი კომპონენტის შეფასებისათვის შემუშავებულია ნათელი, რეგულაციებზე დაფუძნებული პროცედურები, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას, აკადემიურ ხარისხსა და პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობას. კვლევითი კომპონენტი შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა ფორმატით, მათ შორის სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის, გამოყენებითი კვლევითი პროექტის, ლაბორატორიული სამუშაოს ან საველე კვლევის სახით, პროგრამის საჭიროებებისა და დარგობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით.

სამაგისტრო ნაშრომები და სამეცნიერო საქმიანობის სხვა ფორმები, მათ შორის შემოქმედებითი, საბოლოო ან გამოყენებითი კვლევითი პროექტები - ფასდება მათი დასრულების ან მომდევნო სემესტრში, ინსტიტუციური რეგულაციებით დადგენილი წესის შესაბამისად. შეფასების სისტემა სტუდენტებს, რომელთაც FX შეფასება (41-50 ქულა) მიიღეს, კვლევითი კომპონენტის გადახედვისა და მომდევნო სემესტრში ხელახლა წარმოდგენის საშუალებას აძლევს. F შეფასების (40 ქულა ან ნაკლები) შემთხვევაში სტუდენტი სამუდამოდ კარგავს იმავე კვლევითი კომპონენტის ხელახლა წარდგენის უფლებას, რაც აკადემიური მოთხოვნების სერიოზულობას უსვამს ხაზს აღნიშნულ საფეხურზე.

სადოქტორო დისერტაციის შეფასებასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი იყენებს შეფასების მრავალდონიან, საერთაშორისო დონეზე აღიარებულ შკალას, რომელიც დისერტაციის სამეცნიერო ხარისხის დეტალური შეფასების საშუალებას იძლევა. აღნიშნული შკალა მოიცავს შემდეგ კატეგორიებს:) Summa cum laude – შესანიშნავი ნაშრომი; ბ) Magna cum laude – წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება; გ) Cum laude – წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება; დ) Bene– ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს; ე) Rite – ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს; ვ) Insufficient – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს; ზ) Sub omni canone – წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს

დადებითი შეფასებას (ა-ე) მოსდევს ხარისხის მინიჭება. „Insufficient“ (ვ) შეფასების შემთხვევაში დოქტორანტს ეძლევა დისერტაციის გადამუშავებისა და ერთი წლის ვადაში ხელახლა წარდგენის უფლება, ხოლო „Sub omni canone“ (ზ) შეფასება იწვევს აღნიშნული დისერტაციის ხელახლა წარდგენის უფლების შეუქცევად დაკარგვას.

სადოქტორო სემინარებისა და ასისტირების შეფასებაც ხორციელდება 100-ქულიანი სისტემის საფუძველზე. კერძოდ, სადოქტორო სემინარები ფასდება შემდეგი განაწილებით:

(i) ხელმძღვანელის შეფასება: მაქსიმუმ 60 ქულა (დადებითი ზღვარი: 31+ ქულა);
(ii) კომისიის შეფასება: მაქსიმუმ 40 ქულა (დადებითი ზღვარი: 20+ ქულა);
(iii) საერთო დადებითი შეფასება: 51+ ქულა. პროფესორის ასისტირების საქმიანობა ფასდება უნივერსიტეტში მოქმედი სტანდარტული 100- ქულიანი შეფასების სისტემით, რომელიც მოიცავს შეფასების ხუთ დადებით და ორ უარყოფით კატეგორიას.

გარდა ამისა, უნივერსიტეტში ჩამოყალიბებულია კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, ხელმძღვანელობისა და შეფასების ნათელი, რეგულაციებზე დაფუძნებული ჩარჩო, რომელიც ყველა საგანმანათლებლო პროგრამაზე ვრცელდება. პროცესი რეგულირდება დაწესებულების - „სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესით“ (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2023 წლის 9 ივნისის №8 გადაწყვეტილებით), რომელიც განსაზღვრავს ხელმძღვანელების, სტუდენტების, პროგრამის ხელმძღვანელებისა და შემფასებელი კომისიების პასუხისმგებლობებს, აგრეთვე კვლევის განხორციელებისთვის აუცილებელ საორგანიზაციო და მეთოდოლოგიურ მოთხოვნებს.

ხელმძღვანელები ინიშნებიან კვლევის შერჩეული თემის შესაბამისი აკადემიური კომპეტენციის საფუძველზე. შეფასება ხორციელდება კვალიფიციური აკადემიური პერსონალისგან შემდგარი კომისიის მიერ და ეფუძნება მკაფიოდ განსაზღვრულ კრიტერიუმებს, რომლებიც მოიცავს კვლევითი პრობლემის რელევანტურობას, მეთოდოლოგიურ სიზუსტეს, მონაცემთა ანალიზის ხარისხს, აკადემიური წერის ხარისხსა და სტუდენტის უნარს, წარადგინოს და დაიცვას მიღებული შედეგები. საბოლოო შეფასება განისაზღვრება როგორც წერილობითი ნაშრომის, ისე ზეპირი დაცვის შედეგების გათვალისწინებით და მინიჭებულია უნივერსიტეტში მოქმედი შეფასების 100-ქულიანი სკალის შესაბამისად.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ინტეგრირებულია პროცესის ყველა ეტაპზე. პროგრამის ხელმძღვანელები და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სისტემატურად აანალიზებენ დაცვის შედეგებს, წარმოდგენილი კვლევითი ნაშრომების ხარისხს, ასევე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების უკუკავშირს. აღნიშნული ანალიზის შედეგები გამოიყენება მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოების დახვეწის, კომპონენტის სტრუქტურის კორექტირებისა და ხელმძღვანელობის პრაქტიკის გაუმჯობესებისათვის, პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად.

თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტაციისა და ადგილზე ვიზიტის დროს გასაუბრებების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფმა დაადასტურა, რომ სტუდენტთა კომპეტენციების შეფასების მარეგულირებელი პროცედურები საჯაროდაა ხელმისაწვდომი ინსტიტუციის რამდენიმე ვებ-პლატფორმაზე, მათ შორის უნივერსიტეტის ვებგვერდზე, საგამოცდო ცენტრის პორტალსა და ფაკულტეტების ინდივიდუალურ ვებ-გვერდებზე. მსგავსი მრავალდონიანი ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობასა და შეფასებასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე თანაბარ წვდომას ყველა სტუდენტისათვის. ცალკე აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის მარეგულირებელი წესების 17-ე მუხლი განსაზღვრავს გამოცდების დაგეგმვის, ჩატარების, შედეგების შეფასებისა და გასაჩივრების სტანდარტიზებულ პროცედურებს, რომლებიც გამჭვირვალეა და თვალსაჩინოა ყველა სტუდენტისათვის.

ადგილზე ვიზიტის შედეგად დადასტურდა, რომ სტუდენტები, ზოგადად, ინფორმირებულნი არიან შეფასების კრიტერიუმების, სწავლის შედეგებისა და გასაჩივრების პროცედურების შესახებ. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა ცალკეული შემთხვევები, რომლებიც მიუთითებს სტუდენტთა ცნობიერების ამაღლების საჭიროებაზე, განსაკუთრებით აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკებისა და პლაგიატის გამოვლენის მექანიზმების გამოყენებით წერილობითი ნაშრომების შეფასების პროცედურების შესახებ.

უსდ-ს ფორმალურად შემუშავებული აქვს შეფასების პროცესში ციფრული ინსტრუმენტების გამოყენების სახელმძღვანელოები, ისეთი რესურსებისათვის, როგორიცაა Turnitin და LMS-ში ინტეგრირებული შეფასების სისტემები. თვითშეფასების ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტაციაში პირდაპირაა ნახსენები: Turnitin Feedback Studio: გამოიყენება პლაგიატის თავიდან ასაცილებლად ყველა წერილობით დავალებაში (ესეები, საკურსო პროექტები, ნაშრომები); LMS და შეფასების ინსტრუმენტები სილაბუსები შემუშავებულია Erasmus+ ASSET და Erasmus+ CURE-S პროექტების ფარგლებში გამოყენებული სტანდარტიზებული ინსტრუმენტების საფუძველზე; თანამედროვე ციფრული ინსტრუმენტები - აქტიურად გამოიყენება Mindomo და Thinglink; სტუდენტური პორტალი ონლაინ ხელმისაწვდომი კურსების არჩევისათვის თუმცაღა, ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა ცალკეული შემთხვევები, რომლებიც მიუთითებს სტუდენტთა ცნობიერების ამაღლების საჭიროებაზე პლაგიატის გამოვლენის მექანიზმებისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკების შესახებ. სტუდენტებთან ჩატარებულმა გასაუბრებებმა აჩვენა აღნიშნული ინსტრუმენტების გამოყენების შეზღუდული პრაქტიკული გამოცდილება ინდივიდუალური დავალებების შეფასების პროცესში. რეკომენდებულია, რომ სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა შეფასების პროცესში უფრო დიდი აქცენტი გააკეთოს ციფრული ინსტრუმენტების სისტემურ და თანმიმდევრულ გამოყენებაზე, რაც გაზრდის გამჭვირვალობას უზრუნველყოფს აკადემიურ კეთილსინდისიერებას. გარდა ამისა, შეფასების ინსტრუმენტების ვალიდობა და სანდოობა უნდა გაძლიერდეს რეგულარული შიდა მიმოხილვებისა და მოდერაციის პროცედურების მეშვეობით.

შესაბამისად, უნივერსიტეტმა უნდა აამაღლოს სტუდენტთა ცნობიერება და ცოდნა აკადემიური კეთილსინდისიერების მოთხოვნებისა და მასთან დაკავშირებული შეფასების პროცედურების შესახებ. კერძოდ, სასურველია, რომ უსდ-მ ყველა სტუდენტისთვის უზრუნველყოს ყოვლისმომცველი და სისტემური ინფორმაციის მიწოდება პლაგიატის პრევენციის, პლაგიატის გამოვლენის, ინსტრუმენტების გამოყენებისა და წერილობითი ნაშრომების შეფასების პროცესში გამოყენებული პროცედურების შესახებ. აღნიშნული პოლიტიკების თანმიმდევრული კომუნიკაცია ყველა ფაკულტეტსა და საგანმანათლებლო პროგრამაში გაზრდის გამჭვირვალობას, ხელს შეუწყობს აკადემიური კეთილსინდისიერების დამკვიდრებას და

უზრუნველყოფს შეფასების სტანდარტების სამართლიან განხორციელებას.

ექსპერტთა ჯგუფი დადებითად აფასებს სწავლის შედეგების შეფასების დაწესებულებაში ჩამოყალიბებულ მექანიზმს. თუმცაღა, აღნიშნული მექანიზმის გაძლიერების მიუხედავად, შეფასების პრაქტიკებში არასაკმარისი ყურადღება ექცევა ინკლუზიურობის პრინციპებს, როგორც პროგრამის, ისე სასწავლო კურსებს დონეზე. არსებული სისტემა არ ითვალისწინებს შეფასების ფორმატების ინდივიდუალური ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებზე ადაპტაციისათვის საჭირო მექანიზმებს, რაც ზღუდავს სტუდენტთა სასწავლო მიღწევების სამართლიან შეფასებაზე თანაბარ ხელმისაწვდომობას. ამასთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფი სასურველად მიიჩნევს, რომ უსდ-მ უზრუნველყოს შეფასების პროცესის ინკლუზიურობა, შეფასების ფორმატების ინდივიდუალური ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებზე ადაპტირების გზით. ამისთვის უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს და დანერგოს ინკლუზიური შეფასების ყოვლისმომცველი პოლიტიკის ჩარჩო, რომელშიც მოცული იქნება:

- შეფასების ადაპტირების საჭიროების მქონე სტუდენტების იდენტიფიცირების ნათელ პროცედურებს;
- შეფასების ფორმატებისა და პირობების ადაპტირების სისტემურ წესებს;
- აკადემიური პერსონალის ტრენინგს შეფასების ინკლუზიური პრაქტიკების განხორციელების მიმართულებით;
- შეფასების ადაპტაციის ეფექტურობის რეგულარულ მონიტორინგსა და შეფასებას.

თვითშეფასების ანგარიშისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის განხილვის პროცესში, ექსპერტთა ჯგუფმა ასევე დაადგინა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტებში არ არის მკაფიოდ აღწერილი სწავლის შედეგების შეფასების პირობები და პროცედურები ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ფარგლებში. გარდა ამისა, აღნიშნულ პროცესში პარტნიორი დაწესებულებების შესაბამისი პასუხისმგებლობები სათანადოდ არ არის განსაზღვრული. მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა ადგილზე ვიზიტის ფარგლებში სცადა დამატებითი განმარტების მიღება, შეფასების პროცესის რიგი ასპექტები კვლავ ბუნდოვანი რჩება და შემდგომ დეტალიზებას საჭიროებს. ექსპერტთა ჯგუფი სასურველად მიიჩნევს, რომ დაწესებულებამ ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ნაწილში, ნათლად განსაზღვროს და დეტალურად აღწეროს სწავლის შედეგების შეფასების პროცესში ყველა მონაწილე მხარის ვალდებულებები, როლები და პასუხისმგებლობები.

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოყენებული სწავლის შედეგების შეფასების მიდგომებთან დაკავშირებით, თვითშეფასების ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტაციის საფუძველზე შესაძლებელია შემდეგი დაკვირვებების გაკეთება: დაწესებულება იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლურ სისტემას, რომელიც ეფუძნება Plan-Do-Check-Act (PDCA) მოდელს და მიმართულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებაზე. შეფასების იდენტიფიცირებული მიდგომები მოიცავს:

1. შეფასების პირდაპირი მიდგომები - მიუხედავად იმისა, რომ ანგარიშში აქცენტი კეთდება შეფასების ადმინისტრაციულ მექანიზმებზე, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების პირდაპირი შეფასება ინტეგრირებულია რამდენიმე პროცესში: ა) სასწავლო კურსის დონეზე შეფასება: სილაბუსებში განსაზღვრულია სწავლება-სწავლისა და შეფასების მეთოდები, რომლებიც პერიოდულად გადაიხედება და განახლდება პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად; ბ) პლაგიატის გამოვლენა: Turnitin Feedback Studio გამოიყენება ყველა წერილობითი დავალების შესამოწმებლად, რაც წარმოადგენს აკადემიური კეთილსინდისიერებისა და სტუდენტთა ნაშრომების ხარისხის შეფასების პირდაპირ ინსტრუმენტს; გ) დისერტაციების შეფასება (სადოქტორო საფეხური): სადოქტორო პროგრამებზე, შეფასება ხორციელდება დარგის სპეციალისტების მიერ ჩატარებული წინასწარი მიმოხილვებისა და სადისერტაციო საბჭოს წინაშე საბოლოო დაცვის საშუალებით, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს საერთაშორისო კოლეგიალურ შეფასებას ან უცხოური უნივერსიტეტების უკუკავშირს; დ) პრაქტიკული უნარების სერტიფიცირება: პრაქტიკული მომზადება ხორციელდება პარტნიორ ორგანიზაციებსა და ლაბორატორიებში, სადაც სტუდენტთა საქმიანობა პროფესიულ გარემოში ფასდება.

2. შეფასების არაპირდაპირი მიდგომები -
უნივერსიტეტი ფართოდ იყენებს სისტემატურ გამოკითხვებსა და უკუკავშირის მექანიზმებს პროგრამების ეფექტურობისა და სწავლის შედეგების მიღწევის არაპირდაპირი შეფასებისათვის: ა) კურსდამთავრებულთა გამოკითხვები: ხორციელდება ყოველწლიურად პროგრამის ხარისხისა და კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების მონიტორინგის მიზნით; ბ) დამსაქმებელთა და პარტნიორთა გამოკითხვები: ხორციელდება ყოველწლიურად შრომის ბაზრის მოთხოვნებთან პროგრამის შესაბამისობის შეფასებისა და

ახალი პროგრამების შემუშავების საჭიროების იდენტიფიცირებისათვის; გ) პირველკურსელთა კმაყოფილების გამოკითხვები: ხორციელდება პირველი სემესტრის დასაწყისში სტუდენტთა მოლოდინების გამოვლენისა და შესაძლო რისკების იდენტიფიცირების მიზნით; დ) სტუდენტთა მობილობის კვლევა: ხორციელდება ყოველ სემესტრში სტუდენტთა გადასვლის გასაანალიზებლად და გადინების რისკების შესამცირებლად; ე) პრაქტიკის ხელმძღვანელთა უკუკავშირი: პრაქტიკის ხელმძღვანელების მხრიდან ყოველწლიური შეფასებები გამოიყენება პროგრამის ეფექტურობის დასადგენად სტუდენტთა პროფესიული საქმიანობისთვის მომზადების ნაწილში. ვ) შიდა ხარისხის აუდიტი: თითოეული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამზადებს თვითშეფასების ანგარიშებს, რომლებიც აანალიზებს პროგრამის განხორციელების პროცესში მიღებულ გამოცდილებასა და მიღწეულ შედეგებს.

გარდა ამისა, ინტერვიუების შედეგებზე დაყრდნობით, ექსპერტთა ჯგუფმა დაადასტურა, რომ სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი იყენებს შეფასების როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ მიდგომებს. პირდაპირი შეფასება ეფუძნება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონაცემების ანალიზს, მათ შორის შეფასებების განაწილების ტენდენციების შესწავლას. შემთხვევები, როგორიცაა A ან F შეფასებების მუდმივად მაღალი წილი, გამოიყენება სასწავლო კურსის სირთულის, სწავლება-სწავლის მეთოდებისა და შეფასების ინსტრუმენტების ადეკვატურობის ხელახალი გადახედვის საჭიროების ინდიკატორებად. არაპირდაპირი შეფასება მოიცავს სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვებს, ასევე პროგრამის ხელმძღვანელების მიერ განხორციელებულ დაკვირვებებსა და კონსულტაციებს აკადემიურ პერსონალთან. შედეგი მნიშვნელოვანად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ რესპონდენტთა 30% ან მეტი მიუთითებს პროგრამის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციების არასათანადოდ მიღწევაზე.

უნივერსიტეტში ჩამოყალიბებულია შეფასების შედეგებზე რეაგირების სტრუქტურირებული მექანიზმი. აღნიშნული პირველ ეტაპზე მოიცავს თვისებრივ კვლევას (ფოკუს-ჯგუფები, ინტერ გასაუბრებები, სილაბუსებისა და სტუდენტთა ნაშრომების ანალიზი), ხოლო მეორე ეტაპზე სასწავლო გეგმაში განხორციელებულ კონკრეტულ ცვლილებებს, როგორიცაა შეფასების მეთოდების, საკონტაქტო საათების, პროგრამის კომპონენტების კრედიტების, სასწავლო ლიტერატურის ან წინაპირობების გადახედვა. შეფასების პროცესს კოორდინირებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ხოლო პროგრამის ხელმძღვანელები პასუხისმგებლები არიან შედეგების ინტერპრეტაციასა და საჭირო ქმედებების ინიცირებაზე სასწავლო კურსების განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან თანამშრომლობით.

სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი ხორციელდება ყოველ სემესტრში, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის ფარგლებში და წარმოადგენს სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებისა და პროგრამის განვითარების ხელშეწყობის დამატებით მექანიზმს. აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ფარგლებში ინფორმაცია გროვდება სტუდენტთა კონტინგენტის აკადემიური მოსწრების შესახებ. მონიტორინგი ხორციელდება აკადემიური მოსწრების სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე, რომლებიც მიღებულია ფინალური გამოცდების (ან ფინალური შეფასებისთვის გამოყენებული შესაბამისი დავალებების, როგორიცაა საბოლოო კვლევითი ან პრაქტიკული პროექტები, ნაშრომები და ა.შ.) შედეგებიდან. აღნიშნული მიდგომის ფარგლებში ლექტორები აფასებენ სასწავლო კურსის სილაბუსის სირთულის დონეს სტუდენტთა ჯგუფის შესაძლებლობებთან მიმართებით. მიღებული მონაცემების ანალიზის შედეგად ხორციელდება პერიოდული გადახედვა, რომლის მიზანიცაა საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესება და სწავლის შედეგების მიღწევის ხარისხის ამაღლება.

შესაბამისად, შეფასების სისტემა ნათლადაა რეგულირებული, გამჭვირვალეა და ეფუძნება ეროვნულ და ინსტიტუციურ ნორმებს. ინსტიტუციური ჩარჩო უზრუნველყოფს გამჭვირვალობას, თანმიმდევრულობასა და პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობას. შეფასების მეთოდების მრავალფეროვნება და შეფასების როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მიდგომების გამოყენება ხელს უწყობს სწავლის შედეგების გაზომვის ვალიდობასა და უწყვეტ გაუმჯობესებას.

კვლევითი კომპონენტის შეფასების პროცედურები კარგად არის ორგანიზებული, გამჭვირვალეა და აკადემიურად დასაბუთებულია. უნივერსიტეტის მარეგულირებელი ჩარჩო და ხარისხის უზრუნველყოფის პრაქტიკები ქმნის მყარ საფუძველს იმის უზრუნველსაყოფად, რომ სტუდენტებმა მიაღწიონ კვლევასთან დაკავშირებულ სწავლის შედეგებს.

ამასთან, კვალიფიციური ხელმძღვანელების ჩართულობა, შეფასების სტანდარტიზებული კრიტერიუმების გამოყენება და კომისიური შეფასება უზრუნველყოფს ობიექტურობასა და აკადემიურ ხარისხს. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ეფექტურად აკონტროლებს კვლევითი კომპონენტის განხორციელებასა და შედეგებს და ხელს უწყობს უწყვეტ გაუმჯობესებას. ცალკეული მცირე გაუმჯობესებები, რომლებიც უკავშირდება ზეგავლენის დოკუმენტირებასა და მონაცემებზე დაფუძნებული მონიტორინგის გაძლიერებას,

კიდევ უფრო გაამყარებდა დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას.

ასევე, აღსანიშნავია, რომ კრიტიკული მიგნებების (მაგალითად, შეფასებების ატიპიური განაწილების) მართვის პროცედურები მიუთითებს ხარისხის გაუმჯობესების სისტემურ მიდგომაზე. რეაგირების ორეტაპიანი მექანიზმი, რომელიც მოიცავს თვისებრივ ანალიზსა და პროგრამის შემდგომ მოდიფიცირებას, მიუთითებს PDCA ციკლის ოპერაციონალიზაციაზე შეფასების ჩარჩოს ფარგლებში.

მიუხედავად იმისა, რომ სისტემა ყოვლისმომცველია, თვითშეფასების ანგარიშში შეზღუდული მტკიცებულებებია წარმოდგენილი არაპირდაპირი შეფასებების (მაგალითად, დამსაქმებელთა უკუკავშირის) მიგნებების სისტემატური ინტეგრირების შესახებ პროგრამების სასწავლო გეგმების კონკრეტულ ცვლილებებში. გარდა ამისა, ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგებსა და შეფასების შესაბამის მეთოდებს შორის მკაფიო შესაბამისობის ამსახველი დოკუმენტაციის გაძლიერება ხელს შეუწყობს როგორც გამჭვირვალობის, ისე გარე აუდიტის შესაძლებლობების გაუმჯობესებას. საბოლოოდ, მაკორექტირებელი ქმედებების განხორციელების შედეგად მიღწეული გაზომვადი შედეგების უფრო ნათლად წარმოჩენა კიდევ უფრო გაამყარებდა ეფექტურობის მტკიცებულებებს.

ამასთან, წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში არ შეიცავს საკმარის ინფორმაციას პროგრამების გადახედვის კონკრეტული მაგალითებისა და მათი დასაბუთების, აგრეთვე ჩატარებული გამოკითხვების რაოდენობისა და შედეგების შეჯამების თაობაზე და ა.შ. გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა შეფასების შედეგებსა და პროგრამის გაუმჯობესების ქმედებებს შორის უფრო თანმიმდევრული კავშირის საჭიროება. შესაბამისად, სასურველია, რომ სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გააძლიეროს თვითშეფასების ანგარიში მტკიცებულებებზე დაფუძნებული ანალიზით, უკეთ განახორციელოს სწავლის შედეგების პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების შედეგების დოკუმენტირება, ასევე წარმოადგინოს მაგალითები სტუდენტთა კომპეტენციების შეფასებისა და პროგრამის/სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შეფასებასთან დაკავშირებით.

მიუხედავად იმისა, რომ ფუნდამენტური სისტემები მტკიცეა, შესაძლებელია შედეგების უკეთ დოკუმენტირება, შემფასებელთა შორის სანდოობის მექანიზმების განმტკიცება და განმავითარებელი შეფასების მიდგომებზე უფრო მკაფიო აქცენტის გაკეთება. დაწესებულების მიმდინარე აკრედიტაციის პროცესები და გარე შეფასების რეკომენდაციებზე რეაგირების უნარი მიუთითებს ამ განსავითარებელი სფეროებზე მუშაობის პოტენციალზე.

ექსპერტთა ჯგუფმა ასევე აღნიშნა, რომ უწყვეტი გაუმჯობესების მიმართულებით უნივერსიტეტის ძალისხმევა დასტურდება საანგარიშო პერიოდში განხორციელებული არაერთი მარეგულირებელი განახლებითა და შეფასების მონაცემების სისტემატური გამოყენებით პროგრამების განსავითარებლად. დაწესებულებამ მნიშვნელოვანი ინვესტიციები განახორციელა შეფასების თანამედროვე ტექნოლოგიებში, განსაკუთრებით კლინიკური განათლების მიმართულებით, რაც პროგრესულ საგანმანათლებლო პრაქტიკაზე მიუთითებს.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს, რომ სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების ნაწილში შესაბამისობაშია ავტორიზაციის სტანდარტებთან. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ყოვლისმომცველი ჩარჩოები, მკაფიო დოკუმენტაცია და სისტემატური პროცესები, რომლებიც უზრუნველყოფს, რომ:

- შეფასების სისტემები გამჭვირვალეა, სამართლიანი და ხელს უწყობს აკადემიურ წინსვლას;
- გამოიყენება შეფასების მრავალფეროვანი, სხვადასხვა დარგის სპეციფიკის შესაბამისი მეთოდები;
- გასაჩივრებისა და ხარისხის უზრუნველყოფის ძლიერი მექანიზმები იცავს სტუდენტთა უფლებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები.
- საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში და თანდართული ანგარიშები სწავლის შედეგების შეფასების, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზისა და ა.შ. შესახებ.
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- ვიზიტის დროს განხორციელებული გასაუბრებების შედეგები;

რეკომენდაციები:

3.3.1. რეკომენდებულია, რომ დაწესებულებამ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში ნათლად ჩამოაყალიბოს და დეტალურად აღწეროს სწავლის შედეგების

შეფასების პროცესში ჩართული ყველა მხარის ვალდებულებები, როლები და პასუხისმგებლობები, აგრეთვე, შეფასების პროცედურები, ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებთან მიმართებით.
რჩევები: 3.3.1. სასურველია, რომ უნივერსიტეტმა აამაღლოს სტუდენტთა ცნობიერება და ცოდნა აკადემიური კეთილსინდისიერების მოთხოვნებისა და შეფასების მასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ. 3.3.2. სასურველია, რომ უნივერსიტეტმა უზრუნველყოს შეფასების პროცესის ინკლუზიურობა, შეფასების ფორმატების ინდივიდუალური ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებზე ადაპტირების საშუალებით. 3.3.3. სასურველია, რომ უნივერსიტეტმა თვითშეფასების ანგარიში გააძლიეროს მტკიცებულებებზე დაფუძნებული ანალიზით, უკეთ მოახდინოს სწავლის შედეგების პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების შედეგების დოკუმენტირება და წარმოადგინოს მაგალითები სტუდენტთა კომპეტენციების შეფასებისა და პროგრამის/სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შეფასების პრაქტიკებიდან.
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ ეხება
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ○ ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა
○ უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას. ○ უდს უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: უნივერსიტეტში მოქმედებს პერსონალის განვითარების პოლიტიკა, რომელიც მოიცავს ზოგადი მართვის ძირითად პრინციპებს, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიას, ადამიანური, ფინანსური და სხვა რესურსებისა და დოკუმენტების მართვას. პერსონალის პოლიტიკის დოკუმენტში განსაზღვრულია მექანიზმები, რომლებიც ხელს უწყობს თანამშრომელთა პროფესიულ ზრდასა და უნარების განვითარებას ტრენინგების, კვლევითი პროექტების, კონფერენციებისა და მობილობის პროგრამების საშუალებით. უნივერსიტეტში თითოეული სტრუქტურული ერთეულისთვის შემუშავებულია თანამდებობრივი აღწერები, რომლებიც დეტალურად არის გაწერილი შესაბამისი დეპარტამენტების რეგულაციებში. პერსონალის შერჩევა, დასაქმება და სამუშაო პროცესში ინტეგრირება ხორციელდება რეკრუტირების წესებისა და შრომითი კანონმდებლობის შესაბამისად. ადამიანური რესურსების მართვის სამსახური უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ორიენტაციას, მათ შორის ორგანიზაციული კულტურის გაცნობას, და ხელს უწყობს

სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო ისეთ რესურსებზე წვდომას, როგორიცაა: დაფინანსება, აღჭურვილობა და მასალები. აღნიშნული პრაქტიკა დადასტურდა ინტერვიუების შედეგებით.

უნივერსიტეტში მოქმედებს აკადემიური პერსონალის აფილირების წესები. უნივერსიტეტსა და აფილირებულ აკადემიურ პერსონალს შორის ფორმდება ოფიციალური ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებულ ორმხრივ უფლებებსა და ვალდებულებებს. აფილირებული აკადემიური პერსონალი სარგებლობს სხვადასხვა შეღავათით, მათ შორის უფასო საცხოვრებლით უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლებში და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის უსასყიდლო გამოყენებით, უნივერსიტეტის რეგულაციების შესაბამისად. აფილირებული აკადემიური პერსონალს უნივერსიტეტის თანადაფინანსებით ხელი მიუწვდება ჯანმრთელობის დაზღვევაზე და უფლება აქვს ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ, პროფესიული განვითარების მიზნით, ისარგებლოს ერთ-სემესტრიანი ანაზღაურებადი აკადემიური შვებულებით. უნივერსიტეტი სრულად ან ნაწილობრივ აფინანსებს ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში მონაწილეობას, ასევე უზრუნველყოფს საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში სტატიების, სახელმძღვანელოებისა და სამეცნიერო მონოგრაფიების გამოქვეყნების ფინანსურ მხარდაჭერას. ინსტიტუციური დაფინანსების ჩანაწერები და აკადემიურ პერსონალთან ჩატარებული გასაუბრებები ადასტურებს, რომ აღნიშნული შესაძლებლობებით აქტიურად სარგებლობს აფილირებული აკადემიური პერსონალის მნიშვნელოვანი ნაწილი.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ორი განსხვავებული მმართველი ორგანო: აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოები. აკადემიური საბჭოსი ძირითადად ფოკუსირებულია საგანმანათლებლო საკითხებზე, მათ შორის კურიკულუმის განვითარებაზე, აკადემიურ სტანდარტებზე, კვლევით პოლიტიკებსა და პროგრამის მოთხოვნებზე. წარმომადგენლობითი საბჭოები, თავის მხრივ, განიხილავენ უფრო ფართო ინსტიტუციურ საკითხებს, მათ შორის სტრატეგიულ დაგეგმვას, ფინანსურ ზედამხედველობასა და დაინტერესებული მხარეების ინტერესებს. ორივე საბჭოში აკადემიური პერსონალი ასრულებს აქტიურ და მნიშვნელოვან როლს, რაც დადასტურდა გასაუბრებების შედეგებით.

თვითშეფასების ანგარიშისა და გასაუბრებების შედეგების თანახმად, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ძალისხმევას იჩენს პერსონალის კეთილდღეობის მიმართულებით, პროფესიული განვითარების შესაძლებლობებში რეგულარული ინვესტირებისა და სამუშაო პირობების გაუმჯობესების საშუალებით. აღნიშნული მოიცავს მხარდამჭერის სულისკვეთებით გამსჭვალული გარემოს შექმნას, რომელიც ხელს უწყობს კარიერულ განვითარებას, ხელმისაწვდომს ხდის ტრენინგებსა და უნარების განვითარების პროგრამებს, ასევე უზრუნველყოფს სამუშაო გარემოს ფიზიკური და ორგანიზაციული ასპექტების პერიოდულ შეფასებასა და გაუმჯობესებას. გასაუბრებებში მონაწილე პირებმა წარმოადგინეს კონკრეტული მაგალითები აღნიშნული პრაქტიკის დასადასტურებლად.

უნივერსიტეტის პერსონალის სამუშაო პირობების გაუმჯობესების მიზნით განხორციელებულია სხვადასხვა ინიციატივა, რომლებიც მიზნად ისახავს უფრო ხელსაყრელი, უსაფრთხო და პროფესიულად გამამდიდრებელი გარემოს შექმნას. ინდივიდუალური მიღწევები და კოლექტიური ძალისხმევა ფორმალურად აღიარებულია მადლობის გამოცხადებისა და დამსახურების სერტიფიკატების გაცემის გზით. თანამშრომლობითი მუშაობა გამოიყენება მიზნების მიღწევის ეფექტურობის ერთ-ერთ ძირითად ინდიკატორად, ვინაიდან ის აერთიანებს კოლექტიურ ძალისხმევას საერთო ინსტიტუციური ამოცანების მისაღწევად. პერსონალისთვის შემუშავებულია ფულადი წახალისების სისტემა (რაც დასტურდება წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილებებით). აღიარების დამატებით ფორმებს წარმოადგენს სერტიფიკატების მინიჭება და სხვადასხვა კატეგორიაში გამარჯვებულთა გამოვლენა, განსაკუთრებით სტუდენტთა კვლევითი შედეგების საფუძველზე. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აღიარების სერტიფიკატები გადაეცა 29 ადმინისტრაციულ და 34 აკადემიურ პერსონალს, მათ შორის - ნაწილს სტუდენტთა შეფასებების შედეგების საფუძველზე.

თვითშეფასების ანგარიშისა და გასაუბრებების შედეგების თანახმად, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური ზედამხედველობას უწევს ახალი თანამშრომლების სამუშაო პროცესში ინტეგრაციის პროცესს, მათ შორის ორგანიზაციული კულტურისა და სამუშაო პრაქტიკების გაცნობას.

უნივერსიტეტში დასაქმებულია 77 აფილირებული აკადემიური პერსონალი, აკადემიური სტატუსების შემდგომი განაწილებით: 26 პროფესორი, 45 ასოცირებული პროფესორი და 6 ასისტენტ-პროფესორი. აღნიშნული აფილირებული აკადემიური პერსონალის გარდა, უნივერსიტეტში დასაქმებულია 86 მოწვეული პერსონალი, რომელიც ფაკულტეტების მიხედვით შემდეგნაირად არის განაწილებული: განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი- 39; ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი - 10; იურიდიული ფაკულტეტი - 9; ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი - 28. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, მოწვეული პერსონალის 73% ქალია, ხოლო 27% კაცი. უნივერსიტეტში ასევე დასაქმებულია 78 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. ინტერვიუების პროცესში ადმინისტრაციამ აღნიშნა ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალს შორის არსებული თაობათაშორისი განსხვავების მნიშვნელობა და ამ გამოწვევის გათვალისწინების აუცილებლობა. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს ზოგადი მექანიზმები, სასურველია, შემუშავდეს მეტად სტრატეგიული მექანიზმები ახალგაზრდა აკადემიური პერსონალის მოზიდვისა და შენარჩუნების მიზნით.

პერსონალის შეფასების წესები ითვალისწინებს თითოეული თანამშრომლის საქმიანობის ეფექტურობის გაზომვას სამუშაო პერიოდის განმავლობაში, ადმინისტრაციულ და აკადემიურ პოზიციებზე შესრულებული საქმიანობის შეფასებას, ასევე მათი წვლილის განსაზღვრას მართვის განვითარების პროცესში. უნივერსიტეტი ყოველწლიურად ატარებს პერსონალის საქმიანობის შეფასებასა და კმაყოფილების გამოკითხვებს ადამიანური რესურსების მართვის გაუმჯობესების მიზნით; შეფასების პროცესი სრულდება ყოველი წლის იანვარში, 30 დღის ვადაში. შეფასებების შედეგები გამოიყენება ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის, ადმინისტრაციის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების მიერ სტრატეგიული დაგეგმვისთვის, ასევე ორგანიზაციული კულტურისა და საოპერაციო ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნებით. უნივერსიტეტმა წარმოადგინა აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის წლიური ანგარიშების, თვითშეფასებისა და საუნივერსიტეტო გარემოთი კმაყოფილების გამოკითხვის ანალიზი 2019-2024 სასწავლო წლებისთვის. ასევე წარმოდგენილია ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების შედეგების ანალიზის დოკუმენტები 2019-2025 წლებისთვის.

თვითშეფასების ანგარიში ასახავს უნივერსიტეტის საქმიანობის ძირითადი ინდიკატორებს, რომლებიც მიმდინარე მიღწევებს 2031 წლისთვის განსაზღვრულ სამიზნე ნიშნულებს ადარებს. აკადემიური/სამეცნიერო პერსონალისა და ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის თანაფარდობა ამჟამად შეადგენს 1:1-ს, რაც სრულად შეესაბამება დადგენილ სამიზნე ნიშნულს. დაწესებულების მიზანია, ადმინისტრაციული პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობის მაჩვენებელი შეიცვალოს 1:25.2-დან 1:30-მდე. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი არ გეგმავს სტუდენტთა კონტინგენტის ზრდას. შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები განსაზღვრავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, მათი ფუნქციური მოვალეობების შესაბამისად. აკადემიური პერსონალის დოკუმენტაციის სიღრმისეული შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს. ზოგადი მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. აღნიშნული დოკუმენტის მე-7 მუხლის თანახმად , „65 წლის ასაკს მიღწეული პირი ვერ აირჩევა უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე, ხოლო აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი, რომელმაც მიაღწია 65 წლის ასაკს, აკადემიურ თანამდებობას ტოვებს მისი არჩევის ვადის ამოწურვის შემდეგ. გამონაკლისის სახით, 65 წელს გადაცილებული პირი შეიძლება აირჩეს უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე იმ შემთხვევაში, თუ იგი აკმაყოფილებს აკადემიურ კონკურსში მონაწილე კანდიდატებისთვის დადგენილ მოთხოვნებს. აკადემიურ თანამდებობაზე დანიშვნა ხორციელდება ამ მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად“ (გვ. 16). ამავე მუხლის მე-6 პუნქტი ითვალისწინებს გამონაკლისს, რომლის მიხედვითაც 65 წელს გადაცილებული პირი შეიძლება არჩეულ იქნეს აკადემიურ თანამდებობაზე მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში. თუმცაღა, მე-5 პუნქტი მკაფიოდ აცხადებს, რომ 65 წლის ასაკს მიღწეული პირი ვერ აირჩევა უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობაზე. საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და საკონკურსო სტანდარტების დაკმაყოფილება არ უნდა განიხილებოდეს როგორც გამონაკლისი გარემოება, ვინაიდან ეს წარმოადგენს ყველა კანდიდატისთვის წაყენებულ საბაზისო მოთხოვნას, ასაკის მიუხედავად. მსგავსი აღწერები წარმოდგენილია ადმინისტრაციული თანამდებობებთან მიმართებითაც. რეკომენდებულია, რომ გადაიხედოს მართვის პოლიტიკის დოკუმენტი და აღმოიფხვრას წინააღმდეგობა იმ დებულებებს შორის,

რომლებიც კატეგორიულად კრძალავს 65 წლის ან უფროსი პირების აკადემიურ და ადმინისტრაციულ თანამდებობებზე დანიშვნას, და იმ დებულებებს შორის, რომლებიც გამონაკლისის სახით უშვებს მსგავს დანიშვნას იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატები აკმაყოფილებენ სტანდარტულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები დეტალურად განსაზღვრავს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და ნათლად აღწერს თითოეული პოზიციისთვის აუცილებელ კომპეტენციებს, განათლებას, გამოცდილებასა და უნარებს, კონკრეტული ფუნქციური მოვალეობების შესაბამისად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ● თვითშეფასების ანგარიში; ● ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა; ● აკადემიური და მოწვეული პერსონალის შერჩევის წესები; ● აკადემიური პერსონალის ატესტაციის ჩატარების წესები; ● აკადემიური პერსონალის აფილირების წესები და პირობები; ● კონტრაქტის ნიმუშები; ● სამუშაოს აღწერილობები ● აკადემიური პერსონალის დოკუმენტაცია ● პერსონალის საქმიანობის შეფასების დოკუმენტები; ● უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: ● გასაუბრების შედეგები
რეკომენდაციები: 4.1.1. რეკომენდებულია, რომ გადაიხედოს მართვის პოლიტიკის დოკუმენტი და აღმოიფხვრას წინააღმდეგობა იმ დებულებებს შორის, რომლებიც კატეგორიულად კრძალავს 65 წლის ან უფროსი პირების აკადემიურ და ადმინისტრაციულ თანამდებობებზე დანიშვნას, და იმ დებულებებს შორის, რომლებიც გამონაკლისის სახით უშვებს მსგავს დანიშვნას იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატები აკმაყოფილებენ სტანდარტულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.
რჩევები: 4.1.1. სასურველია, მეტი სტრატეგიული მექანიზმის შემუშავება ახალგაზრდა აკადემიური პერსონალის მოზიდვისა და შენარჩუნებისათვის.
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ ეხება
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა
უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უსდ-ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების/სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, უნივერსიტეტი ყოველ სემესტრში რეგულარულად ანახლებს აკადემიური პერსონალის სასწავლო დატვირთვას მათი კონკრეტული როლებისა და ფუნქციური მოვალეობების შესაბამისად. მსგავსი სისტემური მიდგომა უზრუნველყოფს, რომ დატვირთვა მორგებული იყოს თითოეული აკადემიური პერსონალის ინდივიდუალურ წვლილსა და ფუნქციებზე. სავალდებულო

პედაგოგიური დატვირთვა ნათლად არის განსაზღვრული და მოიცავს საკონტაქტო საათების ჩატარებას კვირისა და წლის ჭრილში შემდეგი განაწილებით: პროფესორი - 8/240 საათი; ასოცირებული პროფესორი - 10/300 საათი; ასისტენტ-პროფესორი - 12/360 საათი. მოწვეული პერსონალისთვის მაქსიმალური სასწავლო დატვირთვა განისაზღვრება 15 საათით. უნივერსიტეტი ასევე რეგულარულად ახორციელებს პერსონალის უნივერსიტეტის გარეთ არსებული სამუშაო დატვირთვის მონიტორინგს. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის მიერ შიდა და გარე პროფესიული ვალდებულებების ეფექტურ დაბალანსებას. მდგრადი სამეცნიერო განვითარების მხარდასაჭერად, უნივერსიტეტში ჩამოყალიბებულია დატვირთვის სქემა, რომელიც განსაზღვრავს სამეცნიერო საქმიანობის სავალდებულო მოთხოვნებსა აკადემიური პერსონალისათვის. თითოეულ საქმიანობას მინიჭებული აქვს კონკრეტული რაოდენობის საათები, ხოლო პროფესორ-მასწავლებლები ვალდებულები არიან, ორ წელიწადში ერთხელ ერთი სამეცნიერო ნაშრომი გამოაქვეყნონ იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალში. დასაშვებ სამეცნიერო საქმიანობებს მიეკუთვნება:

- საგანმანათლებლო პროგრამების სამეცნიერო კომპონენტების განხორციელება და სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნება;
- კვლევითი პროექტების განხორციელება; კონფერენციებში, ფორუმებში, სიმპოზიუმებსა და კონგრესებში მონაწილეობა;
- სამეცნიერო გამოცემების რედაქტირება და რეცენზირება;
- სამეცნიერო კონსულტირებისა და ექსპერტული მომსახურების გაწევა;
- მეცნიერების პოპულარიზაციისა აქტივობებში ჩართვა.

აკადემიური პერსონალის საქმიანობა ფასდება თვითშეფასების ყოველწლიური ანგარიშების საფუძველზე, რომლებიც მოიცავს სავალდებულო და ნებაყოფლობითი სამეცნიერო საქმიანობების გაანგარიშებას უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის ჭრილში, რაც დეტალურად არის აღწერილი უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის კონცეფციასა და პერსონალის შეფასების პროცედურებში. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს აღნიშნულ მიდგომას, ხოლო გასაუბრებების შედეგები მიუთითებს უნივერსიტეტის გარეთ არსებული დატვირთვის მონიტორინგის ეფექტიანობაზე.

უნივერსიტეტში მისაღებ სტუდენტთა მაქსიმალური კონტინგენტის (საერთო რაოდენობის) გაანგარიშების ფორმულა ეფუძნება შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) სასწავლო ფართი (კვ.მ) გაყოფილი 2-ზე;
ბ) აკადემიური პერსონალის რაოდენობა გამრავლებული 30-ზე (სტუდენტთა რაოდენობა);
გ)მატერიალურ-ტექნიკური ბაზა - კომპიუტერებისა და სხვა ტექნიკური აღჭურვილობის რაოდენობა გამრავლებული 15 სტუდენტზე;
დ)ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა გამრავლებული 30-ზე (სტუდენტთა რაოდენობა).

კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა მისაღები რაოდენობა განისაზღვრება შემდეგი ტენდენციებისა და კრიტერიუმების საფუძველზე:

- ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ჩარიცხვის მსურველთა და ჩარიცხულთა მონაცემები;
- ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სტუდენტთა მობილობის მონაცემები;
- შრომის ბაზრის პერიოდული კვლევა, განსაკუთრებით ახალი პროგრამების ინიცირების ან არსებული პროგრამების მოდიფიცირების შემთხვევაში;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი;
- ადამიანური რესურსების (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი), ასევე მატერიალური, ფინანსური და საბიბლიოთეკო რესურსების ხელმისაწვდომობა.

ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში გათვალისწინებულია შემდეგი ფაქტორები:

- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა კვლევები;
- სხვა უნივერსიტეტებში ანალოგიური პროგრამების განხორციელების გამოცდილება;

- სტუდენტთა დაგეგმილი მისაღები რაოდენობის უზრუნველსაყოფად საჭირო მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსების (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი) არსებობა.

სტუდენტთა მისაღების რაოდენობის დაგეგმვას თითოეულ საფეხურზე გააჩნია საკუთარი სპეციფიკა:

- საბაკალავრო საფეხურზე გათვალისწინებული უნდა იყოს საგანმანათლებლო პროგრამისა და მისი კომპონენტების თავისებურებები;
- სამაგისტრო საფეხურზე აუცილებელია სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობისათვის ხელმისაწვდომი აკადემიური პერსონალის რაოდენობის გათვალისწინება;
- სადოქტორო საფეხურზე უნდა შეფასდეს პოტენციური ხელმძღვანელების შესაძლებლობები და მზადყოფნა;
- ქართული ენაში მომზადების პროგრამების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობა ადგენს ჩარიცხვის კვოტებს საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხულთა საერთო რაოდენობის პროცენტული ნაწილის სახით: აზერბაიჯანულენოვანი აპლიკანტებისთვის - 5%, სომხურენოვანი აპლიკანტებისთვის - 5%, აფხაზურენოვანი აპლიკანტებისთვის - 1% და ოსურენოვანი აპლიკანტებისთვის - 1%.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია ნათლად ასახავს უნივერსიტეტსა და მის აფილირებულ პერსონალს შორის გაფორმებულ ფორმალურ შეთანხმებებს და თან ერთვის შესაბამისი ხელშეკრულების პროექტიც. აღნიშნული შეთანხმებები განსაზღვრავს აფილირების პირობებს და უზრუნველყოფს, რომ როგორც უნივერსიტეტი, ისე აფილირებული პირები მკაფიოდ აცნობიერებდნენ საკუთარ როლებს, ვალდებულებებსა და მოლოდინებს

თვითშეფასების ანგარიში ასახავს უნივერსიტეტის საქმიანობის ძირითადი ინდიკატორებს, რომლებიც მიმდინარე მიღწევებს 2031 წლისთვის განსაზღვრულ სამიზნე ნიშნულებს ადარებს. აკადემიური/სამეცნიერო პერსონალისა და პერსონალის საერთო რაოდენობის თანაფარდობა ამჟამად შეადგენს 1:31-ს, ხოლო სამიზნე ნიშნულად მითითებულია 1:3. როგორც გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, ეს ტექნიკური შეცდომა იყო და სწორი სამიზნე ნიშნული კვლავ 1:31 უნდა იყოს. მიუხედავად იმისა, რომ შეცდომა ტექნიკური ხასიათისაა, იგი საჭიროებს კორექტირებას. აკადემიური/სამეცნიერო პერსონალისა და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა შეადგენს 1:1.1-ს, ხოლო მიზნად დასახულია 1:1-ის მიღწევა. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სტუდენტებთან მიმართებით თანაფარდობა ამჟამად არის 1:11.9, ხოლო სამიზნე ნიშნულად განსაზღვრულია 1:15. პერსონალის აღნიშნული კატეგორიების თანაფარდობა უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით შეადგენს 5.2:1-ს, სამიზნე ნიშნული კი არის 5:1. აფილირებული პერსონალისა და აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა ამჟამად არის 1:2.1, ხოლო მიზნად დასახულია 1:2. ხელმძღვანელობის თანაფარდობის მაჩვენებლები მიუთითებს სტუდენტთა რაოდენობის ზრდის ტენდენციაზე ცალკეულ ხელმძღვანელთან მიმართებით: ხელმძღვანელისა და მაგისტრანტების თანაფარდობა დაგეგმილია გაიზარდოს 1:2.6-დან 1:3-მდე, ხოლო ხელმძღვანელისა და დოქტორანტების თანაფარდობა - 1:2.4-დან 1:2-მდე. აფილირებული აკადემიური პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი დაგეგმილია შემცირდეს 99.50%-დან 99%-მდე. სასურველია, რომ უნივერსიტეტმა შეასწოროს აკადემიურ/სამეცნიერო პერსონალსა და პერსონალის საერთო რაოდენობას შორის თანაფარდობის სამიზნე ნიშნულში არსებული ტექნიკური შეცდომა (ამჟამად, მითითებულია 1:3, 1:31-ის (სწორი მაჩვენებლის) ნაცვლად) და გადახედოს საქმიანობის ყველა ინდიკატორს.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი:
- სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია
- აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვა
- პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგია
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

არ ეხება

რჩევები: 4.2.1. სასურველია, რომ უნივერსიტეტმა შეასწოროს აკადემიურ/სამეცნიერო პერსონალსა და პერსონალის საერთო რაოდენობას შორის თანაფარდობის სამიზნე ნიშნულში არსებული ტექნიკური შეცდომა და გადახედოს საქმიანობის ყველა ინდიკატორს.
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ ეხება
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები
○ უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები. ○ უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: უნივერსიტეტში შემუშავებულია სტუდენტთა ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და განათლების აღიარების მარეგულირებელი წესები. უნივერსიტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის დებულებები განსაზღვრავს სტუდენტთა პროგრამებზე დაშვების და კვალიფიკაციის მინიჭების პროცედურებს, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან. სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურები დეტალურად არის გაწერილი „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 13-ე და 14-ე მუხლებში, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და სამართლიანობას. მობილობის პროცედურები განსაზღვრულია შიდა და გარე მობილობის რეგულაციებში, კერძოდ, 5-ე და 6-ე მუხლებში. გასაუბრების ფარგლებში სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ იცნობენ აღნიშნულ პროცედურებს და აქვთ წვდომა შესაბამის დოკუმენტებზე. ყველა რეგულაცია საჯაროდაა განთავსებული უნივერსიტეტის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის. (https://sjuni.edu.ge/წესები-და-ინსტრუქციები/) სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულება შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ მათ, უნივერსიტეტში ჩარიცხვისას, ჰქონდათ შესაძლებლობა წაეკითხათ ხელშეკრულებები. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ზემოაღნიშნული პროცედურების ეფექტურ და დროულ განხორციელებას, სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით.

სასწავლო წლის დასაწყისში უსდ-ში ტარდება საორიენტაციო კვირეული, რომლის ფარგლებშიც დეკანი და სტუდენტთა მხარდაჭერის სამსახური სტუდენტებს აცნობენ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებებსა და ვალდებულებებს, რაც ასევე დადასტურდა გასაუბრებების დროს.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა უფლებების დაცვის მექანიზმი, მათ შორის, სტუდენტთა გასაჩივრების მექანიზმები სასწავლო პროცესთან, აკადემიურ და ადმინისტრაციულ ორგანოებთან მიმართებით, რაც ასახულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“.

სტუდენტთა გამოკითხვები მოიცავს კითხვარებს, მათ შორის უნივერსიტეტის როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული პერსონალის შეფასებას. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, გაასაჩივრონ ისეთი საკითხები, რასაც სასწავლო პროცესის დროს არ დაეთანხმებიან. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი იყენებს სტუდენტურ საინფორმაციო სისტემას (https://sjuni.edu.ge/, https://moodlesjuni.edu.ge/), რომლის მეშვეობითაც სტუდენტებს შეუძლიათ რეგისტრაცია, სასწავლო კურსების არჩევა, საგანმანათლებლო პროგრამების გადახედვა და ლექტორთან ან სასწავლო კურსთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის დაფიქსირება.

უნივერსიტეტში ასევე ფუნქციონირებს სტუდენტური თვითმმართველობის ორგანო. მისი მიზნები, უფლებამოსილებები, ორგანიზაციული სტრუქტურა, წევრებისა და პრეზიდენტის არჩევის პროცედურები, ასევე სხვა შესაბამისი საკითხები განსაზღვრულია სტუდენტური თვითმმართველობის დებულებით.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- მაგისტრატურის დებულება;
- დოქტორანტურის დებულება;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სტუდენტთა საინფორმაციო სისტემა (https://moodlesjuni.edu.ge/);
- უნივერსიტეტის ვებგვერდი (https://sjuni.edu.ge/,);
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სტუდენტური თვითმმართველობის დებულება
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

არ ეხება

რჩევები:

არ ეხება

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

არ ეხება

შეფასება

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

- სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება.
- უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას.
- უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები, რომელიც მათ ეხმარება სწავლის დაგეგმვასა და აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაში. როგორც აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, ისე სტუდენტებთან ჩატარებულმა გასაუბრებებმა დაადასტურა, რომ დეკანი და სტუდენტთა მხარდაჭერის სამსახურები თითოეული სემესტრის დასაწყისში უზრუნველყოფენ ორგანიზებულ კონსულტაციებს. ამასთან, პროფესორები სილაბუსის შესაბამისად სთავაზობენ კურსის შესაბამის კონსულტაციებს, სადაც განსაზღვრულია სასწავლო კურსის მიზნები, სწავლის შედეგები, შინაარსი, სწავლება-სწავლის მიდგომები და შეფასების მეთოდები.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი სტუდენტთა პროფესიულ განვითარებას და შრომის ბაზარზე ინტეგრაციას ხელს უწყობს სხვადასხვა აქტივობის, მათ შორის საინფორმაციო შეხვედრების, კარიერული ფორუმებისა და ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის რეგულარული მიწოდების საშუალებით. აღნიშნული მიმართულების გასაძლიერებლად უნივერსიტეტში შეიქმნა ახალი სტრუქტურული ერთეული - კარიერული ზრდისა და განვითარების ცენტრი, რომელიც აღნიშნული ფუნქციების ეფექტურად განხორციელებაზეა ორიენტირებული.

დამსაქმებლები აქტიურად არიან ჩართულები უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში, განვითარებასა და განხორციელებაში. დამსაქმებლის მოთხოვნების იდენტიფიცირებისთვის, ფოკუს ჯგუფების ორგანიზებაში ჩართულია კარიერული ზრდისა და განვითარების მენეჯერი. კომპანიებისგან მიღებული უკუკავშირი გათვალისწინებულია პროგრამის სასწავლო გეგმებისა და კონკრეტული კურსების შემუშავებისას. ზემოაღნიშნული პროცესები ასევე დადასტურდა დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრებისას.

ინფორმაცია საერთაშორისო მობილობის შესახებ, ისევე როგორც ზოგიერთი საერთაშორისო პროექტის თაობაზე, ხელმისაწვდომია ელექტრონული ფოსტის საშუალებით. უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს Erasmus+ საერთაშორისო მობილობის პროგრამაში მონაწილეობის მიღების რამდენიმე შესაძლებლობას. დაწესებულება სტუდენტებს აძლევს სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობის შესაძლებლობებს, ასევე უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებას დაწესებულების გარეთ განხორციელებული საერთაშორისო თუ ადგილობრივი პროექტებისა თუ ღონისძიებების შესახებ.

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებასა და მათ ჩართვას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ თუ საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, რომლებიც მოიცავს კლასგარეშე აქტივობებს - სპორტს, ხელოვნებას, საგანმანათლებლო აქტივობებს და მხარს უჭერს სტუდენტურ ინიციატივებს შიდა დაფინანსების გზით.

უნივერსიტეტში მოქმედებს დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე სტუდენტების მხარდაჭერის გამჭვირვალე და ობიექტური მექანიზმები, ხოლო მათ შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი. სტიპენდიებისა და გრანტების შესახებ რეგულაციის შესაბამისად, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი სთავაზობს სწავლის საფასურის გადახდის მოქნილ პირობებს და ასევე სტუდენტთა მხარდასაჭერად, ასევე ხელმისაწვდომია სხვადასხვა სახის სტიპენდიები. გასაუბრებისას სტუდენტებმა დაადასტურეს ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმების არსებობის საკითხი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი
- უნივერსიტეტის ვებგვერდი (https://sjuni.edu.ge/,);
- დასრულებული და დაგეგმილი სტუდენტური ინიციატივები და აქტივობები
- მემორანდუმები.
- გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები: არ ეხება
რჩევები: არ ეხება
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): არ ეხება
შეფასება ☒შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1 კვლევითი საქმიანობა
○ უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას. ○ სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა. ○ უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: კვლევითი, შემოქმედებითი და საშემსრულებლო საქმიანობა სსიპ – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს, რომელიც სრულად არის თანხვედრაში უნივერსიტეტის 2026-2032 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმასთან. აღნიშნული გეგმა პრიორიტეტად განსაზღვრავს კვლევისა და შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციას, აგრეთვე უნივერსიტეტის როლის გაძლიერებას სამცხე-ჯავახეთის რეგიონის განვითარებაში. კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობა ხორციელდება უნივერსიტეტის კვლევის კონცეფციის შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ და რეგულარულად განახლდება კვლევითი პრიორიტეტების, ორგანიზაციული პრინციპების, აკადემიური თავისუფლებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განსაზღვრის მიზნით. კვლევისა და შემოქმედებითი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები მოიცავს სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებებსა და ვეტერინარიას, ჰუმანიტარულ მეცნიერებებს, ეკონომიკას, ბუნებისმეტყველებას, ასევე დარგობრივ შემოქმედებით პრაქტიკებს, რომლებიც პასუხობს როგორც რეგიონული, ისე ეროვნული განვითარების ძირითად გამოწვევებს. სადოქტორო პროგრამები ფუნქციონირებს მოქმედი ეროვნული რეგულაციების შესაბამისად და ადგილზეა უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოც, რაც უზრუნველყოფს პროგრამაზე დაშვების, ნაშრომის ხელმძღვანელობისა და დისერტაციის დაცვის გამჭვირვალე პროცედურების არსებობას. პროცესში ჩართულები არიან როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ხელმძღვანელები, რომელთაგან ყველას მოეთხოვება იყვნენ აქტიურ მკვლევარები და ჰქონდეთ უახლესი პუბლიკაციები საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში, რაც უზრუნველყოფს მაღალი სამეცნიერო სტანდარტების დაცვას. პლაგიატის პრევენციის პროცედურები და კვლევის ეთიკა ინტეგრირებულია სადოქტორო ხელმძღვანელობისა და შეფასების პროცესებში, რაც ხელს უწყობს აკადემიურ კეთილსინდისიერებას. ბიოსამედიცინო კვლევების ეთიკური ასპექტები რეგულირდება ბიოეთიკის კომიტეტის მიერ, რომელიც შეიქმნა 2022 წელს და ფუნქციონირებს OIE, WHO და FAO-ს სტანდარტების შესაბამისად. კომიტეტი განიხილავს და მონიტორინგს უწევს ცხოველებისა და ბიოლოგიური მასალების გამოყენებით

განხორციელებულ კვლევებს - რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვეტერინარიის სფეროს კვლევებისთვის- ეთიკური და სამართლებრივი ნორმების დაცვის უზრუნველსაყოფად. კვლევის შედეგების მონიტორინგი ხორციელდება შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების, მათ შორის აკადემიური პერსონალის წლიური შეფასებების, ანგარიშგების პროცედურებისა და ინსტიტუციური შეფასების პროცესების საშუალებით.

უნივერსიტეტში დანერგილია შიდა სამეცნიერო საგრანტო კონკურსები, რომლებიც ხელს უწყობს ინოვაციებს და მხარს უჭერს ახალგაზრდა მკვლევრებსა და დოქტორანტებს. 2025 წელს დაფინანსებული პროექტები ეხებოდა ზოონოზებს, სათბური აირების ეფექტიანობასა და კულტურულ მემკვიდრეობას. ეროვნულ დონეზე უნივერსიტეტი წარმატებით მონაწილეობს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროგრამებში, რომლებიც მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა რელიგიური და ეთნიკური უმცირესობები, ენობრივი მემკვიდრეობა და რეგიონის სოციო-ეკონომიკური განვითარება. კვლევის შედეგები ინტეგრირდება სასწავლო პროცესში კურიკულუმების განახლების, სტუდენტური კვლევითი პროექტების ხელმძღვანელობისა და სტუდენტთა მიმდინარე კვლევით და შემოქმედებით საქმიანობაში ჩართულობის გზით.

მიუხედავად კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის განვითარების მიმართულებით მიღწეული სტაბილური პროგრესისა, ლაბორატორიული ინფრასტრუქტურის შეზღუდულობა და მოკრძალებული ფინანსური რესურსები (საერთო ბიუჯეტის დაახლოებით 4-5%) კვლავ ზღუდავს ექსპერიმენტული და ლაბორატორიული სამუშაოების სრულმასშტაბიან განხორციელებას. მიუხედავად იმისა, რომ დაგეგმილია ლაბორატორიული ბაზისა და საველე კვლევების შემდგომი განვითარება, არსებული შესაძლებლობები ამ ეტაპზე საკმარისი არ არის მასშტაბური სამეცნიერო საქმიანობისათვის. მიუხედავად ამისა, უნივერსიტეტი თანმიმდევრულ პროგრესს აჩვენებს კვლევისა და შემოქმედებითი საქმიანობის ინსტიტუციონალიზების, ახალგაზრდა მეცნიერების მხარდაჭერის, აკადემიური თავისუფლების დაცვის, აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევების პრევენციის, აგრეთვე ეთიკური და გამჭვირვალე სადოქტორო პროცედურების უზრუნველყოფის კუთხით. სტრატეგიული მიმართულება შეფასებულია როგორც ძლიერი, თუმცა მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური შესაძლებლობების გაძლიერება კვლავ რჩება აუცილებელ წინაპირობად გრძელვადიანი მდგრადობისა და კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული კვლევის კონცეფცია (2020; განახლებული 2022–2025 წლებში);
- შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და Horizon Europe-ის პროგრამებში მონაწილეობა;
- ბიოეთიკის მოქმედი კომიტეტი (დებულება დამტკიცებულია 16.02.2022);
- დოქტორანტის ხელმძღვანელობის რეგულაციები, რომლებიც უზრუნველყოფს გამჭვირვალე შეფასებას;
- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა (2026-2032 წწ)
- ვებ-გვერდი https://sjuni.edu.ge/en/;
- ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებების შედეგები;
- უნივერსიტეტის ბიუჯეტი;
- ბოლო 5 წლის დაფინანსების დინამიკა;

რეკომენდაციები:

6.1.1. რეკომენდებულია, შიდა ინსტიტუციური საგრანტო პროგრამების დაფინანსების გაზრდა და ლაბორატორიული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

რჩევები:

6.1.1. სასურველია, ინტერდისციპლინური, რეგიონზე ორიენტირებული გამოყენებითი კვლევების არეალის გაფართოება და კვლევის შედეგების კომერციალიზაციის მექანიზმების გაძლიერება.

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

არ ეხება

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

- უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა.
- ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში.
- უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოყალიბებულია მხარდამჭერი გარემო კვლევითი და შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის განვითარებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით, ადმინისტრაციული სტრუქტურების, სტრატეგიული დაგეგმვისა და მიზნობრივი ინიციატივების კომბინირების გზით. უნივერსიტეტის კვლევისა და შემოქმედებითი საქმიანობის პოლიტიკა სრულად არის თანხვედრაში მის სტრატეგიულ მიზნებსა და ინტერნაციონალიზაციის პრიორიტეტებთან.

ამ მიმართულებით მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს 2022 წელს Horizon Europe-ის ოფისის შექმნა, რომელიც უნივერსიტეტის ევროპულ კვლევით სივრცეში ინტეგრაციის ძირითად პლატფორმას წარმოადგენს. ოფისი მხარს უჭერს როგორც კვლევით, ისე შემოქმედებით მიმართულებებს საგრანტო განაცხადების მომზადების შესახებ, ტრენინგებისა და კონსულტაციების შეთავაზების საშუალებით, ეროვნულ საკონტაქტო პუნქტთან (NCP) მჭიდრო კომუნიკაციის შენარჩუნებითა და აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების საერთაშორისო კვლევით და შემოქმედებით კონსორციუმებში ჩართულობის ხელშეწყობით. ბოლო სამი წლის განმავლობაში 25 აკადემიურმა და ადმინისტრაციულმა პერსონალმა გაიარა სპეციალიზებული ტრენინგი, ასევე ჩატარდა 18 საინფორმაციო შეხვედრა. ამასთან, უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს 20 საბროკერო და პარტნიორობის ჩამოყალიბების ღონისძიებაში, რომლებიც გაიმართა ბრიუსელსა და ევროპის სხვა ქალაქებში. აღნიშნული საქმიანობის ხელშესახები შედეგია Horizon Europe-ისა და Erasmus+-ის ფარგლებში რამდენიმე საერთაშორისო საგრანტო განაცხადის წარდგენა, რაც ხელს უწყობს უნივერსიტეტის ცნობადობის ზრდასა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებას.

კვლევის მხარდაჭერის მექანიზმები ფუნქციონირებს როგორც ინსტიტუციურ, ისე საფაკულტეტო დონეებზე და მოიცავს პროექტების ადმინისტრირებას, ხარისხის უზრუნველყოფასა და შედეგების დისემინაციას, აგრეთვე მობილობასა და პარტნიორობის მხარდაჭერას. სტუდენტთა ჩართულობა უზრუნველყოფილია საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის, ერთობლივი კვლევითი და შემოქმედებითი ინიციატივების, მიმდინარე პროექტებთან დაკავშირებული საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობის, ასევე Erasmus+- ისა და სხვა ევროპული სქემების ფარგლებში მობილობის შესაძლებლობების საშუალებით. უნივერსიტეტი აქტიურად უწყობს ხელს ახალგაზრდა მკვლევრების ჩართულობას და ხელს უწყობს ინტერდისციპლინურ თანამშრომლობას ფაკულტეტებს შორის.

განსაკუთრებულად აღსანიშნავია უნივერსიტეტის მიერ კვლევითი და შემოქმედებითი პროფილის ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით მიღწეული თანმიმდევრული პროგრესი. პარტნიორების რაოდენობის ზრდა, ევროპულ ქსელებში აქტიური მონაწილეობა და ერთობლივი კვლევითი და შემოქმედებითი ინიციატივების უკეთესი კოორდინაცია აჩვენებს განვითარების მკაფიო ტენდენციას. ინტერნაციონალიზაციის მიმართულების მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება შიდა ანგარიშგების მექანიზმების, საქმიანობის წლიური შეფასებებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიმოხილვების ფარგლებში, რომლებიც აფასებს მონაწილეობის დონეს, მიღწეულ შედეგებსა და მათ გავლენას.

ინსტიტუციური ერთგულება და ჩართულობა ისეთ მნიშვნელოვან ევროპულ პროგრამებში, როგორიცაა Horizon Europe, WIDERA, MSCA და Erasmus+, წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს ევროკავშირის კვლევით სტანდარტებთან შესაბამისობის მიმართულებით. აღნიშნულ ინიციატივებს მხარს უჭერს სპეციალიზებული ადმინისტრაციული სტრუქტურები და მათთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსები, რაც ქმნის მდგრად, თუმცა ჯერ კიდევ შეზღუდულ საფუძველს საერთაშორისო კვლევითი და შემოქმედებითი თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისათვის.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული კვლევის კონცეფცია (2020 ; განახლებული 2022-2025 წლებში);
- შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (SRNSFG) და Horizon Europe-ის პროგრამებში მონაწილეობა;
- გრძელვადიანი პარტნიორობა ევროკავშირის ქვეყნებისა და სხვა უცხოურ/ეროვნულ უნივერსიტეტებსა და კვლევით ცენტრებთან;
- თვითშეფასების ანგარიში;
- უსდ-ს მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა 2026–2032;
- ვებ-გვერდი https://sjuni.edu.ge/en/;
- ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრების შედეგები;
- უნივერსიტეტის ბიუჯეტი
- ბოლო 5 წლის დაფინანსების დინამიკა;

რეკომენდაციები:

არ ეხება

რჩევები:

6.1.1. სასურველია, ახალგაზრდა მკვლევრებისათვის კვლევითი მობილობის ფონდის შექმნა.

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

არ ეხება

შეფასება

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება

უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ-– სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოყალიბებულია კვლევითი და შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობის ხარისხისა და პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა. ამ პროცესში ცენტრალურ როლს ასრულებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც მონაცემებს აგროვებს აკადემიური პერსონალის პუბლიკაციების, შემოქმედებით ნამუშევრებისა და პერფორმანსების, ასევე საგრანტო პროექტებში მონაწილეობისა და კონფერენციებზე დასწრების შესახებ. აღნიშნული ინდიკატორები ინტეგრირებულია აკადემიური პერსონალის წლიურ შეფასებებში და გამოიყენება დაწინაურებისა და კონტრაქტების განახლების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად უწევს მონიტორინგს შეფასებების შედეგებს, ავლენს ძლიერ და გაუმჯობესების მხარეებს. მიღებული შედეგები წარედგინება აკადემიურ საბჭოს და გამოიყენება სტრატეგიული და საოპერაციო

დაგეგმვის პროცესებში. მონიტორინგის მსგავსი ჩარჩო უზრუნველყოფს ანგარიშვალდებულებას და ინდივიდუალურ აკადემიურ მიღწევებს საერთო ინსტიტუციურ შედეგებთან აკავშირებს.

ამჟამად, უნივერსიტეტის შეფასების სისტემა ძირითადად ეფუძნება რაოდენობრივ ინდიკატორებს, როგორიცაა პუბლიკაციების რაოდენობა და საგრანტო პროექტებში მონაწილეობა. თუმცაღა, თვისებრივი ასპექტები, მათ შორის შემოქმედებითი საქმიანობის სახელოვნებო და საზოგადოებრივი გავლენა, ინოვაციური კვლევითი შედეგები, ციტირებაზე დაფუძნებული გავლენის ინდიკატორები, კომერციალიზაციის პოტენციალი და საზოგადოებრივი რელევანტურობა, ჯერ კიდევ არ არის სისტემატურად ინტეგრირებული. ბიბლიომეტრიული ინსტრუმენტების დანერგვა, კვლევების ცენტრალიზებული ციფრული ბაზის შექმნა და შესრულების ძირითადი ინდიკატორების (KPI) შემუშვება გააუმჯობესებდა შეფასების სიზუსტეს, თანმიმდევრულობასა და ყოვლისმომცველობას და შესაძლებელს გახდიდა გავლენის უფრო მკაფიო მონიტორინგს როგორც სამეცნიერო, ისე შემოქმედებით სფეროებში.

ზოგადად, უნივერსიტეტი თანმიმდევრულ პროგრესს ავლენს კვლევის ხარისხის შიდა კონტროლის მოქნილი სისტემების ჩამოყალიბების მიმართულებით. პროცესი გამჭვირვალეა და თანხვედრაშია სტრატეგიულ მიზნებთან, ხოლო სტუდენტთა ჩართულობა უზრუნველყოფილია სასწავლო კურსების შეფასებაში მონაწილეობის, კვლევაზე დაფუძნებული სასწავლო აქტივობებისა და ხელმძღვანელობასა და კვლევაზე დაფუძნებულ სწავლებასთან დაკავშირებით, უკუკავშირის საშუალებით. გარე „ბენჩმარკინგი“ და კოლეგიალური შედარება, მათ შორის ეროვნულ და საერთაშორისო პუბლიკაციების ბაზებსა და მსგავს ინსტიტუციებზე დაყრდნობით, სულ უფრო მეტად გამოიყენება შედეგების კონტექსტუალიზაციის მიზნით. უკუკავშირის მექანიზმები, მათ შორის გამოკითხვები და აკადემიური პერსონალის, სტუდენტებისა და გარე დაინტერესებული მხარეების სტრუქტურირებული ჩართულობა, უზრუნველყოფს მეთოდოლოგიის მუდმივ დახვეწას, თუმცა კვლავაც საჭიროა შემდგომი განვითარება საერთაშორისო სტანდარტებთან უფრო მჭიდრო შესაბამისობის მისაღწევად.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- კვლევითი პროდუქტიულობის შესახებ წლიური შეფასების ანგარიშები;
- ვიცე რექტორისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შეფასება;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ვიზიტი და ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

არ ეხება

რჩევები:

6.3.1. სასურველია, შეფასების ინდიკატორების გაფართოება მხოლოდ რაოდენობრივი მაჩვენებლების (პუბლიკაციები, გრანტები) ფარგლებს მიღმა და მათში ინოვაციისა და კომერციალიზაციის პოტენციალის ინტეგრირება.

6.3.2. სასურველია, ცენტრალიზებული ციფრული სისტემის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს ყველა კვლევითი შედეგის შეგროვებასა და გავრცელებას, გაზრდის მათ ხილვადობას და გააძლიერებს საზოგადოებრივ ჩართულობას.

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

არ ეხება

შეფასება

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1. მატერიალური რესურსი

- უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას.
- დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა.
- დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა.
- დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთო ფართობი 12 537.32 m^2-ს შეადგენს, საიდანაც 4 857.65 m^2 გამოიყენება აკადემიური მიზნებისთვის, ხოლო 7 679.67 m^2 წარმოადგენს დაწესებულების დამხმარე ფართს.

წინა ავტორიზაციის შემდგომ, უსდ-მ აჩვენა მდგრადი პროგრესი მატერიალურ-ტექნიკური და ინფრასტრუქტურული ბაზის განვითარებისა და მოდერნიზაციის მიმართულებით, უნივერსიტეტის მისიის, ხედვისა და სტრატეგიული მიზნების ეფექტური მხარდაჭერისათვის. უნივერსიტეტის ძირითადი ინფრასტრუქტურა განთავსებულია ოთხ შენობაში, რომლებიც განაწილებულია სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ორ ქალაქში - ახალციხესა და ახალქალაქში და მოიცავს აკადემიურ და ადმინისტრაციულ სივრცეებს. მათ დამატებით ემსახურება დამხმარე შენობები, რომლებიც აღჭურვილია საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტური განხორციელების უზრუნველსაყოფად.

უნივერსიტეტი ფლობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირებისთვის საჭირო უძრავ და მოძრავ ქონებას. ინფრასტრუქტურა მოიცავს აღჭურვილ აუდიტორიებს, ლაბორატორიებს, ბიბლიოთეკებს, სპორტულ დარბაზებს, ადმინისტრაციულ ოფისებს, აგრეთვე ინდივიდუალური და ჯგუფური სწავლისთვის განკუთვნილ სივრცეებს. ყველა ობიექტი შეესაბამება აკრედიტებული და დაგეგმილი საგანმანათლებლო პროგრამების საოპერაციო საჭიროებებს და მათი მოვლა ხორციელდება უსაფრთხოებისა და ჰიგიენის ეროვნული სტანდარტების შესაბამისად.

უსდ რეგულარულად ანახლებს მატერიალურ-ტექნოლოგიური რესურსებს, რათა სასწავლო გარემო თანხვედრაში იყოს ინსტიტუციური განვითარების მიზნებსა და სტუდენტთა ჩარიცხვის გეგმებთან. გათბობის, ვენტილაციის, განათებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემები უწყვეტად უმჯობესდება, უსაფრთხო და ტექნოლოგიურად მხარდაჭერილი აკადემიური გარემოს უზრუნველსაყოფად.

უნივერსიტეტის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ინფრასტრუქტურა მოიცავს საგანგებო რეაგირების სისტემებს, ევაკუაციის პროცედურებსა და ადგილზე არსებულ სამედიცინო სივრცეებს, რომლებიც დაკომპლექტებულია კვალიფიციური პერსონალით. ობიექტების დათვალიერების ფარგლებში შემოწმდა ასევე ახალქალაქის კამპუსი. ვიზიტის დროს აღინიშნა, რომ ახალქალაქის კამპუსში პირველადი დახმარების მედიკამენტების ასორტიმენტი, ახალციხის კამპუსთან შედარებით მცირეა. შესაბამისად, სასურველია, ორივე კამპუსზე უზრუნველყოფილი იყოს პირველადი დახმარების საშუალებების თანაბარი მარაგი და მრავალფეროვნება.

უნივერსიტეტის ყველა შენობაში ადგილზეა სახანძრო უსაფრთხოების აღჭურვილობა, ევაკუაციის მკაფიო ნიშნულები და უსაფრთხოების 24-საათიანი ვიდეო მეთვალყურეობა.

ინკლუზიური და ხელმისაწვდომი გარემოს უზრუნველყოფა უნივერსიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტიტუციურ პრიორიტეტს წარმოადგენს. ყველა აკადემიური შენობა აღჭურვილია პანდუსებით, ადაპტირებული სანიტარული კვანძებით, ლიფტებითა და სსსმ პირებისთვის განკუთვნილი საპარკინგე ადგილებით. აღნიშნული ღონისძიებები უზრუნველყოფს შეუფერხებელ წვდომას უნივერსიტეტის ყველა სივრცესა და აქტივობაზე და სრულ შესაბამისობაშია მოქმედ ტექნიკურ რეგულაციებთან.

ბოლო პერიოდში განხორციელებულმა სარეაბილიტაციო და სარეკონსტრუქციო სამუშაოებმა, მათ შორის პირველი კორპუსის სახურავის რეაბილიტაციამ, მნიშვნელოვნად გააუმჯობესა უნივერსიტეტის ფიზიკური გარემოს ხარისხი. შედეგად, ამჟამად დაწესებულება სთავაზობს უსაფრთხო და ინკლუზიურ აკადემიურ ინფრასტრუქტურას, რომელიც ეფექტურად უჭერს მხარს სწავლება-სწავლისა და კვლევითი პროცესების

განხორციელებას. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ძლიერ აკადემიურ და გამოყენებით გარემოს, რომელიც მხარდაჭერილია სპეციალიზებული ლაბორატორიებითა და კვლევითი ინფრასტრუქტურით, და რომლებიც ემსახურება როგორც სასწავლო პროცესს, ისე რეგიონული განვითარების პრიორიტეტებს. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს დარგობრივი ლაბორატორიები პრაქტიკული მომზადებისა და კვლევისათვის (მაგ., ზუსტი მეცნიერებებისა და გამოყენებითი მიმართულებებისათვის), რომლებიც აღჭურვილია ექსპერიმენტული სამუშაოების, საველე ანალიზისა და სტუდენტური პროექტების მხარდასაჭერად. ამასთანავე, მოქმედებს IT და ციფრული სწავლების სივრცეები, რომლებიც გამოიყენება მონაცემებთან მუშაობის, ონლაინ სწავლებისა და უნარების განვითარებისათვის. უსდ-ს ბიბლიოთეკა წარმოადგენს ცენტრალურ სასწავლო ჰაბს და სთავაზობს სტრუქტურირებულ ბეჭდურ კოლექციასა და მზარდ წვდომას ციფრულ რესურსებზე (ელექტრონული კატალოგები, ელექტრონული მონაცემთა ბაზები და ელექტრონული სასწავლო მასალები), რასაც ემატება საკითხავი/სასწავლო სივრცეები და პერსონალის მხარდაჭერა ინფორმაციული წიგნიერების განვითარების მიზნით. უნივერსიტეტი ინფრასტრუქტურის მონიტორინგსა და მოვლას ახორციელებს ნათლად განსაზღვრული პასუხისმგებელი ერთეულების მეშვეობით (ტექნიკური სამსახურები/IT მხარდაჭერა და ინფრასტრუქტურის მართვა), რაც მოიცავს აღჭურვილობის რეგულარულ შემოწმებას, საჭიროების შემთხვევაში გამოყენების ჟურნალების წარმოებას, გეგმიურ მომსახურებასა და მომხმარებელთა ანგარიშგების არხებს, რათა უზრუნველყოფილი იყოს ლაბორატორიებისა და ციფრული სისტემების უწყვეტი და უსაფრთხო ფუნქციონირება. გარდა ამისა, უსდ მოიცავს შემოქმედებით და საშემსრულებლო სივრცეებს, რომლებიც უზრუნველყოფს კულტურული და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას, მათ შორის ლექციების, გამოფენების, ჩვენებებისა და წარმოდგენების ჩატარებისთვის განკუთვნილ დარბაზებსა და სივრცეებს, და ხელს უწყობს საზოგადოებრივ ჩართულობას, სტუდენტთა შემოქმედებითობასა და საზოგადოებაზე ორიენტირებულ ღონისძიებებს.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ;
- გადაუდებელი სიტუაციების მართვის მექანიზმები;
- მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები
- ინფრასტრუქტურის დათვალიერება;
- თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

არ ეხება

რჩევები:

7.1.1. სასურველია, როგორც ახალციხის, ისე ახალქალაქის კამპუსებში უზრუნველყოფილი იყოს პირველადი დახმარების საშუალებების მრავალფეროვანი და თანაბარი მარაგი.

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

არ ეხება

შეფასება

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.2. საბიბლიოთეკო რესურსები

ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი მუდმივად იჩენს ძალისხმევას საბიბლიოთეკო ინფრასტრუქტურისა და სერვისების განვითარების მიმართულებით, რათა ეფექტურად უზრუნველყოს საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა. უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა ფუნქციონირებს სამ თანამედროვე აღჭურვილობის მქონე სამკითხველო დარბაზში, რომლებიც განთავსებულია ახალციხესა (I და II კორპუსები) და ახალქალაქში (IV კორპუსი). თითოეული სივრცე

აღჭურვილია განახლებული ტექნიკური ინფრასტრუქტურით, მათ შორის ინტერნეტზე წვდომის მქონე კომპიუტერებითა და მრავალფუნქციური მოწყობილობებით (პრინტერი, სკანერი, ასლის დანადგარი).

სამკითხველო დარბაზებში ხელმისაწვდომია უსადენო ინტერნეტი და აუდიოვიზუალური საშუალებები (პროექტორები, ჭკვიანი დაფები), რაც უზრუნველყოფს კომფორტულ და ტექნოლოგიურად მხარდაჭერილ სასწავლო გარემოს. ბიბლიოთეკა მომხმარებლებს სთავაზობს ბეჭდურ და ელექტრონულ კოლექციებს ქართულ და უცხო ენებზე, რომლებიც შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამებთან და პროფესიულ სფეროებთან. ბიბლიოთეკაში დასაქმებულია კვალიფიციური პერსონალი, რომელიც უზრუნველყოფს რესურსებზე წვდომას სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის.

ბიბლიოთეკის მომხმარებელთა რეგისტრაცია ხორციელდება Openbiblio ელექტრონული კატალოგის მეშვეობით, რომელიც მართავს წიგნების გაცემას, კატალოგიზაციასა და დიგიტალურ რესურსებზე წვდომას. ბიბლიოთეკა ასევე ფუნქციონირებს როგორც საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ფილიალი, რაც უზრუნველყოფს გაფართოებულ წვდომას ეროვნულ და საერთაშორისო აკადემიურ რესურსებზე.

უსდ-ს ბიბლიოთეკა არის საქართველოს ბიბლიოთეკათა ასოციაციის, Elsevier-ის კონსორციუმის და საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის კონსორციუმის წევრი, რაც უზრუნველყოფს წვდომას წამყვან საერთაშორისო მონაცემთა ბაზებზე, რომელთა შორისაცაა ScienceDirect, Scopus, Cambridge, SAGE, Edward Elgar, Royal Society და სხვა რესურსები. პროექტი „ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისთვის - eIFL“ ფარგლებში აკადემიური პერსონალი და სტუდენტები სარგებლობენ რეფერირებულ ჟურნალებსა და ღიად ხელმისაწვდომ პუბლიკაციებზე წვდომის შესაძლებლობებით.

ბიბლიოთეკა რეგულარულად ანახლებს წიგნად ფონდს განახლებული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად, რაც ასევე მოიცავს უნივერსიტეტის გამომცემლობის პუბლიკაციებს. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს სწავლების ყველა საფეხურის, ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დოქტორანტურისა და პროფესიული საფეხურის მხარდაჭერას, რაც გულისხმობს სასწავლო კურსების ლიტერატურის შესაბამისობას პროგრამის მოთხოვნებთან. ფაკულტეტებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან კოორდინაციით უზრუნველყოფილია საჭირო მასალების დროული შეძენა თითოეულ სემესტრში.

კვლევითი კომპეტენციების გასაძლიერებლად ბიბლიოთეკა ორგანიზებას უწევს ტრენინგებსა და სამუშაო შეხვედრებს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის აკადემიური წერის, ციტირების სტანდარტების, საერთაშორისო მონაცემთა ბაზების გამოყენებისა და კვლევის ეთიკის საკითხებზე. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის განსაზღვრულია სპეციალიზებული სერვისები და პასუხისმგებელი პერსონალი, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო რესურსებზე თანაბარ წვდომას.

საერთო ჯამში, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს ინკლუზიურ და რესურსებით მდიდარ აკადემიურ გარემოს, რომელიც ეფექტურად უჭერს მხარს დაწესებულების საგანმანათლებლო და კვლევით მისიებს და პარალელურად უწყვეტად აუმჯობესებს სერვისებს საერთაშორისო სტანდარტებისა და ტექნოლოგიური განვითარების შესაბამისად.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი აქტიურად უჭერს მხარს შემოქმედებით და საშემსრულებლო საქმიანობას, როგორც მისი აკადემიური და საზოგადოებრივი მისიის განუყოფელ ნაწილს. ამ მიზნით, უნივერსიტეტი სთავაზობს დარბაზებსა და მრავალფუნქციურ სივრცეებს, სადაც ტარდება კულტურული ღონისძიებები, წარმოდგენები, გამოფენები, საჯარო ლექციები და სტუდენტების მიერ ინიცირებული შემოქმედებითი აქტივობები, რაც ხელს უწყობს რეგიონის კულტურული ცხოვრების გაუმჯობესებას. უნივერსიტეტი ასევე ყურადღებას უთმობს ციფრული წიგნიერებისა და ღია მეცნიერების განვითარებას - ხელს უწყობს ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებას სწავლება-სწავლასა და კვლევაში, ახალისებს აკადემიური შედეგების ღია წვდომით გავრცელებას და მხარს უჭერს ციფრული კვლევითი მეთოდების, მონაცემთა გამოყენებისა და ცოდნის პასუხისმგებლობით გაზიარების მიმართულებით სტუდენტებისა და პერსონალის უნარების განვითარებას. სამომავლო პერსპექტივაში, უსდ-ს გააჩნია ბიბლიოთეკის სერვისების განვითარების ნათელი გეგმები, რომელიც მოიცავს ციფრული კოლექციების გაფართოებას, ელექტრონულ მონაცემთა ბაზებზე წვდომის გაუმჯობესებას, თანამედროვე საინფორმაციო მართვის სისტემების ინტეგრაციასა და მომხმარებელზე ორიენტირებული სერვისების გაძლიერებას, რომლებიც მხარს დაუჭერს კვლევას, სწავლასა და ღია საგანმანათლებლო რესურსებს. აღნიშნული ნაბიჯები უზრუნველყოფს ბიბლიოთეკის განვითარებას საერთაშორისო აკადემიურ სტანდარტებთან სრულ თანხვედრაში.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- წიგნების, ჟურნალებისა და გაზეთების შეძენასთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ხელშეკრულებები ა(ა)იპ - საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის კონსორციუმთან (2017 წელი);

- საბიბლიოთეკო რეგულაციები, ბიბლიოთეკის გამოყენების წესები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

არ ეხება

რჩევები:

არ ეხება

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

არ ეხება

შეფასება

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.3 საინფორმაციო რესურსი

- უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა.
- ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები.
- უსდ უზრუნველყოფს ბიზნესის უწყვეტობას.
- უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილია ვებგვერდის ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოყალიბებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების ძლიერი ინფრასტრუქტურა, რომელიც ეფექტურად უჭერს მხარს სასწავლო, კვლევით და ადმინისტრაციულ პროცესებს. უნივერსიტეტის აკადემიური შენობები ახალციხესა და ახალქალაქში აღჭურვილია კომპიუტერებით, ლეპტოპებით, სერვერებით, პრინტერებითა და აუდიოვიზუალური მოწყობილობებით, რომლებიც ხელმისაწვდომია როგორც სტუდენტების, ისე აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისათვის.

უნივერსიტეტში მოქმედებს ერთიანი საინფორმაციო სივრცე (ინტრანეტი), რომელიც აკავშირებს ყველა საუნივერსიტეტო ობიექტს, უზრუნველყოფს ელექტრონულ სერვისებზე წვდომასა და მონაცემთა შეუფერხებელ გაცვლას კამპუსებს შორის. ცენტრალური Wi-Fi ქსელი ფარავს ყველა აუდიტორიას, ლაბორატორიასა და ადმინისტრაციულ ოფისს. სერვერული ინფრასტრუქტურა, რომელიც დაცულია Firewall-ის საშუალებით და რეგულარულად ხდება მისი დარეზერვება, ფუნქციონირებს Linux და Windows Server სისტემებზე, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა უსაფრთხოებასა და სანდოობას.

ქსელის უწყვეტ მონიტორინგსა და განახლებას ახორციელებს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის სამსახური, რომელიც ასევე ზედამხედველობას უწევს კიბერუსაფრთხოების ზომებსა და ვიდეომეთვალყურეობის სისტემებს უნივერსიტეტის ყველა შენობაში. ინფრასტრუქტურა შეიცავს ელექტრომომარაგების უწყვეტ და სარეზერვო სისტემებს, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს მათ სტაბილურ ფუნქციონირებას ნებისმიერ პირობებში.

უნივერსიტეტი ეფექტურად იყენებს ციფრული მართვის რამდენიმე პლატფორმას, მათ შორის:

- Moodle (2012 წლიდან) - ელექტრონული სწავლებისა და ონლაინ გამოცდებისათვის;
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა (2011 წლიდან) - სტუდენტთა აკადემიური რეგისტრაციის, შეფასებისა და განრიგის დაგეგმვისათვის;
- ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა (eflow.emis.ge) ციფრული ხელმოწერის ინტეგრაციით (2017 წლიდან).

უნივერსიტეტს გააჩნია ორენოვანი (ქართულ-ინგლისური) ვებგვერდი, რომელიც უზრუნველყოფს ინსტიტუციური ინფორმაციის განახლებას, ხელს უწყობს გამჭვირვალობასა და აკადემიურ კომუნიკაციას.

საერთო ჯამში, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინფორმაციო-ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს უსაფრთხო, ეფექტიან და ტექნოლოგიურად განვითარებულ სასწავლო და ადმინისტრაციულ გარემოს, სრულ შესაბამისობაში ინსტიტუციურ და საგანმანათლებლო მიზნებთან.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს ტრენინგებსა და ციფრული წიგნიერების ინიციატივებს, სტრუქტურირებულ მხარდაჭერას სთავაზობს სტუდენტებსა და თანამშრომლებს ციფრული ინსტრუმენტების, ონლაინ სწავლების პლატფორმებისა და კვლევითი ტექნოლოგიების გამოყენებაში, რათა გაუმჯობესოს სწავლა-სწავლების პროცესი და პროფესიული უნარები. უნივერსიტეტი სთავაზობს კვლევის მხარდაჭერის ფუნქციებს აკადემიური და ადმინისტრაციული ერთეულების მეშვეობით, რომლებიც ეხმარება კვლევის დაგეგმვაში, მონაცემთა მართვაში, პროექტების განხორციელებასა და კვლევითი შედეგების გავრცელებაში. IT ხელმისაწვდომობის ნაწილში, უსდ ძალისხმევას სწევს ციფრულ რესურსებზე ინკლუზიური წვდომის უზრუნველყოფის მიმართულებით - მისი საინფორმაციო სისტემები, ონლაინ პლატფორმები და კომპიუტერული რესურსები შექმნილია/ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭირეობებზე, მათ შორის ადგილზეა ხელმისაწვდომი სამუშაო ადგილები, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია დამხმარე პროგრამული უზრუნველყოფის მიწოდება და ციფრულ სერვისებზე ბარიერების გარეშე წვდომა. სამომავლოდ, სჯსუ გეგმავს ციფრული და კვლევითი ინფრასტრუქტურის შემდგომ გაძლიერებას მიზნობრივი ინვესტიციების, გაფართოებული ტრენინგ-პროგრამებისა და მხარდაჭერის გაუმჯობესებული სერვისების მეშვეობით. აღნიშნული პროცესები მხარდაჭერილია მონიტორინგისა და შეფასების მკაფიო მექანიზმებით, მათ შორის მომხმარებელთა უკუკავშირის შეგროვებითა და საქმიანობის შეფასებებით, რაც უზრუნველყოფს უწყვეტ გაუმჯობესებასა და მდგრადობას.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა - www.eflow.emis.ge;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი - www.sjuni.edu.ge;
- ვებგვერდის ჰოსტინგისა და დომენის სახელის შეძენის ხელშეკრულება №02/178 (30.12.2024);
- ინტერნეტ მომსახურების შეძენის ხელშეკრულება №02/172 (19.12.2024);
- თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

არ ეხება

რჩევები:

არ ეხება

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

არ ეხება

შეფასება

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.4 ფინანსური რესურსი

- უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა.
- უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას.
- უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე.
- უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება.
- უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ინარჩუნებს სტაბილურ და მდგრად ფინანსურ მდგომარეობას, რაც უზრუნველყოფს მისი სტრატეგიული და საშუალო ვადიანი სამოქმედო გეგმების ეფექტურ განხორციელებას. უნივერსიტეტის ერთიანი ბიუჯეტი შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობისა და ინსტიტუციური პრიორიტეტების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას.

უნივერსიტეტის დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროები (ლარში) მოიცავს:

- სწავლის გადასახადს: 4 407 900,00;
- სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულ დაფინანსებას: 320 512,00;
- მათ შორის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობას: 14 000,00;
- და სახელმწიფო სტიპენდიებს სტუდენტებისთვის: 303 000,00;
- ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები: 15 000,00;
- კანონით დაშვებული შემოსავლები: 590 354,10;
- სხვა შემოსავლები: 390,354.10.

შემოსავალი სწავლის საფასურიდან კვლავაც რჩება ფინანსური სტაბილურობის მთავარ და თანმიმდევრულად მზარდ წყაროდ. ბიუჯეტის სტრუქტურა უზრუნველყოფს მიზნობრივ დაფინანსებას აკადემიური პროგრამების განვითარების, კვლევითი საქმიანობის, ადამიანური რესურსების განვითარების, ბიბლიოთეკის გაძლიერებისა და ციფრული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისათვის. ცალკე გამოყოფილი სახსრები ფარავს სამეცნიერო პროექტებს, სადოქტორო კვლევებს, პუბლიკაციების თანადაფინანსებას, ბიბლიოთეკის განვითარებას და სასწავლო და ლაბორატორიული აღჭურვილობის განახლებას.

უსდ აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო დაფინანსების მქონე პროექტებში (TEMPUS, ERASMUS+ და CIF ინიციატივები), რის შედეგადაც მოიზიდავს მნიშვნელოვან ფინანსურ და მატერიალურ რესურსებს, რომლებიც ხელს უწყობს კურიკულუმების მოდერნიზებას, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებასა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას; შესაბამისად, აღნიშნული შეიძლება შეფასდეს, როგორც საუკეთესო პრაქტიკა რეგიონული უნივერსიტეტისთვის. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული დასრულებული და მიმდინარე პროექტების ჯამური ღირებულება აღემატება 433,000 ევროს, ხოლო დამატებით მოზიდულია ეროვნული გრანტები ლაბორატორიული და ინოვაციური განვითარების მხარდასაჭერად.

უნივერსიტეტის ფინანსური მართვა ეფუძნება ეფექტიანობის, კანონიერებისა და გამჭვირვალობის პრინციპებს. რეგულარული შიდა ანგარიშგება და აუდიტები უზრუნველყოფს ბიუჯეტის შესრულებისა და შედეგების ეფექტურ მონიტორინგს. ფინანსური სისტემა სრულად უჭერს მხარს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო, კვლევითი და ინფრასტრუქტურული განვითარების მიზნებს, რაც ხელს უწყობს გრძელვადიან ინსტიტუციურ მდგრადობას.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის ბიუჯეტი;
- ბოლო 5 წლის დაფინანსების დინამიკა;
- თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

არ ეხება

რჩევები:

არ ეხება

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

7.4.1 აქტიური მონაწილეობა საერთაშორისო პროექტებში, მათ შორის Horizon Europe-ის საგრანტო განაცხადების ინიცირება და Erasmus+-ისა და CIF პროგრამებში მონაწილეობა.

შეფასება

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან